

ქართული ბიბლიოთეკა

1883

№ V. მაისი.



ქუთაისი
თ. პეტრე გ- წულუკიძის სტამბა.
1883

შინაა რ ს ი.

- I. ცერუზას დღიურში ნათარგმნი ანასცე. შაქრამისაგან.
- II. არა, არ არის დანაშაული რომანი ეცევი პირსისა.
ნათარგმნი ანნა მესხისა. (შემდეგ).
- III. აკლდამები. მთხარტმა უგგინია ცურისა (შემდეგ)
ნათ. ან. და უკ. ნიკოლაძის ძალუბისა.

ნ. ს.
803


F 106
1983



ქართული ბიბლიოთეკა

№ V მანისი

F 359



ქუთაისი
თ. შატრი ბ. წულუკიძის სტამბა.
1888

000674

Дозволено цензурою, Тифлисъ 28 Юля 1883 г.

11

000674

ბერეზას დღიშემაღი.

(ნათ. ანასტ. შაქრაძისაგან.)

შველაფერი გათავდა: მამი-ჩემის ან დერი გახ-
სნეს და ანგარიშიც გასწმინდეს. შექილობაზედ ხე-
ლი მოვაწერე, უნდა გაყიდონ ძველი სახლი, რო-
მელიც შეადგენდა მთელს ჩემს მემკვიდრეობას;
ამასთანავე შევატყობინე ჩემს ბიძა-შვილს რენე
დე-მტვილს, ჩემს ერთად-ერთს ნათესავს, რომ
ვთანხმდები მის დაპატყებაზედ და ვემგზავრები მას-
თან დასაბინაველად. სახლის გაყიდვაზედ და წას-
ვლაზედაც მე დავთანხმდი ქალბატონის დე-შავერჯის
რჩევით და ნოტარიუსის შეკონებით. მართლაც
ცხოვრების საშუალებაც აღარაფერი მაქვს. მთელი
თავის საცხოვრებელი მამა-ჩემმა გადააღო სამეცნი-
ერო მოგზაურობას და ძვირფასი წიგნების შეძენას;
ამასთანავე ვერც იყო კარგი მეოჯახე, მაგრამ ჩემ-
თვის მაინც ბევრად უმჯობესი იქმნებოდა აქ დავრ-
ჩენილიყავ და გაჯახირებულად გამეტარებინა რამდე-
ნიმე ხანი, სანამ არ მოვიქარვებდი ამ უცარ შე-
მაძრწუნებელს უბედურებას და არ შევიძლებდი



დამშვიდებით მოფიქრებას, თუ როგორ მეშრომა მომავალში.

მე ხვალ მივდივარ და მგონია, ველარც კი მოვბრუნდე. თუცა ამ სახლში უსიამოვნო ცხოვრება მქონდა, მაგრამ მაინც მენანება აქაურობის დატოვება. ალბად მართალი ნათქვამია: «სადაც ბევრს წვალობ, ის ადგილი უფრო შეგიყვარდებოა». როგორც მახსოვს, პირველად აქ ჩამოველ ნათლია ჩემის სიკვდილის შემდეგ. იმ დროს, როდესაც ჩვენს ოჯახს უბედურება ეწია და დედა-ჩემი სახლიდგან გადიკარგა, მე, როგორც მოძულეებული ბავშვი, ნათლიამ წამიყვანა და მასთან ვსცხოვრებდი. მამა მას შემდეგ აღარ მინახავს. ნათლის დაკარგვასთან მე დავკარგე ბინაც. მაშინ მამამ მომწერა, რომ მასთან გადავსულვი ავტ-ში. მამა-ჩემმა შეყრის დროს ერთი აღერსიანი სიტყვაც არ მალირსა. ვსცხოვრებდა მასთან, მაგრამ ჩვენი ცხოვრება შემდეგშიაც ასე გულ-გრილი და უფერული იყო მის სიკვდილამდე.

პირველად კიდევ ვიმედოვნებდი, იქმნება დავუახლოვდე-მეთქი; ვსთხოვდი, მომეცე ნება წიგნი გიკითხო და შესანიშნავი ადგილები ამოგიწერო-მეთქი; ის არ დათანხმდა, მე არ ვეშვებოდი, მაგრამ ერთსეულ ისე მკაცრად მომექცა, რომ იძულებული ვიყავ თავი დამენებებინა.

ტერეზა! მითხრა მან, შენი დაქინება მხოლოდ მაჯავრებს, შენ ვერაფერში ვერ დამეხმარები. მალებს სერიოზულს საქმეში არაფერი გაგეგებათ, მხო-

ლოდ ხელს შეუშლით კაცს. მე შენ შესახებდავთაც
 მემჩინები და შენ კიდევ უფრო თავს მამბობს შე-
 ნის სამსახურით.

ამ სიტყვებზედ მე ბევრი ვიტყვი, მაგრამ მერ-
 მელ დავმშვიდდი. მამას არ უყვარდი და, რასაკვირ-
 ველია, თავის ღღეშაც არ შემოიყვარებდა. შოველივე
 უბედურებასთან ამ მხრითაც უბედური ვიქავი. პრი-
 ან აღამიანები, რომელთაც დაბადებიდგანვე უსვიათ
 მწუხარების ბეჭედი და რაც უფრო მალე დამოაჩი-
 ლებიან, იმდენად უფრო სამჯობინოა მათთვის.
 მეც ისე მოვიქეცე. შკანასკნელს კვირებში, რაც
 მღელვარება გამოვიარე, ჩემი აზრი და გონება შეიბ-
 ყრო რაღაც სიშტერემ, აუცილებელმა მოვლენამ
 ამისთანა შემთხვევაში. მხოლოდ ერთი გრძნობა იყო
 ჩემთვის გასაგები, ეს გრძნობა იყო ჩემი მარტოკა-
 ობა.

ღღეღგან მე მარტოკა ვარ მთელს ქვეყანაზედ.
 წინეთაც გამოშიცდია ეს გრძნობა, მაგრამ ასე
 ძლიერი ჯერ არაოდეს არ ყოფილა. როდესაც მამა
 მყავდა ცოცხალი, მე ვგრძნობდი მაინც, რომ
 არის ვინმე, რომელსაც მე ვეკუთვნი, თუმცა ის არც
 კი მიკარებდა სიახლოვეს და მისი გული საუკუნოდ
 დახშული იყო ჩემთვის. მე აწი აღარავის ვეკუთვნი
 და აღარც მოვალეა ვინმე ჩემზედ ზრუნვისა.

ხვალ მე ესტოვებ ამ სახლს, რომელიც ჩემ-
 თვის მშობლის სახლი იყო მაინც და უკანასკნელი
 კაცური წარსულის იქმნება გაწყვეტილი. აბა რაღა



ტერეზა! ჩემო უბედურო გოგუნა, ახლა შენ თანესუფალი ხარ, როგორც ცაში ფრინველი. რას იქმ ახლა შენი თავისუფლებით?

ღუ-თყვილის სასახლე.

მ'თმა კვირამ გაიარა, რაც მე მტვილში ვარ. მე მოვედი აქ საღამო დროს. წვიმა მოდიოდა ხშირი და წვრილი, ძველ ბაღში ზუოდა ქარი. სასახლის კარებთან შორიდგანვე დაფინახე ქალის სახე; მისი ლანდი ცხადად იხატებოდა წინა ოთახის კარგად განათებულს კედელზედ. მტლი როგორც გაჩერდა, ის ქალი იმ წვიმაში თავ-შიშველი მსწრაფად ჩამოვიდა ძირს.

მან მეკობრულად გამომიწია ორივე ხელები, მომეხმარა ჩამოსვლაზედ და გადამკოცნა. მე ვიგრძნე ქორთვა პირის სახის შეხება და გავიგონე ახალგაზდა აღელვებული ხმა, რომელმაც მითხრა:

— პეთილი იყოს შენი მოსვლა, ტერეზა!

მს იყო ჩემი ბიძა-შვილი რენე. რენე ძალიან ხანდომიანი სახისაა, მაღალი და მოყვანილი, ძლივს შესამჩნევი ნაზი მიმოხვრა აძლევს მას რაღაც მშვენიერებას. შერი მკრთალი აქვს; ქეზა თმა უბრალოდ დახვეული აქვს თავზედ და გრძელი ხუჭუჭით შუბლზედ აფენია. თკალები!... თკალები კი ყველაფერზედ უფრო შესანიშნავი აქვს: დიდრონი, ბრწყინვალე, მუქი ლურჯი და ისეთი უცნაურის

მწუხარების გამოხატველნი, რომ სრულებით არ
 შეძვერის მის შემგვრალებულს, თითქო ჯერ დაუს-
 რულებელს, ბავშურს სახეს.

ტუჩები ნამდვილად ღიმილიათვის დაჰყოლია;
 იმისთანა ტუჩები მხოლოდ ბედნიერებს აქვსთ.

მა არის მისი გარეგანი შეხედულობა; დანარ-
 ჩენი ჯერ ჩემთვის გაუგებარია. არც დაკვირვება, არც
 განსჯა მე ჯერ არ შემიძლია. ის მე სრულებით
 უცნობი მჩვენა, რადგან ბავშვობიდან აღარ მენა-
 ხა. როცა ჩვენ ერთმანერთის პირ-და-პირ ვიდექით,
 უნებლიეთ რაღაც არეულებას ვგრძნობდით; ის რა-
 ლაც შეშინებულის ცნობის-მოყვარეობით მათვა-
 ლიერებდა მე.

შეგცივდებოდათ თქვენ! წარმოსთქვა მან ბო-
 ლოს. თქვენი მგზავრობა არ იყო მაინცა-და-მაინც
 სასიამოვნოთაგანი. მსწუხვარ, რომ რობერმა ვერ
 შეიძლო თქვენს შესაგებებლად წამოსვლა.

მან დამსო ცეცხლთან და მიამბო, რომ ის
 მარტოა სასახლეში, რადგან მისი კმარი სადღაც წა-
 ვიდა და დაბრუნდება მხოლოდ რამდენიმე დღის
 შემდეგ. მერმეთ დაიწყო ლაპარაკი თავის ბიცოლა
 დე-შავერქედ, თავის ძმა ბონტრანზედ, მათ ბედ-
 ნიერ ბოვშობაზედ. ახლა ის მოგზაურობს ატრი-
 კაში და ესწერ გრძელს წერილებსო...

მა მისი უმანკო ბოვშური ტიკტიკი მატკობდა
 მე. დიდი-ხანია, რაც მე აღარ გამიგონია ყმაწვილი
 ხმა. ასეთი იყო ჩვენი პირველი საღამო.

შემდეგ დღეებში ის ყოვლის ღონის ძიებით სცდილობდა როგორმე გავერთე და ამასთანავე იჩინა ისეთს გულ-კეთილობას, რომ მე პასუხსაც ვერ ვახერხებდი. ბოლოს მან განსჯერითა ჩემი სულის მდგომარეობა და მიხვდა, რომ უკეთესი დავალება იქმნებოდა მისი მხრით, რომ ჩემს ნებაზედ მივეშვი. ახლა მე დიდ-ხნობით ვრჩები ხოლმე ჩემს ოთახში და გულ-ხელ-დაკრფილი ვიძინ, როგორ ამხაპუნებს ფანჯარაში წვიმადა თან შევსჩერებივარ ნისლს, რომელიც ნელ-ნელა ადის ნაძვის ტყიდგან. ახრები მებლანდება გაუწყნარებლად, წარსული მეხატება მწუხარების სიჭმრად და ახლანდელი—სანანებელ გამოფხიზლებად.

— რაც შეეხება მომავალს, მაზედ მე სულაც არ ვფიქრობ, როგორც არ ვფიქრობ ზოგიერთ წარსულს წლებზედ. რაც მე ვსწერ, წვიმა გადუღებლად ასწამს. ახლა დგას იმ წლის დროთაგანი, რომელიც შიაც უბედურნი უფრო გრძნობენ თავიანთს უბედურებას...

უბედურნი-მეთქი!... მაგრამ ვინ არის ბედნიერი ამ ქვეყანაზედ? იქმნება ჩემი ბიძა-შვილი რენე?

ამ საგანზედ სჯა ძნელია. შეხედულობა მას ბედნიერი აქვს, მაგრამ ქალები, როდესაც თხოვდებიან, მათი პირადი ბედნიერება დამოკიდებულია მათ გამოჩეულს კაცზედ და მე ჯერ არ ვიცი რომ იმ შეუღარებელს რობერს, როგორც მას უწოდებს ქალბატონი შავერევი. ამბობენ ის სასწაულია, მაგრამ



სასწაულებს მე არ ვერწმუნები და ვფიქრობ, რომ გონიერადაც ვიქცევი.

15-ს ნოემბერს.

ღღეები გადიან ერთი მეორეზედ საშინელი ერთ-ფეროვნებით. მა დიდი სასახლე თავის უშველებელის ბალით, ციხეებით და მთელი წყება ვრცელი და გამოცალიერებული ოთახებით, მაგონებს მშვენიერსაპყრობილეს: მასში არ აქვს ადგილი არც სიხარულს და არც მხიარულებას. ეს მოწყობილება მე კიდევ შემეფერება, მაგრამ რაღაც გასაკვირველია აქ რენეს ნახვა, რომლის გამართობელი მხოლოდ რაინდული რომანების კითხვაა.

— ამას გადავყავარ მე ზღაპრულს ქვეყნიერებაში, მითხრა მან, როდესაც შემხვდა ერთხელ სქელი დამტვერულის წიგნით. მე წარმოვიდგენ ჩემს თავს მოხიბლოლპრინცესად, საპყრობილეში დამწყვდეულს, რომელიც თავის გამოსახსნელად ელოდება მხნე რაინდს.

მე გავიღიმე.

— უგნურს ოცნებას ვაძლევ თავს განა? ბაწით-ლებულმა წამოიძახა. ძმა ყოველთვის დამცინის და მეუბნება, სულ ბოვშად დარჩებიო.

ღღეს რომ ჩავედი ძირს, რენე ენახესახე გაბრწყინებულა და ხელში წერილი ეკავა. ჩემთან მოვიდა და მლიმარეთ მითხრა: ჩემი ქმარი ამ სალამოს დაბრუნდებაო!



რამდენი სიხარული ისმოდა ამ ხმაში? მანამ
ეს სიხარული მაინც უფრო ბოვშის იყო, ვინც ქა-
ლას. ციციანიცით მან მთელი დღე გაატარა მოძ-
რაობაში: ხან მოვიდოდა, ხან წავიდოდა, ხან რა-
ღაცებს გადუგ-გადმოდგამდა და ასწორებდა. მისმა
ცქერამ ისე შემიქცია, რომ მე აღარც წავსულ-
ვარ ჩვეულებისა-მებრ ჩემს სადგომში, სწორედ გა-
მაკვირვა ამ მოძრაობამ, ამ ცინცხალმა შთაბეჭ-
დილებამ, რომელმაც მიიქცია მასი სერიოზული
ყურადღება იმაზედ, თუ როგორის ნაკეცებით ეშო-
ბა ფარდა, როგორ დგას ყვაფილებიანი ვაზა, ან თუ
როგორი განათებულია სურათები. მე რაც აქ
მოვსულვარ, რენე მკლოვარებას იჩენდა უფრო
ხათრით, ვინც მოვალეობისათვის; მაგრამ დღეს ეს
მოვალეობაც შეშალა: შავ კაბას გული ჩამოხსნა და
უჩნდა თეთრი ფუნტრუშა და შერგვალეული გულ-
მკერდი; ორი ვარდი უმშვენებდნენ კულოსა და თმას.

საზოგადოდ ის ახლა ძლიერ იკაზმება და უელის
თავის-თავს. აქამდის კი ეს მე არ შემინიშნავს მა-
შიდ. შოველს წამს ისწორებს ბანტს, იუთაებს
კრუტეებს და არ გამოტოვებს არც ერთს სარკეს,
რომ შიდ არ ჩაიხედოს მალულად; მე ვუცქერ გაკ-
ვირვებით და ამ ცქერაზედ, როდესაც შემასტრებს
თვალს, მთლად აერთება ხოლმე.

ამითანა საქციელის გამო, რენე მე სულსხეა-
ფერ მიჩვენება. ბოლოს მე წავედი; მიწოდდა, რომ
ის უფრო თავისუფლად მომხადებულყო უკანასკნელ-
ლად და უფრო თავისუფლად შეხვედროდა თავის ქმარს.

მე ვფიქრობდი კიდევ, რომ დღეს სულაც არ გამოვიჩნილიყავ, რომ არ დამერღვია მათი სიხარული ერთმანერთის ნახვის დროს. მაგრამ რენე ისე მხევეწებოდა რობერთან გაცნობას, რომ გმეტი გზა არ იყო, უნდა დავთანხმებოდი.



მუალამია.

მთაქმის ათს საათზედ შევედი სასტუმრო ოთახში. ჩემი ფეხის ხმა იმდენად მსუბუქი იყო, რომ პირველად ვერც კი შემნიშნეს. ლამპები ენთო ფარდის უკან და რენე, რომელიც იჯდა დაბალს სკამზედ მუხლზედ ნიდაჟ დაბჯენილი, ღიმილით შესცქეროდა ვილასაც მალლა. შემდეგ, იქით საითაც ის იყურებოდა, დავინახე მალალი ტანის კაცი გულხელ დაკრეფილი, პირის სახე ჩრდილში ჰქონდა. მე შევჩერდი შუა-გულს ოთახში და ვუცდიდი, რომ ყურადღება მოექციათ. ბოლოს რენემ მოიხედა და შემომხედა თუ არა დაიძახა: აი ტყრეზა! მომიხლოედა, მიმიყვანა თავის ქმართან და მითხრა: აი რობერტო. ამისთანა უბრალო გაცნობებამ არა თუ გამათამამა, არამედ უფროც შემაკრთო. ისიც ცოტაოდნად შეჭკრთა, მაგრამ მერმედ მოვიდა ჩემთან, მედიდურად დამიკრა თავი, ჩამომართვა ხელი და რამდენივე ხანს გაიჩერა ხელში, თითქო ეძებდა რამე შესაფერ სიტყვას, მერმე გამიშო ისევ ხელი ხმის ამოუღებლად. ამ ნაირმა მიღებამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა და შევაცქერდი გაკვირვებული.



შთუოდ ეს გაკვირება შემნიშნა მან და ბოლოს შესაფერად მომესალმა, თუმცა ცოტა პირ-ქუშად.

რენემ მომიწია თავისუფალი სავარძელი და მე დავჯექი. ბატონი ღე-მტელი კი ისევ იდგა. სოლი კითხავდა მას ნაცნობებზედ, რომელნიც მას უნახავს. მე არ უსმენდი მათ, რადგან ესცდილობდი, რამდენათაც ნებას მაძლევდა ოთახის სიბნელე, დამეთვალიერებინა იმ კაცის სახე, რომლის სახლშიდაც მე ვიმყოფებოდი. რაც მე ვნახე სწორედ ნამდვილი იყო აღწერილობასთან: წამოსადეგი, თავ მაღლა აწეული, ღირსებით სავსე მიმოხედა, სწორი და ამაყი გამომეტყველი სახე და წითური, შეკრეჭილი წვერი. ძვლები სწორს წარბებს ქვეშ ძლიერ ახლო ერთმანერთზედ და რაც შეეხება მათ ფერს, ის კი არ შემინიშნავს ჯერ. მისი აბზუებული ტუჩები წინააღმდეგ რენეს ტუჩებისა, მგონია, თავის დღეში არ ილიმებენ. საზოგადოდ მე უნდა გამოვტყდე, რომ ის ლამაზია, მაგრამ ამ სილამაზეში იმდენი ამაყობა და მკაცრობა გამოიხატება, რომ უფრო კრძალავს, ვინემ მიიზიდავს კაცის გულს.

20-ს ნოემბერს.

საპრობილე გაცოცხლდა; მასპინძელმა გამოიჩინა საქმიანობა. დაიწყო მრავალი სამუშევარი, შენდება სამაგალითო ფერმა, გზები კეთდება, დანარჩენს დროს ის ატარებს სამუშაო ოთახში კარებ ჩაკეტილში. ამ

ოთახზედ, როგორც საღმრთო რამეზედ, რენე ყოველ-
თვის დამდაბლებული ხმით ლაპარაკობს. მე ჯერ არ
გამხდარვარ ღირსი ამ საკურთხეველში შესვლისა.
შნდა ვალუარო, რომ მე დიდი რწმუნება არ მაქვს
დილეტანტების მოქანდანკობისა: უმეტესს ნაწილად
მათი ქანდაკობა ფუჭე თავის შექცევაა. შარდა ამისა,
მტვილში მიაგნეს რომაელების ნაბანაკარს და დაი-
წყა თხრა. აქ მოვადნენ მცოდნე მუშები და იკვ-
ლევნ ბალის ნიადაგს ყოველს კუთხით. ამ გაცხარე-
ბულს მუშაობაში დე-მტვილი ისევ ისე შეუცვლე-
ლი, აუჩქარებელი და დამშვიდებულია.

მაგრამ მე მას ვხედავ მხოლოდ პურის ქამაზედ
და საღამოობით.

საღამოებს ის მუდამ ჩვენთან ატარებს ბოლმი.
პირველად მე მეგონა, რომ ვაფიწროებდი მათ დარამ-
დენჯერმე მოვინდომე ცოტა ხნობით მოვშორებოდი
ხოლმე, მაგრამ ამის ნება არ მომცეს. ახლა, რაც უფრო
ახლო ვაკვირდები მათ, იპდენად უფრო ვატყობ,
რომ მათ მაინცა-და-მაინც არ ესია მოვნებათ ერთად
დარჩენა. მკრე ვატყობ მე და ნამდვილად კი არ ვი-
ცი, რასაკვირველია. შესახედავად მათ შორის მე-
ფობს სრული მეუღლური თანხმობა, მაგრამ მე ეს
მაკვირვებს, რომ რენეს ქმართან ყოველთვის რალაც
დაზაგრული სახე აქვს და ქმარიც რალაც ისე ცი-
ვად და თავაზიანად ეყრობა, რომ არ შეჭფერის
მოყვარულს ქმარს.



ნუ თუ ის მას არ უყვარს? ან და იქმნება იმდენად გართულია თავის საქმეებში, რომ მას კოლისთეის ველარ მოუტლია? მაგრამ რა ჩემი საქმეა მათი გულის საიდუმლოები! მე არც შემეხება ეს საიდუმლოები და არც მინდა შევიცნო, როგორც დანარჩენი ანაფერი არ მინდა შევიცნო ქვეყნიერებაზედ, გარდა ჩემის წიგნებისა, რომელშიდაც მაინც ვბოულობ საშუალებას მივეცე დავიწყებას, თორემ სხვაფრივ, მართალი რომ ვსთქვა, არც წიგნებშია ჩემთვის საინტერესო რამე. საღამოობით ჩვენი მუსაიფის საგანს შეადგენს ძველთა ნაშთთა თხრა.

ბატონი დე. მ. ტვილი მოჰყობა ზაასს და ჩვენ უსმენთ. ამ ზაასის დროს ჩენეს წაეძინება ხოლმე და როდესაც უეცრად გამოიღვიძებს, ყველაზედ პირველად უცნაურის შიშით ისწრაფის დარწმუნდეს, რომ ქმარს არ შეუნიშნავს მისათვის. რა კი ამ ზაასს გაათავებს და გავიგებთ ყველაფერს ამ თხრილებზედ, მერმედ ჩამოვარდება ისევ სიჩუმე და სამნივე შეესცქერით ანთებულს ბუხარს. ამ ნაირი დროს გატარება ვერ აკმაყოფილებს ჩენეს. სამეცნიერო საუბარი ვერ ართობს საბრალო ბოვშს, რომელსაც, ეტყობა, სულ სხვაზედ უნდა მუსაიფი. მართლელ შემეცოდა კიდევ საცოდავი, ავიღე ყურნალი და გამოვკითხე მას უკანასკნელს მოღაზედ და მისს უკანასკნელს მოგზაურობაზედ პარიჟში.

უნდა გეყურებიანთ, რა ნაირად ის გაცოცხლდა და აჯიკტიკდა! უბედურო ჩენე! თუმცა გათხოვილი

ხარ, მაგრამ შენ არა გყავს ქმარი და თანაც მეც მოგემატე ჩემის მწუხარებით! ამ აზრმა იმდენად შემიპყრო, რომ ბოლოს გადავწყვიტე კიდევ, გულ-ღიად მომეღალაპარაკეა მასთან. რა უნდა გიყო, რენე? მუთხარის მას, მე ძლიერ მეშინია, რომ ჩემმა მწუხარე შეხედულებამ შენი ცხოვრებაც არ დაღრუბლო. თუ ღმერთი გწამსთ, ნუ მიაქცევთ ამას ყურადღებას, მე უკვე შევეჩვიე ჩემს მწუხარებას, მაგრამ არ მინდა, რომ ეს მწუხარება სხვაზედაც გადავიდეს.

— თქვენ სცდებით, ტერეზა, თქვენი აქ ყოფნა ჩვენთვის დიდად სასიამოვნოა.

მე მეშინია, რომ თქვენ მოგწყინდებათ, განვაგრძე მე. რატომ არ აიღებთ იცნოს რამე საქმეს, რომელმაც გაგართოსთ თქვენ?

მას გაეცინა.

— მე ყოველთვის დიდი ზარმაცი ვიყავი. ძალისხელ-საქმეში უნიკო ვარ და სერიოზული წიგნების კითხვა თავს ამატკივებს, რადგან მათში ვერაფერს ვაჩვენებ. თუმცა მოწყენილი შეხედულებისა ვარ, მაგრამ მხიარულად კი ისე ვარ, რომ ჩემზედ მხიარულად აღარავინ იქმნება ქვეყანაზედ. მე ძლიერ ბევრს ვოცნებობ და ეს გამართობელი საქმეა, რადგან ოცნება ყოველთვის სასაცილომდე მიგიყვანს ხოლმე აღამიანს.

— მუზიკა სწავლას მაინც შეუღლებით! სიმღერა უთუოდ გეკოვლინებათ?

— ჰო, ისე, ერთრიგად, ცოტა, წამოილილინა დაბ-



ლის ხმით, თანაც ამოიოხრა და სთქვა: მე არ ვარ გგევარ, ტერეზა, მე არც საქმიანობა, არც სჯა არ შემიძლია. მე მგონია, რომ გამანებივრეს: ძმაც და მამიდაც ყოველთვის სცდილობდნენ ავეშორებინე მცირეოდენ დაბრკოლებას. შოველივე მილიმებდა და მისთვისაც გამოვედი ასეთი დაუარულებელი.

ამ ლაპარაკშივე თან-და-თან ვგრძნობდი, როგორც მატულობდა ჩვენ შორის, უმიხროთაც საკმაოდ დიდი განსხვავება. მე წავედი და დავტოვე ის ბოვშურს ოცნებებში, თანაც დავრწმუნდი, რომ ტყუილი იყო ჩემი ცდა. ჩემში ის არ საჭიროებდა და არც შემეძლო მის ჩემდამო გულ-კეთილობასთვის რამე სამაგიერო გადამეხადა.

1-ს დეკემბერს.

ღღეს ჩვენ ბევრი ვისეირნეთ. ეს სეირნობა პირველი იყო ჩემი აქ მოსვლის შემდეგ. თაობა იყო ღე-მტვილისა. მე მოვინდომე უარი მეთქვა, მაგრამ ველარ მოვახერხე.

— თქვენ ძალია უნდა დაატანოთ თქვენს თავს, მითხრა მან. ცხოვრებაში მისთანა წუთებია, როდესაც აუცილებლად საჭიროა, რომ კაცმა თავის თავს უთხრას: «მე მსურს». მაგ ნაირი მწუხარებისათვის თავის მინებება დაუძღურებული ბებრის რიგია და ჩვენ კი უნდა ვეძიებდეთ შველას ჩვენ ყმაწვილს და ცოცხალს ღონეში.

ამ ნაირმა ქადაგებამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა. მე ვფიქრობდი, რომ ამ კაცს შეეძლო

საქართველოს
განმანათლებლო
სისტემა

ლაპარაკი მხოლოდ იმაზედ, თუ რა მომხდარა ქვეყანაზედ, ან რა უნდა მოხდეს და არა სულის მოძრაობაზედ, რომელსაც, შესახედავად მაინც, მისგულში ადგილი არ ჰქონდა.

ნუ თუ შეესცდი?

ტაროსი მშვენიერი იყო, ძლიერმა ქარმა გზები რამდენიმე დღეში გააშრო და ძლიერ კარგი სასიარულო იყო. მე იმდენ ხანს ვიყავ დამწყდელი დაკეტილში, რომ ამ გასეირნებამ, ზამთრის მზის მკრთალ სხივებ ქვეშ, მშვენიერს გუნებაზედ დამაყენა. ჩვენ გავემგზავრეთ ტყის სახლისაკენ, სადაც დე-მტვილს საქმე ჰქონდა. სახლი მაღლობზედ იდგა, რომლისკენაც მიდიოდა მთაში გაყვანილი ქვიანი და ღრიანკელი ბილიკი.

ღაბრუნება მოგვიხდა თითქმის სულ დაბინდებულზედ; ბარიდგან ასული ნისლი თან-და-თან ბურავდა მთელს არე-მარეს. მიხვეულ მოხვეულ ბილიკის მეტს ველარას ვხედავდით; სინოტიოსაგან გაცივებულები მაგრად ვეხვეოდით წამოსასხმელებში და მოუმატეთ ნაბიჯს. რენე და მისი ქმარი ხელი-ხელს გაყრილნი მიდიოდნენ წინ. რამდენიმე ხანს მე ვუკვირდებოდი მათ: თითქო ორი ოცნებითი ჩრდილი შეწნულან და მარდად დაქროდენ ღრუბლებზედ. ჩვენ შორის მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი იყო, მაგრამ მე კი ვგრძნობდი, რომ ჩვენ შორის გადაუვალი უფსკრული უნდა ყოფილიყოს. ჩემს თვალში ისინი წარმოადგენდნენ რაღაც სიზმარს და მე კი უღმოდ-



ბელს და მოლუშულს სინამდვილეს. ჩემდა შეუნიშნავად მე ჩამოვრჩი მათ; მათი ლანდი თან-და-თან იმალებოდა ნისლში და ბოლოს სულ დაიფარა. მე სულ გადავაფიწყდი მათ და მეც თავი დავანებე მათ-ზედ ფიქრს. ჩამოვჯექი ქვაზედ და მივიხედ-მოვიხედე: ნისლი სულ მალლა იკრითებოდა, მხოლოდ კლდის წვეტები-ლა მოჩნდა შავად თეთრს ღრუბლებში. პრა-ვითარი კაცის ხმა მე არ მაწუსებდა; მესმოდა მხოლოდ ყრუ ჩქრილი ნაკადულისა, რომელიც ხან-გრძლივ წვამებისაგან გადიდებულიყო და პრისხანედ ვარდებოდა ბარში. მე ალტაცებაში მომიყვანა ამ ველურმა და სევდიანმა ადგილმა და დროს გასვლას ველარ ვნიშნავდი.

შეკრად ჩემს წინ წარმოდგა რალაც ლანდი და მკვახელ მკითხა: ეს თქვენა ხართ, M-LLE ბრიგ?

მე ვიცანი ხმა ლე-მტვილისა, მაგრამ ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ არც კი ვუპასუხე. ჩვენ გვაშორებდა საწინელი სიბნელე. ეს თქვენა ხართ? მაიმე-არა მან და ხელი მომკიდა.—ჩვენ ძლიერ მსწუხს და ეშინია, არაფერი შეგმთხვეოდეს: თ. ამ სიტყვაზედ მე ხმა ამოუღებლად წამოვდექი.

— რას აკეთებდით აქ? მანაკრძო მან კიდევ უფრო მკვახელ.

არ ვიცვი-მეთქი, წავიჭურჩულე მე.

ის მზად იყო წამოეძახნა პრისხანებით რამე, მაგრამ დროზედ შეიკავა თავი და ხელ-მოკიდებული ჩამიყვანა ძირს. ჩვენ ისე ჩქარა მივდიოდით, რომ მე სული მიგუბდებოდა, მაგრამ მას ვერაფრის თქმა

ვერ გავუბედვ. მთელი გზა ისე გავიარეთ, რომ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს. რენე გვიცდიდა წინ კარებთან და რომ დამინახა, მომფარდა ყვირილით: კარგი ბედია, რომ დაბრუნდით! მე ძლიერ ვშიშობდი თქვენთვის! მან წამიყვანა თავის ოთახში, დამსობუხართან და დამალვეინა ცხელი ჩაი. რადგან გადავრჩი გასაქირს იმ საფრთხილო წილებში. რაც შეეხება მის ქმარს. მას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ამ შემთხვევაზედ, ერთი ბოდიშიც არ მოუხდია ჩემთან, რომ ისე მკაცრად მომეპყრო. მთელი საღამო ის ჩასცქეროდა თავის წიგნებს და პლანებს. ჩვენ არც კი გავგხადა ღირსი თავის მუსაიფისა.

მზ! დე-მტვილო, მე ძლიერ ვიშიშვი ჩვენი განწყობილებისათვის მომავალში!

15 დეკემბერს.

საშობოდ ელიან ქალბატონ დე-შავერჟის რენე დიდი მოხარულია ამ შემთხვევისა; მას ძლიერ უყვარს თავის მამიდა, რომელმაც ის გამოზარდა და ჩაუნერგა თავის ღრმა პატივის-ცემა. მეც უნდა მიხაროდეს. ეს არის მამი-ჩემის ერთად-ერთი მეგობარი, რომელიც მამა-ჩემს შეურჩენია. მამი-ჩემის ბიკვდილის წინედ, ის მოვიდა ჩვენსა, ნახა ჩვენი მდგომარეობა და შევებრაღე. იმას კი უნდა ესმოდეს ჩემი მდგომარეობა, რადგან თვითონაც გამოუყვლია მწუხარება ცხოვრებაში. თუმცა კი უნდა მიყვარდეს ის, მაგრამ მე სწორედ არ მიყვარს. იქ-



ქართული

მიმლითოთჳა

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

1919

ნება მიტოვ, რომ ჩემს გულს აღარ დარჩენია ნაწი
გრძნობა, ან არა და იქმნება მისი თაყაზიანი და
აღერსიანი ქცევა ჩემთან მე მიმაჩნია გამოუთქმელ საყ-
ველურად ჩემას მიუთვისებლობისათვის. ეს უკანასკნე-
ლი უფრო ნამღვილო უნდა იქოს. როდესაც მე ის
მომაჩერდება ხოლმე, მე მკონია, რომ თვალით
მხვრეტს და ისეთს რამეებს კითხულობს ჩემს
გულში, რომელთაც მე თვითონ არ მეგულვება.

— მე თქვენ მაწუხებთ, ტერეზა, ხშირად მეტ-
ხვის ხოლმე ის. მომეტებული უგუნური სიფიც-
ხე არ შემაწუხებდა ვერც, როგორც თქვენი ეგ
ბოროტ-მომასწავებელი სიჩუმე. ჭეშმარიტად საფიქ-
რებელია, რომ თქვენში ყველაფერმა მიიძინა: გულ-
მაც, სინიდიმაც, ბოროტმაც და კეთილმაც.

შობა დღეს.

მთელმა დღემ რეკაში გაიარა. ჯერ ისევ ბნე-
ლოდა, როდესაც სვენ ცისკარზედ ჩავედით სასახლის
საჯვარეში. საჯვარე იმყოფება მიწის ქვეშ და ღი-
ლის ლოცვის დროს კიდევ უფრო ბნელა შიგ, რაცა
აქლევს მას რაღაც სევდიან შეხედულებას. პირველად
ჩავედი მე, მერმეთ მოვიდა რენე ქალბატონი დე-შა-
ვერეჟით, რომელიც წინ დლით ჩამოვიდა.

სისკრად დადგნენ. მე ჯერ ვერ შევნიშნე ბა-
ტონი დე-მტვილი, მაგრამ მერმე მოვიხედე და და-
ვინახე, რომ ის იდგა ჩემს ახლოს. ის მიწოლილ-



იყო სვეტზედ, რომელზედაც იყო ზედ-წარწერილი: **დასახსოვრად ერთი ღე-მტვილთაგანისა**, რომელიც დამარცხებულია ჯვაროსნობის ომების დროს. ეს მდგომარეობა რომბერს ძლიერ უხდებოდა. ეს პირველად აღძრა ჩემში პატივის-ცემა და ვინანე, თუ რატომ ის არ მოსწრებია-მეთქი იმ ბარბაროსობის დროს, როდესაც მისი მკაცრი და პატივ-საცემი სახე, რომელიც ეგრე უსიამოვნოდ გვეჩვენება ჩვენს დროში, მიანიჭებდა მას დიდს პატივს.

მე საზოგადოდ არა ვარ მლოცველთაგანი და ამ დილას სულ ველარ ვახერხებდი თავის რიგზედ აზრების შეკრებას. ჩენე გულ-მხურვალედ ლოცულობდა და **ღე-შავერჭი** ხომ სულ აღტაცებაში იყო.

მე ერთი კიდევ მოვიხედე. **ღე-მტვილს** სახე ხელებით დაეფარა, მაგრამ მე შევნიშნე მასში ისეთი უიმედო მწუხარება, რომ მთელი გონება დამებნა.

ზამოსვლის დროს ჩვენ გამოველაპარაკეთ ერთმანერთს და მან მიიღო ისევე ჩვეულებრივი შეხედულება; მისი ხმა ისევე, სუსხიანი და დაიმედებული იყო, როგორც წინეთ.

პრა ეს ის კაცი არ იყო, რომელსაც ესეც იყო ვხედავდი გამოუცნობელ მწუხარებით აღელვებულს: ის იყო ჩემი საკუთარი ოცნება.

30 ივრემბერს.

საშინლად თოვს. მუშაობა შეჩერდა. ჩენე და მისი ქმარი ყოველ დღე დასეირნობენ მარხილით



და რენე ბრუნდება სახლში ვარდის ფერის ლოკე-
ბით და თვალეზ გაბრწყინებული. ისინი დადიანთა-
ვის მამულში. ახლა მოწყალეების დარიგების დროა.
ბატონი დე-მტვილი საკვირველი უხვი და ბეჯითია
ამ ვალის აღსრულებაში. მე კი ერთხელვე გამოვაცხა-
დე უარი მათთან სეირნობაზედ; ისევ ხელი მიე ავ
კითხვას და მთელს დღეებს ბიბლიოთეკაში ვატარებ.
ბავსწევები ხოლმე ძველს ტანტზედ, გავეხვევი შავ-
შალში, რომლისაც ერთს ყურს ვიფარებ ხოლმე
თავზედ, რომ არ გავყინდე ამ უშველებელს და ცივს
ოთახში.

აქვინ აღარ მიშლის. მხოლოდ ბატონი დე-
მტვილი კი შემოდის ხან-დ-ხან წიგნის გასატანად
ან კარტის დასახედავად, მაგრამ ის მე ვერც კი
მნიშნავს ხოლმე და როგორც შემოდის ისე გადის
ჩუმად. ეს განმარტოება გარდამექცა ჩვეულებად
და მაძლევს საშუალებას, რომ მივეცე ჩემს სევ-
დიან ფიქრებს. მე სრული სიმართლე მაქვს, რომ
ჩემს დარღებს შევექცე. ეს-ღაა უკანასკნელი ნუგეში
ყველა უბედურთა. მაგრამ სჩანს ამის მოსპობასაც
მაპირებენ.

მართლ, როცა მივდიოდი რენესთან მის პა-
ტარა მისაღებ ოთახში, სადაც ის ჩვეულებებისამებრ
ატარებს დილაობით დროს, ღრეკოდ გაღებული კა-
რიდგან შემომცხმა ლაპარაკის ხმა და შეეჩერდი.

— მე ვფიქრობდი, რობერ, რომ ეს ქალი
თქვენ გაპოვადგებოდით თქვენს მუშაობაში და ერთ-

თად იმუშავებლით. ჩემის აზრით ეს ქალი შენაინ-
ნავი ქალია.

— პირველი ეს, რომ ეს ქალი არას ამაყი,
უპასუხა **დე-მტვილიმა**. **თქვენ**, ჩემო ტურფავ, მოსტ-
ყუვდით თქვენს ოცნებაში. მეგრე განვიადებუ-
ლად ამიწერეთ მი ი ღარსებები: მისი ჭკუა და
ენერგია. ის მუდამ დარღობს და თავის-თავზედ სულ
აუღია ხელი; ეს ვერაფერი ეწერგიაა. მე პატივი ვეც
თქვენს დაქინებულს იხოვნას, რენე, მაგრამ დამი-
ჯერეთ და დიდი იმელი ნუ გაქვსთ თქვენის გამოჩჩე-
ულის მეგობრისა, თქვენ შემცდარი ხართ.

შს ლაპარაკი ნამდვილად ჩემზედ უნდა ყოფი-
ლიყოს, მე არ მინდოდა მიმეკურებია და ისევე
წყნარად დაებუნდი.

ამ შემთხვევის წყალობით მე არა თუ დაე-
რწმუნდი, რომ **დე-მტვილი** ჩემზედ იმ აზრისა იყო,
როგორც მე ვფიქრობდი, არამედ ისიც გავიგე, რომ
ჩენეს მოუწვევივარ **დე-მტვილის** წინააღმდეგ.

რასაკვირველია, მე მაშინვე გადავწყვიტე, რომ,
რაც შეიძლება, მალე უნდა წავიდე-მეთქი აქედგან,
როგორც წინეთაც ვფიქრობდი.

ამ წამიდგან დამოკიდებული, როცა რობერთან
ვარ, ემხიარულობ, რაც შემიძლია, ვიმღერი, ვჩინ
სიცოცხლეს და აღუშუოთლობას: არ მინდა, რომ
ის, თავის ბედნიერებით გაამაყებული, უკურებდეს
ჩემს მწუხარებას, როგორც საბრალო სისუსტეს.

მ იანვარს.

ეს ერთი ხანია, რომ ჩემს ბიძა-შვილს ვატყობ რაღაც უსიამოვნება უნდა შეჭხვედროდეს; ისე მსწრაფად და შესამჩნევად იცვლება მისი ხასიათი: ხან იჩენს ბოვშურ მხიარულებას და ხან ეტყობა საშინელი დაღონება; მთელი საათობით ზის გულ-ხელ-დაკრეფილი ფანჯარასთან და იცქირება გონება გაბნეული. ამას მივაქციე ღე-შავერჯის ყურადღება და მან მითხრა, რომ ეს ხასიათის ჩვეულება არის მისი ძმის-წულისა და სრულებით არ აწუხებს მას და თანაც დაუმატა: თუ ჩენეს რამე უჭირდეს, მე მეცოდინებაო. ის ისეთი გულ-წრფელია, თქვენ კი არა გგავს, ტერეზა. მე მწარედ გავიღიმე და მან განაგრძო:

— მე ვფიქრობდი, ტერეზა, რომ ამ ახალ მდგომარეობაში და დაშორებულნი იმ მოგონებას, რომელიც თქვენ გიჩაგრავედა სიყმაწვილეს, ბოლოს გავიხსნიდი გულს, მაგრამ თქვენი გული ახლა უფრო დახშულია, ვინემ ოდესმე. ნეტავი ვიცოდე, რა აზრებსა ჰფარავს თქვენი უმანკო შუბლი?

ძიღვე ეს დაუბლობლობა! მითქო ჩემს მიუთვისელობაში მართლა იმალებოდეს რაღაც უცნაური. მართლა, რა ვარ ამისთანა?

ალბად ჩენეც ეთანხმება ამ აზრს და ჰფიქრობს, რომ მოსტყუედა ჩემში.

ამ დღეებში მე მივსწერე ნოტარ იუსს, რომ დააჩქაროს სახლის გაყიდვა, რომლის გაყიდვაც

მე მბრკოლებს დიდი ხნიდგან გადაწყვეტილი აზრის ასრულებაში: მე გადავწყვიტე, რომ მასწავლებლად წავიდე. აქაურებს არც კი შეუნიშნავსთ ეს ჩემი განზრახვა.

მა რომ ღე-შავერჟიმ იცოდეს, რასაკვირველია, მაშინვე დაიწყებს ყვირილს სირცხვილზედ და მიჩევს მონასტერში წასვლას და დამიწყებს მომავალზედ ლაპარაკს.

მომავალში მე არრას მოველი, მაგრამ მე ოცდა-შვიდი წლისა ვარ, თავისუფალი, გამბედავი და საკმაოდ გონიერი; დარწმუნებული ვარ ჩემს თავზედ და ამით ვამაყობ კიდევ, რომ შემიძლია ასე განვაგრძო ცხოვრება, როგორც ახლა ვსცხოვრებ.

15 იანვარს.

მშვენიერი მშრალი და კარგი ტაროსი სდგას. ძველ ნაშთთა თხრას ისევ შეუდგნენ და კიდევ აღმოაჩინეს ბევრი რამ საყურადღებო.

— მოგდისთ რამე ცნობები შანოდგან? ჰკითხა, ღე-შავერჟის ამ დილაზედ ღე-მტვილმა. მე უნდა მივსწერო მას ჩვენის გამოკვლევის თაობაზედ; თქვენ ხომ იცით, რომ ის ძლიერ მოყვარულია ამავბის და მხოლოდ მას შეუძლია მომცეს საჭირო ცნობები.

— ახლანდელი მისი ადრესი კი არ ვიცი, მაგ-



რომ სამი თვის წინედ ის იღვა პომსკის ტბასთან კნენა ზრიმალდისას.

— ამ საათში მივსწერ მას წერილს, ის საქი-
როა ჩვენთვის ამ ზაფხულზედ.

— ვინ არის შანო? ჰკითხა ჩენემ მამიდას.

— შანა თქვენ მას ვერ იცნობთ? ის არის
მარკიზ ბელმონი, ძველი მეკობარი და ამხანაგი
თქვენი კმარის სამხედრო სასწავლებელში მყოფობის
დროს; ამასთანავე შესანიშნავი არხეოლოგი და
ძლიერ მდიდარი; ერთი სიტყვით, სახელოვანი კა-
ცია.

— სოლიანია?

— ღიად, მაგრამ ცოლთან დიდი-ხანია აღარ
სცხოვრებს.

ეს სახელი მე მეცნაურა. მე თითქო მაგონდე-
ბა, რომ მარკიზის ცოლს შეეხვედრივარ ნათლიასთან.
სოტა მოგვიანოდ ჩვენ გავისეირნეთ, სადაც ძველ
ნაშთებს თხრიდნენ. იქ ლე-მტვილმა განგვიმარტა
ჩვენ ბერმანიის უკოლებია შეხედულება ამ ნაშ-
თებზედ.

— ბიკოთხავსთ თქვენ X-ის თხზულება?

— არა, ის თხზულება ჯერ არ არის გადათარ-
გმნილი და მე, საუბედუროდ, ნემეცური არ ვიცი.
მე ამას ძლიერ ვნანობ, რადგან ამ წიგნში უნდა
ეწეროს ჩემთვის ძვირფასი ცნობები.

— თუ გნებავსთ მე გადაგითარგმნით მას.
მეცდები, რაც შეიძლება, საუკეთესოდ გადაგითარგ-
მნო.

— თქვენ გადათამნით? არ გემძიმებათ მერე
მეღ ამისთანა სამძიმო მუშაობა?

— სულაც არა, ვუბასუხე მე. მართალიც ვუთ-
ხარ:

ღიღი-ხანია, რაც მე სულით და გულით მინ-
დოდა მეშოვა რაიმე მკვიდრი სამუშაო.

დე-მტვილმა ის წიგნი გამოიწერა ტელეგრაფ-
მით და რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ჩაეუჯექით
კიდეც. ჩვენ შორის საერთო ძლიერ ცოტაა და
მე თუმცა არ ვნანობ, რომ ვიკისრე მისი დახმარე-
ბა, მაგრამ როგორც ჩვენ შევუდგებით ერთად მუ-
შაობას, მე თითქო რაღაც მაშინებს.

ძალბატონი დე-შავერჟი წაბრჩანდა.

ჩვენმ ბევრი იტირა მის გამოთხოვებაზედ. მე
ვატყობ, რომ ჩენეს დღითი-დღე ფერი უკრთება
და ღონეც ეკარგვის. ეს ცოლ-ქმარი გარეგანად ბედნი-
ერს ჰგვანან, მაგრამ ნამდვილად კი არ არიან ბედ-
ნიერნი.

ჩვენ შორის ბევრნი არიან ამ-ნაირად უსიყვა-
რულოდ შეუღლებულნი, რომელთა შეუღლებას ვერ
დახმარებია საერთო ცხოვრებაც. ჩენე ნაღვლობს
იმ მოწყენილს და უფერულს ცხოვრებას, რომელსაც
ატარებს.

ძმარი კიჰსწუხს იმას, რომ თავისი პოლიტიკური
რწმენის გამო მას არა აქვს უფრო ფართო გზა
მოქმედებისათვის.

იქმნება ის მისთვისაცაწუხს, რომ მანვერ ჰპოვა



თავის ცოლში მისთანა ამხანაგი, როგორც
ჰსურდა.

მაგრამ ვინ იცის! იქმნება მისს ამაყს და ცივს
გულს ვერც კი მიეკარება ვერაფერი სინანული.

1-ს მაისს

ღიღი-ხანია კალამი აღარ ამიღია ხელში.
რენე ავად იყო და იმან მაიძულა, რომ მე დავრჩე-
ნილიყავ აქ უფრო მეტს ხანს, ვინემ ვფიქრობდი.
რამდენიმე ხანი ჩვენ ვიყოფებოდით დიდ გან-
გაშში; ერთს ღამეს ავად მყოფობამ საშიშრად უმა-
ტა. ბატონმა ღე-მტვილმა შეჰსცვალა თავისი აღუშ-
ფოთველი თვისება, ადგილს ველარ ჰპოულობდა:
ხან მეორე ოთახში აღუფოთებულნი დარბოდა, ხან
ცოლის სასთუმალთან მობრუნდებოდა და მხოლოდ
ბუტბუტებდა: საცოდაო ბავშვო, საცოდაო ბავშვო!!
მე ავადმყოფს აღარ ვშორდებოდი და ველოდი ექიმის
მობრძანებას. ჩემი ფიქრი შეჰჩერდა მხოლოდ ამ აზ-
რზედ: რად კვდება ეს და არა მე?

მე ამაში ვხედავდი საზიზღარს და მკაცრს უსა-
მართლო განგებულებას და ამას ვჩიოდი, სანამ
ლაღვაში არ ვიბოვე დამშვიდება.

ჰო, ჩემო რენე, მე ვსთხოვდი ღმერთს, რომ
ჩემი სიცოცხლე მოესპო და შენი დაეთმო! ღილაზედ
კი რენეს უკეთობა შეეცყო და საშიშარი აღარა
უქირდა რა.

რამდენათაც იმ ავადმყოფობაში ესია მოვინე-

ბოდა ჩემი სამსახური ქალბატონ ღე-მტვილს, იმდენათაც ის ახლა დაჟინებთ, თუმცა მისი ჩვეულებრივი მოხერხებით, მიშორებდა თავიდგან ამ უკვედმყოფობის დროს; ჩემი ადგილი მასთან დაიკავა მონაზონმა, რომელმაც მოიპოვა მისი სიყვარული. პი ეს ნამყოფი მოიტანა ღე-შავერჯის შეგონებულმა დაუნდობლობამ ჩემზედ.

რაკი გავთავისუფლდი ჩენეს მოვლისაგან, ხელახლავ შევუდექ ჩემს თარგმანს. ღე-მტვილი სწერს შენი შენებს და საზოგადოდ ძლიერ მოწადინებულია ამ საქმეში.

ხშირად ვზივართ ხოლმე ეგრე ერთი მეორის პირ-და-პირ ნაშუალამევამდე. მუშაობით გართულნი ჩვენ ევლარ ვნიშნავთ, როგორ გარბის დრო. საზოგადოდ ცოტას ვლაპარაკობთ, მაგრამ რამდენჯერმე მანც შემიხვდა მეამბნა ჩემს გარემოებაზედ და იმ ცხოვრებაზედ, რომელსაც ვატარებდი მამი-ჩემის სახლში. ამ ლაპარაკის დროს ის დადებდა ხოლმე კალამა და გულ-მოღვინედ და თანა-გრძნობით მისმენდა. ნუ თუ ჩენეს ავადმყოფობამ იკონია მაზედ ეკრეთი გაკლენა? ნამდვილი კი არ ვიცი, მაგრამ ვატყობ კი, რომ ის გამოიცვალა.

მს სრულებით ის მოღუშულა კაცი აღარ არის, რომლის შეხედულებაც გვიმორჩილებდა ყველას თავის ამაყის და მრახანე გამომეტყველებით.

ღღეს გავათავე ჩემი თარგმანი, ისევ თავისუფალი ვარ და შემიძლია ისევ განცალკევებულად



ვიცხოვრო. მაგრამ ბატონი დე-მუტეილი შეუდგა ჩემი სახის კვადრებს და მე კიდევ შემხედება ბევრი საათების გატარება მასთან მარტოდ.

რამდენიმე კვირის განმავლობაში განუწყვეტლად სხვისთვის ვსაქმობდი და ჩემი თავი კი თითქმის სრულებით დავივიწყე.

მა რაღაც სრულებით ახალი და უცნაური გრძნობაა. მე სრულებით ვეღარ ვსცნობილობ ჩემს თავს. თითქო ჩემში სცხოვრებს რაღაც ახალი არსება, რომელიც მე წინეთ არ შემინიშნავს და რომელშიდაც იღვიძებს ახალი და ნორჩი ძალა.

ჩემს ცხოვრებაში კი შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. ეს რა მემართება?

მა ორი დღეა, რაც აქ სცხოვრებს მარკოზი დე-ველმონი. ამბობენ, რომ ის მარტო ძველ ნაშთების გულისათვის არ მოსულა სასახლეში; გაზეთებში გადაკვრით ამბობენ, რომ მას რაღაც უსიამოვნო შემთხვევიაო და მან ამჯობინა შორს წასვლა, რომ ამ გზით ის დაევიწყნათო.

მარკოზი განთქმულია თავის სამიჯნურო თავგარდასაყალით და ის ამ ხელობის ნამდვილი წარმომადგენელია ჩვენს დროში.

საზოგადოდ ის ახალი დროის კაცს წაჰგავს და ამ მხრით სრულებით არ ჰგავს სასახლის სხვა მცხოვრებლებს.

სხადია, რომ ჩვენ იმას ცოცხალ ადამიანებად არ მივაჩნივართ, არამედ გვადარებს ძველს საგვარო

საქართველო
საბჭოთაო

სურათებს. ველარც კი მაღავეს იმ ცუდ შთაბეჭდი-
ლებას, რომელიც იქონია მაზედ აქაურობამ.

მე ის ძვირად მელაპარაკება ხოლმე; ეტყობა,
რომ სრულებით გადავიწყნია, რომ იმას ოდესმე უნა-
ხავარ; მე კი სრულებით არ მსურს, რომ მოვაგო-
ნო მას.

მის მოსვლის დღეს რენე პირველად გამოვიდა
პურის ჭამაზედ; ის იყო კიდევ უფრო სანდომიანი, ვინებ
ოდესმე თავის ნარნარი სილამაჟით. ჯერ ისეც დასუს-
ტებული, ის თითქმის ხმასაც არ იღებდა და ძლიერ
მცირე მონაწილეობას ლებულობდა მასში, რაც მის
გარეშემო ჰხდებოდა. ავადნოფობამ მას შესამჩნე-
ვად მოაკლო სიხალისე: ისე ხშირად აღარ
იცინის, სამაგიეროდ ხშირად ოხრავს.

5-ს მაისს.

ამ საღამოს მარკიზი მოულოდნელად მომიჯდა
ვერდში და მდაბლის ხმით მითხრა: ხომ არ დაგა-
ვიწყდითო? მე ვუთხარი, რომ არ მახსოვხართ-მეთქი.

მან დაწვრილებით მომაგონა ჩვენი უწინ-
დელი ნაცნობობა, ამასთანავე რამდენიმე ჩვე-
ულებრივი ალერსიანობაც შემოეხარჯა და მას-
თან მრავალი იმისთანა აზრები და გრძნობე-
ბი გადმომიშალა, რომელთაც მე დიდი-ხა-
ნია აღარ თანა-ვუგრძნობდი; ჩვენ კარგა-ხანს ვიმუ-
საიფეთ. რენეს ეყვინთებოდა და დე-მტვილი მოუ-
რავს ელაპარაკებოდა საქმის თაობაზედ.



მე შემბერო უჩვეულო აღელვებამ. მეგონა, რომ ხელ-ახლავ ვსცხოვრებ წარსულ დროებით და ვგრძნობდი, როგორი აღმური მედებოდა ლოყებზედ და როგორ ცოცხლად და თავისუფლად ელაპარაკობდი. დე-მტვილი შემოვიდა, უცხად გადამავლო თვალი, გადადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და შემომაჩერდა. მის თვალში მე ამოვიკითხე გაკვირვებაც და ზიზღიც, მთელი ჩემი აღელვება თითქო უცებ განმშორდა; მსწრაფლად წამოვდექი, გავედი და კარი ჩავიკეტე ჩემს ოთახში.

იქ მე მოვრთე ტირილი და ვსტირი აქამომდე, სხვა-და-სხვა სევდით დაღონებული. რა უნდა ამ კაცს, რომ ჩამოვიდა ჩვენთან? რად მომაგონა მე ჩემი სიყმაწვილე და დამელაპარაკა ოდესმე ნაცნობის ენით? რად მომაგონა ის გრძნობები, რომელთაც მე ველარ დაფებრუნდები და რომელზედაც აღარც კი ვფიქრობდი? მაშ, არიან ადამიანები, რომელნიც მხოლოდ სიყვარულით აღავსებენ მთელს თავის არსებობას, ყოველივე თავის მწუხარებას და სიხარულს?

— ძალი, რომელსაც არ უყვარს, არ არის ქალიო, მითხრა მან, უსიყვარულო ცხოვრება არ არის ცხოვრებაო. მს გაცვეთილი სიტყვა ასჯერაც წამიკითხავს რომანებში და ყოველთვის გულ-გრილად მიმიღია; მაშ, რატომ მაინცა-და-მაინც დღეს ჩამესო ის ღრმად ჩემს უბედურს გულში და ააღეღვა იგი?

მე თითქო ხელ-ახლავ დავიბადე. იმ ღამინდელმა აღელვებამ აღარ გამიარა. ხან-და-ხან მგონია კიდევ რომ ბედნიერებამ გამილიმა რამდენიმე წუთით მხოლოდ მისთვის, რომ ჩემი უბედურება უფრო ძლიერად მეკრძნო. აღარ შემიძლია უწინდელად დამშვიდებით ვუცქირო ჩემს მომავალს ბედის წერას; მე მდევნიან არეული ოცნებები და უნამყოფო სინანული იმ კეთილ დღეობაზედ, რომლებითაც მე ვერაოდეს ვერ ვსარგებლობდი.

— ვერ ატყობთ მარკიზს, რომ მოსწყინდა ჩვენსას? მკითხა დღეს ჩენემ.

მე ავენთე, რადგან მარკიზის დალაპარაკება ძლიერ მაღელვებს ხოლმე.

მართალია, ჩვენ ძვირად ვმუშაიფობთ, მაგრამ ის რაღაც ახირებულად მიცქერს და ხმასაც იმდაბლებს რაც უნდა მცირე რასმეზედ მელაპარაკებოდეს. ამასთანავე ის საოცრად ზრუნავს ჩემზედ და თავს მევლება. ზუშინ ჩენეს რომ გავყევ დერეფანში, მან მტაცა ხელი, მიიტანა ჩემი ხელი ტუჩებთან და რაღაც წაიჩურჩულა, ისე რომ მე ვერ გავიგე.

— თქვენ გაწითლდით, ტერეზა, განაგრძო ჩენემ. რა ვუყოთ? მს დიდებული გამარჯვებაა და შენთვისაც ძლიერ საქებარი და ხესახელო—ამბობენ მაგას ბევრი გაუუბედურებიაო.

არ ვიცი რისთვის, მაგრამ ამისთანა უბრალო ხუმრობამ გამაჯაერა კი. სივად ვუბასუხე, რომ მე სრულებითაც



არ ეფეტრფი ამისთანა დიდებას-მეთქი და მსწრაფლად გამოვედი.

სასახლეში არ დამიდგა გული და გავწიე ტყის სახლიაკენ. მე აღარ ვყოფილვარ იმ ღირს-სახსოვარ სეირნობის შემდეგ და ახლა მთის ბილიკიდგან ჩამოსვლის დროს, ვსცდილობდი წარმომედგინა მაშინდელი შთაბეჭდილება.

ადგილი არ გამოცვლილა, მაგრამ ახლა მე მას ეუძმწერდი სხვა თვალით.

მისი დაღვრემალი და მკაცრი ველურება უფრო მაღონებდა, ვინემ მამხიარულებდა და ამიტომ დავჩქარე იქიდგან წამოსვლა. მრთ მოხვეულში გზაზედ მოულოდნელად შევეტაკე მარკიზს.

— მე თქვენ გელოდებოდით, მითხრა მან.

მე არაფერი ვუპასუხე, და ის გამომყვა გვერდით. ლმედებოდა. მარკიზი ჩუმად იყო, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ის მაშტერდებოდა და ამიტომ ვერ ვგრძნობდი ჩემს თავს თავისუფლად.

შემდეგ დამელაპარაკა. მე გავიგე რომ... ჰო, გავიგე, ერთის სიტყვით, რა'აც გაიგებს ყოველი ქალი, რომელსაც არწმუნებენ, რომ შეუძლებელია არ შეიყვარონ ის და კიდევ შეიყვარეს.

ის თან-და-თან კალტაცებაში მოვიდა და როდესაც გადვიდა იმ ნეტარების გამოხატულებაზედ, რომლის მოტანა შეუძლია მხოლოდ სიყვარულს,

მის ხმაში გამოიძმა იმისთანა კლო, როგორც
ღრმად ჩაესო გულს.

ბილიკი თან-და-თან ვიწროვდებოდა. მარკიზის
ხელი მომეფოთინა და ის თითქმის აღარც კი იკა-
ვებდა თავის გულის პასუხს. მე მარჩილად ვუსმენ-
დი მას უფრო-და-უფრო გაშტერებით. ამ დროს
მე წავიფერხე; მან შემიკაფა და გამხსნეებულმა ჩემის
სიჩუპით და ნამეტანი აღელვებით დაიხარა ჩემსკენ
ისე ახლო, რომ მე ვგრძნობდი მის სულის
თქმას.

— იყავით ჩემი! მომქესმა მისი აღზნებული წა-
ჩურჩულება.

მხოლოდ ამ წამს მოვედი მე გონზედ. თითქო
სრულებითაც არ ვყოფილვითო მოხიბლული. მე
ამაღელვა მისმა მაურვალე სიტყვებმა, თორემ ფეი-
თონ მან კი არა. ხელი ვკარ და ათრთოლესულ-
მა სირცხვილისა და გულ-მოსულობისაგან წავედი
წინ. ის მომეწია და საოცარის მოხერხებით ყველა-
ფერი გადააქცია ხუმრობად.

სრულებით დაღამდა, როდესაც ჩვენ შევედით
ბალის დიდ ხეივანში. მე ძლიერ ვსწუხნდი, რომ იქ
იმისთანა მღგომარეობაში შევხვდი ღე-მტვილს.
მეგონა, რომ ჩემი სახის გამოხატულებაზედ ის მი-
ხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ მას არცკი შემოუხედ-
ნია ჩემთვის, მხოლოდ გამოელაპარაკა მარკიზს და
წავიდა თავისთვის.

17-ს მაისს.

მს რამდენიმე დღეა მარკიზი და ღე-მტვილი
თითქმის აღარ ჰშორდებიან ძველ ნაშთების თხრას;



ჩვენ კი არ გვეძახიან იქ. **ღე-მტვილს** ეტყობა კიდევ, რომ ჰსურს ყოველივე მუსაიფი ამ საგანზედ ამაშოროს. **მრთხელ** მე მოვიწადინე გამეგო მათი დაობა ამ ცოტა ხანში ნაპოვნს აღაღმაზედ, რომელსაც ერთი ჰპოვებდა მუშად დამეორე ბრაციად; მან ძლიერ მოკლედ და თითქმის ამაყად მიპასუხა და გავიდა მეორე ოთახში, თანაც გაიყვანა მარკიზი. **ქვი** არ არის, რომ მას ჰსურდა ჩემი შეურაცხება. საზოგადოდ მან ჩემთან უწინდელი სასტიკი ხასიათი დაიჭირა.

მგონია, მას დაავიწყდა, თუ როგორ ვმუშაობდით ჩვენ ერთად და როგორ დაარსდა თან-და-თან ამ მუშაობის დროს ჩვენ შორის კეთილი განწყობილება. მისთვის მე შევიქმენ ისეთივე უცხო, როგორც პირველ დღეებში და დავიწყებული. დაუნდობლობა ჩემდამო მასში აღზდგა ახალის ძალით. ამას დაერთო კიდევ ჩემი განწყობილება მარკიზთან! **უკანასკნელის** განზრახვა მისთვის ცხადია და ის ნამდვილად დარწმუნებულია, რომ მეც თანა-ფუგრობ მარკიზს. მე ამას ვატყობ **ღე-მტვილს** თვალებში, როდესაც ის რიგ-რიგად ხან მე შემომამჩერდება, ხან მარკიზს და იმ ზიზღით სიცილზედ, რომელსაც ის ვერ იკავებს, როცა ჩვენ ერთად შეგვისწრებს.

მარკიზის განზრახვა არც ჩემთვის არის საიდუმლო. მე იმდენად ყმაწვილი არ ვარ და უცნობი ქვეყნისა და ცხოვრებისა, რომ ვერ გავიგო, რა არის მისი მიზანი, ან რა არის მისი იმედი.

ამ კაცის თვალში, რომელსაც თავის ხელოვნად გაუხდია მიჯნურული თავ-გადასავალი, ჩემს მდგომარეობაში მყოფი ქალი, ჩემსავით თავისუფალი, ობოლი და უბედური წარმოადგენს ადვილად დასამორჩილებელს. ის მოწყენილია სასახლეში და ჰსურს გართობა, ეს ძლიერ მაწუხებს, მაწუხებს და მეტი არაფერი.

მე მომდის ჯავრი ღე-მ. ცვილზედ და არა მარკიზზედ, მარკიზი მეპყრობა ერთ-რიგად მაინც. მაგრამ არ მიეტოვება ოჯახის მასპინძელს და იმისთანა კაცს, რომელიც იჩენს თავს ყოველივე საქველ-მოქმედოსა ქმეში; არ მაეჭვავება გაჰკაცხოს ქალი, რომლის გარემოება ნამდვილად ჯერ არ გაუგია, გაჰკიცხოს მხოლოდ მისთვის, რომ მას აშკარად დაშეიყვებინა და იფიქროს, რომ ეს ჰხდება მისი თანხმობით და შეიძლება წაქეზებითაც. აი რისი ატანა არ შემოძლია და აი რა მამბრაზებს და რა მამწარებს. მე საშინლად შევეცდი, რომ ვფიქრობდი ერთს-ხანს, რომ მე მოვიპოვე ცოტაოდენი მისი პატივის-ცემა და თანა-გრძნობა; კეთილი გრძნობა მისთვის უცხო რამეა; გარეგნობითი მისი კეთილშობილობა მხოლოდ სიამაყეა. აბა რაღა იქმნებოდა, რომ მე მართლა დამნაშავე ვყოფილიყავ; როდესაც ახლა არა აქვს ჩემს წინააღმდეგ არაფერი, გარდა უსაფუძვლო იჭვინულობისა და ასე უპატიურად მექცევა? მცირეოდენი სისუსტე მის თვალში დანაშაულობად ითვლება; სიყვარულს და გულის-თქმას



ის სთვლია ფუჭე სიტყვებად; ✓ ეს სიტყვები, მისის
 აზრით, გამოხატევენ იმისთანა გრძნობას, რომელიც
 არ შეჰფერის კაცობრიულს ღირსებას. ამ კაცობრი-
 ულს ღირსებას. მისის აზრით, ყოველივე დანაჩენი
 უნდა შეეწიროს მსხვერპლად.

ამ ნაირი ადამიანები ვერ მიიზიდვენ ჩემს გულს,
 და არც უნდა მიმეკა რამე მნიშვნელობა მის-
 თვის, თუ რას ჰფიქრობს ჩემზედ ეს დაუნდობელი და
 ჯიუტი კაცი. მე ძლიერ კარგად ვგრძნობ ამას, ნია-
 დაგ ეძიებოდა ჩემთვის, მაგრამ მაინც ვერ მოვიშო-
 რე აუტანელი გრძნობა უსამართლო შეურაცხებისა.
 ოჰ, მე უბედური! ეს მდგომარეობა, რომელშიაც
 მე ჩავარდი, უაზრესია, როგორ მარტოკაობაზედ. მართი
 მდევს სამარცხვინო განსწრაფვით, მეორეს უსამართ-
 ლოდ ვეძაგები, და თვით ჩენც რაღაც გაუყვებარის
 დაუნდობლობით მიტყობა.

20-ს მაისს.

მე ვსტოვებ ოტვილს. ღღეს საღამოს გამოვეუც-
 ხადე ეს გადაწვეტილება ჩენეს, მაღლობა შევსწი-
 რე ჩემის პატივის-ცემისათვის და ვაბნობ, იგივე გა-
 დეცა ბატონი დე-ოტვილისათვის. ჩენემ მომთხოვა
 ამეხსნა მიზეზი ჩემის წასვლისა, მაგრამ მე უარი
 უთხარი. შემდეგ ეცადა, როგორმე დავეკავებინე,
 მაგრამ იმეც უბრალოდ შეიქმნა. მე ვხედავ, რომ ის
 წასვლის მიზეზს აწერს მარკინისაგან ჩემს დევნას და
 ვსტოვებ მას ამ დაბნეულს ფიქრში.

საქონის
გამოცემის

მას თავშიდაც არ მოსდის, ვინ არის ნამდვი-
ლი მიზეზი ჩემი გაქცევისა. მი.ი ქმრის თვალში მე
ღირსი არა ვარ რენეს ტოლობისა, ეს ცხადია, ჩვენი
საუბარი მას არახებებს და ყოველთვის რალსსც
მოიგონებს, რომ გაგვაშოროს ერთმანერთს. ამ სა-
ლამოს ჩვენ სამივემ მოვიყარეთ თავი მანდორზედ.
რენეს სიცვლქემ მოუარა და დაჯდა პირ-და-პირ
ბალახზედ, მერეთ უცვებ ბოვშურის ალერსით მომახ-
ტა და ჩამიღო თავი კალთაში. ბატონი ღე-მტელი,
როგორც გველ-ნაკბენი, წამოვარდა და ძალით ააყე-
ნა ის.

— თქვენს წლოვანობაში, წარმოსთქვა მან
გამოუთქმელის მკაცრობით, მაგ-ნაირი ბოვშური ქცე-
ვა სააკილოც არის და სისულელეც.

რენე განცვიფრებული უცქერდა მას და ვერც
რამე გაეგო, მე კი მივხვდი და ზევით აეიხვდე.

21-ს მაისს.

მე ვჩიები. ღღეს დალას, როდესაც მივლიო-
დი ღერეთანში, უეცრად გაიღო სახელოსნო ოთახი
და კარებში ჩადგა ბატონი ღე-მტელი. ის ძლიერ
ფერ-ჩამკრთალი იყო. მინდოდა გვერდი ამეარა,
მაგრამ მან გამაჩერა მკერ-მეტყველურის ხელის ნიშ-
ნებით, რომელიც გამოხატავდა ერთად ბრძანებასაც
და თხოვნასაც.

— შემობრძანდითო! წარმოსთქვა მან და მომ-
ცა გზა. მე უახროდ დავემორჩილე და ისიც შემომ-
ცა თან.



ჩვენ შეეჩერდით შუა ოთახში მარმარილოს გრუპპასთან. შუა დღის სინათლე ზევიდგან ჩამონათებული კედლების სისპეტაკისაკან კიდევ უფრო გვინათებდა თვალებში, ისე რომ ერთმანერთის შეხედვას გვიძნელებდა. მე ვუცდიდი, რომ ის დამლაპარაკებოდა; დიდის-ხნის სიჩუმის შემდეგ, ბოლოს, მკითხა:

თქვენ გინდათ წასვლა, ტერეზა?

მე თავი დაუქნიე.

— თქვენ ვერ წახვალთ, მე არაოდეს არ დაეთანხმდები მაგაზენდ.

მე გავიმართე.

— მინ მოგცათ თქვენ უფლება ჩემის დაკავებისა?

მან მხოლოდ შემომხედა, არაფერი კი არ უპასუხნია.

— საბრალო ბავშვო! სად უნდა წახვიდეთ, ჩვენ რომ მოგვშორდეთ?

ამ სიბრალოულმა, რომელიც მის სიტყვებში იხატებოდა, უფრო გამაჯაერა.

— მე სად წავალ, ეგ რა თქვენი საქმეა?

— ჰო, სად? ბანიმეორამან, მე მინდა ვიცოდე, სად?

— იქ, სადაც მე არ შემხედება შეურაცხება.

— შეურაცხება!... მინ გაგიბედათ შეურაცხება? ბელმონმა! იმ შემთხვევაში თქვენ კი არა, ის წავა აქედგან.

ზაბრაზებისაგან დაღმეპილის სახით მან მიაშურა კარებს. ეს მისი შემცდარი აზრი მე მეჩვენა სასაცილოდ და გამელიმა კიდევ.

— მას არაფერი შეუტაცებია შეუხვედრობია ჩემთვის, წაეიბუტბუტე მე.

თუმცა ეს მე ჩუმად ვსთქვი, მაგრამ მან გაიგონა და შეჩერდა.

— სჩანს ის თქვენ გიყვარსთ და ის არის მიზეზი თქვენის წასვლისა.

ის საშინლად გაფითრდა. მე ისევ ვიღიმებოდი და მოვბრუნდი გამოსასვლელად.

მან ღონიერია ხელით დამიჭირა ხელი.

— მაშ ეს მართალია, ის თქვენ გიყვარსთ?

მე რა თქვენი საქმეა, ხელ ახლავ წამოვიძახე მე.

მან ისე დაამცირა ჩემი ამპარტავენება, რომ მე ამ წამს მხოლოდ ერთი მსურდა: სამაგიერო გადამეხადა.

— თქვენ მართალი ხართ, ტერეზა, ეგ რა ჩემი საქმეა! მე ვარ უბედური კაცი.

მან უცებ შემეშო ხელი და ათრთოლებით დაიწყო სიარული ოთახში; ხელებს ინტერეცდა და უთაგბოლოდ რაღასაც იძახდა. მე ვუკვირდებოდი მას და ცოტ-ცოტა მეც ვღვლდებოდი. სიბრაზემ გამიარა. ის ხელ-ახლავ მოვიდა ჩემთან.

— რადგანაც თქვენ ის გიყვარსთ, ტერეზა, უნდა წახვიდეთ. ჰო, წადით!

ის სცდილობდა დამშვიდებული მიყენებოდა და ხმა სულ ჩაეხრინწა. მთლად დაღონებული იყო და ბოლოს დაღონებული მიაწვა მარმარილოს და ხელები

შითჳარა სახეზედ, რომელიც გამოხატაედა სასო-
 წარკვეთიციეზას.

— წადით! შაიმიგორა მან მწუხარებით. თქვენ
 ის გიყვარსთ... წადით!

მე კი არ მიყვარს ის, თითქმის უნებურად წა-
 მომცდა მე.

მან წამოიხეიროა და გამოუთქმელის სიხარულით
 მსწრაფლ გაუბრწყინდა სახე.

მე საშიწლად გოცეებულმა ჩავლუნე თავი.

— ჩადგან ეგრეა, ნულარ წახვალთ, ტერეზა!

შიშ ევდრების ხმაში ისმოდა ისეთი ნაზი და-
 ღონებითი ანგები, რომელიც შეჭყერის მხოლოდ
 ქალის ხმას.

შინ სთქვა ეს? ნუ თუ მან?... რობერმა? მერმედ
 ვის ეუბნება? მე?

მე აღარათერი მესმოდა და არც შემეძლო გა-
 გება. მე რალაც საშინელი მიაზრა ტანმა. ჩემი ენერ-
 გია მთლად გაჰქრა; მე აღარ ვიცოდი, რატომ მინ-
 დოდა წასვლა; მისმა სახემ მთლად მიმიზიდა. ხმის
 ამოუღებლად და ათრთოლებული ვიდექი მის
 წინ.

— მომიტევეთ! შანაგრძო მან. მისი ამაყი
 თავი დასწია, ისე მდაბლად, რომ თითქმის ჩემს
 ხელებს მიეკარა.

— ტერეზა, სთქვით, რომ თქვენ არ წახვალთ.

მან მწუხარებით ჩამხედა თვლებში, რომლიდ-
 განაც ამოიკითხა ჩემი პასუხი, დაჩუმდა და
 მადლობაც აღარ მითხრა...

საქართველო
1919

რამდენიმე წამის შემდეგ მე აღარ ვიკვირ სახე-
ლოხნოში. მგონია, რომ ყველა ესეგები სიზმარია
და შიშით ველი გამოვლიძებას. მელარც კი ვბე-
დავ დავეკითხო ჩემს საკუთარს აზრებს, და მისახ
ხომ სულ ვერა. როგორ უნდა შევხედეთ აწი ერთ-
მანერთს?

შველაფერხვდ უფრო აი ეს ფიქრი მაშინებს:
მიწდა გავიქცე და არც შემიძლია.

23 მაისს. ✓

ჩვენ შევხვდით ერთმანერთს. მაგრამ მარტონი
კი არ ვყოფილვართ. ერთი სიტყვითაც არ გაუხე-
ნებია ჩემთვის, რაც მოჰხდა ჩვენს შორის
მან ძლიერ შეწუხებული სახე აქვს, მაგრამ საზოგა-
დოდ ფრიად ფრთხილად უჭირავს თავი; მხოლოდ
ხან-და-ხან გადმომხედავდა მწუხარებით სახსე თვა-
ლით, ისე რომ შემადრწუნებდა.

ჩემთან დალაპარაკებას ვარიდებოდა, მაგრამ
როდესაც აუცილებლად უნდა შემხედვს, მე ყოველ-
თვის მეჩვენება, რომ ბოდიშს მთხოვს, მის ხმაში
იმდენი კრძალვა და თითქმის მოწინააღმდეგეობა მოისმის. ეს
ის წინანდელი რაბერი აღარ არის, გუშინ-წინ რომ
თავის სახელოხნო ოთახში იყო; ახლა ყველა მიწი
ძალა და ღონე იმაზეა მიმართული, რომ დასდევს
ჩვენს შორის იქეთი რამ დაბრკოლება, რომლის გა-
დაბიჯება მან არ შეეძლოა.

ამ აღშფოთებულს მდგომარეობაში აღარ



შემიძლია განვარჩიო, თუ რისი მეშინია, ან რისი იმედი მაქვს... არც მოსახრების და აღარც მოფიქრების ღონე აღარა მაქვს, მაგრამ შესახედავად მაინც ვსცდილობ, რომ დამშვიდებული ვეჩვენო სხვებს და მართლაც ვერაფერ ვერაფერს მატყობს.

მხოლოდ მარკიზი მდევნის: თავის ცულლუტის ცქერით, რომლისგანაც მე უნებურად ვწითლდები; მისი ღიმილი და გადაკვრითი ლაპარაკი მაწუხებენ კიდევ:

ნუ თუ ის მიმხედარია, რა ჰხდება ჩემში?

ჩენემ კიდევ სცადა რამდენჯერმე ჩემი დაკავება და მეც ხმა-ამოუღებლად დავთანხმდი. ის ისევ გამოცოცხლდა და მისი დაუმცხრალი მხიარულება აცოცხლებს მთელს სასახლეს. ახლა აქ ბევრი სტუმრებია, სხვათა შორის, არის მოხუცებული პროფესორი სტეკკი, რომელიც მოვიდა, რომ წინ წაუძღვეს ნაშთების თხრის საქმეს და ახალ-გაზდა იტალიელი თავის ცოლით, რომელიც ლე-მტვილის ყმაწვილობიდანვე მეგობარი ყოფილა.

საღამო იმავე დღეს.

ღუეს სასახლეში დიდი სადილი იყო. ჩემი მუდამ გამოუცვლელი უბრალო შავი კაბა მწუხარების დაღად მოღჩანდა დანარჩენ ძვირფასს და ბრწყინვალე სმორთულებათა შორის; ან კი რა უნდა მქონდეს აერთო ამ უზრუნველ და მხიარულ არსებებთან....

რენე მომღიმარის სახით, ვარდებით მოართული და თავის ჩვეულებრივის წარწარით გაჩნდებოდა ხან ერთს გროვასთან, ხან მეორესთან.

მე ვუკვრდებოდი იმას და ახლა უფრო ძლიერად ვგრძობდი, ვინემ ოდესმე, ჩემსა და მის შორის განმაშორებელს სამზღვარს და არაოდეს ასე არ შევუწყუბნებდივარ მე იმ აზრს, რომ ობლად უნდა გავატარო ჩემი სიცოცხლე.

მხოლოდ საღამოს დასასრულში მოვიდა ჩემთან დე-მტვილი და მომიჯდა სკამს უკან. საზოგადო საუბარი იყო, მე გაფანტული ვუსმენდი მას და მონაწილეობას არ ვღებულობდი ლაპარაკში. უცრად მარკიზის ხმამ შემაკრთო.

— ამხედ უნდა ეკითხოს ბატონ დე-მტვილს, სთქვა მან განსხვავებულის ხმის ამალღებით, რადგან მას არა სწამს არც სისუსტე და არც უგუნურება.

მე უნებურად მივიხედე რობერისაკენ; ის იმდენად აღელვებული იყო, რომ ტუჩებიც კი უთრთოდა.

— მე მრწამს სისუსტეს და უგუნურებას, ძლივს გასაგონად უბასუხა მან.

ზამოუთქმელმა სიამოვნების გრძობამ დამიბყრო მე. მეღარ ვბედავდი მის მზერას. მუსაიფი გაგრძელდა, მაგრამ მე მასი სმენის თავი აღარ მჭონდა. მე ვუსმენდი ჩემს გულს, რომელიც განუწყვეტლად მიმეორებდა რობერის საოცარს სიტყვებს.

24 მაისს.

ღღეს ჩვენ კარგი მანძილი გავიარეთ; ჩვენ გავისეირნეთ ძღერმონის სასახლეში, საიდგანაც მშვენიერი გადასახედავია ბარზედ და ტბაზედ. მთის ძირამდე ჩვენ ცხენებით მივედით და მერმეთ კი ქვევითად ავედით.

მარკიზის მახვილურის ოხუნჯობის წყალობით ყველანი მხიარულად იყვნენ. რენე და ბეატრიჩე სტერნ გაუწყნარებლად კასკასობდნენ. მე ამოდვსცდილობდი მათსაფით გამხიარულებას. ბატონი დე-მტველი კი სრულოდ არ სცდილობდა, ის სულ პროფესორის სტეკკის მუსაიფს იამენდა.

ბქეთობას რენე მარკიზს გამოჰყვია მკლოფ გამოყრილი; დე-მტველი და პროფესორი ჩამოგვჩენ. მე შეუერთდი უმრავლესობას. დილა მშვენიერი იყო, მაგრამ ახლა ტაროსი გაფუჰდა: სქელი ღურბლით შეიმოსა ცა და ყველაფერი ექაღლოდასაშინელს ქარიშხალს, რომელიც ეგრე ხშირად და მოულოდნელად მოჰხდება ხოლმე მთებში. მართლაც მალე დაუშო წვიმამ და შეიქმნა ელვა ქუხილი. მარისაგან ფეხებზედ ველარ ვმაკრდებოდით და წვიმა გვასხამდა თვალეებში; ჩემი თანა-მოგზაურები წავიდნენ წინ. მე მესლართებოდა ფეხებში მძიმე ნაკეცები ჩემის დასველებული თალხი კაბისა და უნდა გავჩერებულიყავ. ბზა არ ვიცოდი და ვიფიქრე, დავებენი-მეთქი. ბილიკი ყოველ ნაბიჯზედ შორდებოდა. თან-და-თან უფრო გასაქირი ხდებოდა ჩემი მდგომარეობა. ახალ-

საქართველო
1919 წლის
თებერვალი

მა, უფრო უძლიერესმა ქარიშხალმა დაჰბერა და კინაღამ წამაქცია. ამ დროს მომესმა ხმა, რომელიც მე მეძახდა, ეს იყო ღე-მტვილი. მან ხმა ამოუღებლად დამავლო ხელი და როგორც ბოვში აყვანილი ჩამარბენინა ძირს. შოკელმა შიშმა გამიარა და არაოდეს ასე უშიშრად იარ მიგრძენია ჩემი თავი, როგორც ამ წაქში ვკრძნობდი. ხან-და-ხან ის განსხვავებით მაგრად მიმიკრავდა გულზედ და მაშინ მის სახეს ვხედავდი პირ-და-პირ ჩემს სახეზედ.

სუდი ტაროსი უფრო გაძლიერდა და ჩვენ კიდევ მოშორებული ვიყავით ბინას. ღე-მტვილი შეჭჩირდა და მიახედ-მოიხედა გარშემო.

— ძიღვე რამდენიმე ნაბიჯი და ჩვენ არა გვიშავს რა, ესტევა მან. ჩვენ მალე მივაწიეთ რაღაც თაღის მზავსს, რომელიც გამოქცაბულია კლდეში და შევიფარეთ იქ თავი. მე ჩამოვჯექ ქვაზედ. ის ჯერ დარჩა შემოსავალზედ, უკვირდებოდა ქარიშხალს, მერმეო მოვოდა ჩემთან და შემხვდა, რომ სულ ვკანკალებ, დაიჩოქა ჩემს წინ და დამიწყო ხელების ფშვინეტა გასათბობად.

-- საბრალო ბერეზა! საბრალო ბერეზა! მეუბნებოდა ის.

სჩანს, რომ მას ვებრალებოდი მარტო მისთვის არა, რომ გაცივებული ვიყავ.

ჩვენ ერთმანერთს არ ვუტკერდით, მაგრამ რაკი მოულოდნელად ჩვენი თვალები შეჭხედნენ ერთმანერთს, ჩვენ აღარ მოვაშორეთ ერთ-ხანს.

წვიმა ახამდა ერთ-ხანს შეუწყნარებლად და ხე-



ობაში ზუოდა ქარი. რამდენ ხანს დაერჩით ამ გარე-
მოებაში, არ ვიცი.

პირველად მე მოვაშორე თვალი და ეს კისეც
შეშტეტებოდა. ამ ნაირად სიჩუმე უფრო-და-უფრო
მალეღებდა.

თქვით რამე, წაწიურჩულე ბოლოს მე.

მან ამოიოხრა, მკითხა, თუ გავთბი და მაგრად
შემომახვია სველი შალი. ჩვენ ორთავე წამოვდე-
ქით, მივადექით გამოსასვლელს და შევატყერდით
ტას. შეცრად მან დაიწია ჩემსკენ და მითხრა:

— ტერეზა! ღმერთო, მაპატიე! მე თქვენ მიყ-
ვარხართ გაგიყვებით. შემდეგ ყველაფერი მიამბოთა-
ვის სიყვარულზედ და იმ ბრძოლიზედ, რომელიც მან
გაუწია თავის თავს და სინიდისს; სიამაყის და მკაც-
რობის პირბადე ჩამოეხსნა და მისი გული გამეხსნა
მე: გავიგე, როგორც იტანჯებოდა ის და რა ნაი-
რად სცდილობდა, არ დამორჩილებოდა გატაცებას,
მაგრამ მარკიზის მოქმედებისაგან აღგზნებულ-
მა იკვიანობამ ცხადად დაანახა მას, რომ ამო-
იყო ყოველივე მისი მეტადინეობა.

— მე მაინც სიჩუმე ვარჩიე, მაგრამ თქვენ მო-
ინდომეთ წასვლა, მე აზრი დამებნა და ტანჯულმა
იმ მწუხარების ფიქრით, რომ თქვენ გიყვართსთ
სხვა, მე გაკოგიცხადეთ ჩემი საიდუმლო.

მთლად აღელვებული ვისმენდი მის აღგზნე-
ბულს სიტყვებს, მის აღელვებულს ხმას...

ამას ვუყვარვარ მე! ამას! მაშ ეს მართალია!

ია, რასაც მე წინად ვგრძნობდი და რაც მე ისე მაშინებდა, იყო სიყვარული! სიყვარული მისი, რობერის! ან რისთვის ააესო ჩემი გული ამ გამელაფნებამ? ნუ თუ მეც მიყვარს ის? ან როდღეღან? იმ წამში არ შექმდლო მეპასუხნა ამ კითხვებზედ. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მისი სიყვარული ამიღრიდგან ჩემთვის სიცოცხლეზედ უძვირფასესი იყო. სხვაზედ აღარაფერზედ ვფიქრობდი. მას ჩემთვის არ უკითხავს, მეც მიყვარს იგი, თუ არა.

ის გრძნობდა, რომ რა კი მან მომანიჭა თავის მეგობრობა, ჩემგანაც მიიღებდა სამაგიეროს.

ზამოიღარა. შორიდგან გამოჩნდნენ კაცები, რომელნიც ჩვენ გვიახლოვდებოდნენ.

— ჩემო ძვირფასო! წარმოსთქვა მან გულის მომწყველელის უმანკოებით...

— რობერ!...

ამ დროს გამოჩნდნენ მსახურნი: ეტლი გვიტლიდა ჩვენ რამოდენიმე მოშორებით. ჩვენ მივედით მასთან და გავსწიეთ სასაჩლეში.

27-ს მაისს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მარკიზი მიმხვდარია. ის აღარც მეარშიყება და აღერსის მაგიერად მდევნის დაცინვით.

ბუშინ სალამოს ჩვენ შევიკრიბეთ ბანზედ მთვარის ამოსვლაზედ დასასწრებლად. მღებარეობამ ისეთ



ნაირად იმოქმედა ჩემ ელ და საზოგადოდ სხვესუნდას, რომ ყველანი თავიანთთვის ვისხედით ჩაფიქრებულნი. მაგრამ მე ყველაზედ უფრო. მიწოდდა განმარტყაება და თავისუფლება.

მე ჩავედი ძირს და წავედი შორს, ბალის ბნელს ხეფენებში; რობერტს მალე დამეწია. ჩვენნი გულნი იმდენად იყვნენ აღვსილნი, რომ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთი მეორესათვის. მე წარმომიდგა, რომ მას ესწრებდი და ყოველთვის მიყვარდა იგი.

როდესაც ავბრუნდი ბანხელ, მთვარე კიდევ ამოსულიყო.

— პი M-LE ბრივიტ! წამოიძახა მარკოზმა.

— თქვენ მძევნიერება ხართ, დაუმატა მდაბლეს ხმიო, ეგ თვთრი მანტილია განსხვავებით გიხდებათ, მაგრამ მიიღეთ ჩვეა თქვენის თავიანთ-მცემლისა და მეკობრია: ნამეზნავი შეამჩნევია, ერთობ ვცემა კაცს თვალში; 'მაგი მანტილია უფრო გამოსადეგი იქმნებოდა.

ამ დროს მიზნე უბნის აღგილიდგან გამოჩნდა რობერტი.

— პი მ-ტვილიც! მთვალმა მას და მომიბრუნდა ისევ მე კიდევ უფრო ხმის დამდაბლებით: მერწმუნეთ, 'მაგი მანტილია უფრო გამოსადეგი იქმნებოდა.

— თქვენ სრულებით მართალი ხართ და მე დამჩენია მხოლოდ მადლობა მოგახსენოთ თქვენის კეთილის ჩვევისათვის, ეუახარი მე და გაჯავრებული შევედი ჩემს ოთახში, მაგრამ რა უნდა

მკონდეს მე ამ მარკიზთან? რა ვნებს, ან საწყენის მოტანა შეუძლია მას ჩემთვის? მაგრამ მაინც მაწუხებს მე ია და როგორღაც მგონია, რომ ის უბედურება მოჰიტანს.



28 მაისს.

დღეს რობერის დღეობაა. მთელი დღეა დღეობა და ის მიმლოცველება და ჩვენ ერთმანერთისათვის ერთი სიტყვის თქმაც არ შეგვხვდა. სადილად, რომელიც ამ დღეს დანიშნული იყო საკმაოდ გვიან, ველოდით ბევრს სტუმრებს. მე თავის დროზედ ჩავიცვი და აველა სახელოსნო ოთახში; ის ცალიერი იყო; ცოტა ჭანს გაჩეხრდი ჩემს თითქმის მოთავებულს სურათთან; ავსწიე ფარდას, რომელიც ფარავდა მეორე ოთახში შესავალს და სადაც რობერი ჩვეულებრივ ამებრ ჰკითხულობს და ი' ვენებს ხოლმე მუშაობის შემდეგ. ეს ოთახი წარმოადგენს ნახევარ სიმრგვლეს, მისი კედლები აკრულნი არიან ძველებური აბრეშუმის ნაქსოვებით ოქროს-ფერის ადგილით. მძიმე ფარდები საკმაოდ აზომიერებს ნამეტანს სინათლეს, რომელიც შემოდის მაღალი ფანჯრებიდან აივანისკენ. რობერი არც აქ იყო, მაგრამ ყოველივე მაგონებდა მის აქ მოფობას. მე წყნარად დავიარე მთელი ოთახი, გადავარჩიე რამდენიმე ნივთები და გადავფურცლე წიგნი, რომელიც დაეტოვებინა მას გადაშლილი. შრის კედელს ფა-



რავდა მთელის ოთახის სიმაღლეზედ ვენეციული
სარკე. მე შეეჩერდი მის წინ...

ზაცინცხლებული სახე, ანთებულის თვალებით
ბედნიერის ღიმილით... ნუ თუ შენ ხარ ეს, უბედუ-
რო ტერეზა?! მე გავიხადე თალხები და ჩავიცვი
დღეს თეთრი კაბა, ბჭყვალა აბრეშუმ-ნარევი.... კი-
სერი და მკლავები მოშიშვლებული მქონდა. ჩემი
ფერ-მკრთალობაც კი არ მეტყობოდა შპალერის
შუქის წყალობით. პირველად ჩემს სიცოცხლეში
მომეწონა დღეს ჩემი სახე; მაგრამ ეს ხომ მე არ
ეყოფილვარ, არამედ ეს იყო რობერის სატრფო ქა-
ლი.

ამ სარკეში მალე გამოჩნდა ჩემს სახესთან
მეორე სახეც: ეს იყო ღე-მტვილი. ხალიჩაზედ არ
ისმოდა მისი ფეხას ხმა და მე ვერ გავიგე მისი შე-
მოხველა, ის მიცქერდა მოხიბლულის თვალებით და
ველარც ის მცნობდა.

— მჰ, ჩემო სიცოცხლევ, წამოვიძახე მე ემ-
ხში მოსულმა, ჩემო ძვირფასო! შენ დამიბრუნე
სიცოცხლე.

ჩვენ დავსხედით; ის ჩაჯდა თითქმის ჩემს ფეხ-
ით ამ სიყვარულთან ღუღუნში ის უცებ მოიღუ-
შა და ჩემი ხელებში სახე დაიძალა და ერთიც
ღრმად ამოიოხრა.

— რობერ! ჩავსძახე მე.

მან ასწია თავი. მისი სახის გამოხატულება სრუ-
ლიად შეიცვალა: ეს სახე ახლა გამოხატავდა მწუხარ-
ების ფიქრს.

ჩემს ვედრებაზედ, რომ ის დამნდობოდა მე, მან მითხრა: შენთან მყოფს, ტერეზა, მე შემიძლია ვიფიქრო მხოლოდ შენზედ.

მან მიმიზიდა და უცნაურის, თითქმის გაცოფებული ღონით ჩამიკონა. მას უცნაურ შედრუბლულს სახეში გამოჩნდა საოცარი მწუხარება და აღტაცება, მაგრამ პირველი უფრო მომეტებულად.

ოთახში თან და-თან ბნელდებოდა. ამ დროს დარეკეს სადილისთვისაც.

— მშვიდობით, ვუთხარ მე.

მაგრამ ის არ მიშეებდა. ის ეალერსებოდა ჩემს თმებს და შემომცქეროდა, თითქო უნდოდა საუკუნოდ შთაებეჭდა გულში ჩემი სახე.

მერმეთ მივიდა ყვავილებიან ვაზასთან, ამოაძრო რამდენიმე ჩაის ვარდები და თეთრი წამბახის ყვავილები, გაურია ბზია ფოთლებს და მითი მომირთო თავი. შრთხელ კიდევ გამოჩნდა სარკეში ჩენი ლანდი, ორივე ერთად შეერთებული.

— მშვიდობით, გავიმეორე მე.

სტუმრის მისაღებ ოთახის კარებთან შევეტაკე მარკიზს, მან ჩემს დანახვაზედ თავი ველარ შეიკავა და წამოიძახა: თეთრებში, ტურფავ ასულო! და თან შემცქეროდა თავის გამქვალავის თვალებით; ეს რა უმანკოება და სიმშვიდეა! სწორედ რომ ვესტოლკაა, *)

*) შესცალკეობი იყვნენ პრბ-თაყვანის ცემის დროს ბომის მონა-გუნეში, ბომულთაგ ცაბარში განუქრთმულად ცეცხლი უნდა შეეწახათ. ესენი უნდა ყოფილიყვნენ დალწულუმი და ნიშნად უმანკოებისა მთლად თუთრად უნდა ცმოდათ.



თავზედ რომ ყვავილები შემნიშნა, გესლიანად გაიღიმა და ძლიერ გააგონად და მდაბლად თავის დაკრით დაუმატა. ეს სიტყვები ი ერთის კილოთი წარმოხსთქვა, რომ მე ხელ-ახლავ ტანმა მიახრა ჩალაც ფათარაყის მოახლოვება და ჩემი მზიარული მღვწეობა მარეობა გაჰქრა.

ღამით, 1-ს ივნისს.

ის ღროება, რომელიც მე ესეც არის გამოვიარე, არაოდეს არ ამოიფხვრება ჩემის მახსოვრობიდან: მისი კვალი საუკუნოდ დარჩება ჩემს გულში. დილას ჩენემ სთხოვა ღე-მტვილს წაჰყოლოდა მას წაღა საულჭიციის ეკლესიის ნანგრევებისაკენ, მან უარი უყო მოუტლელობის მიზეზით.

— რადგან ფვრეა, მე გიახლებით, უთხრა მარკიზმა.

ამ საღამოს ელვავ-ქუხილი იქმნება, უთხრა რომ ბერმა ცოლს, და სერნობაზედ ფიქრიც უნ გაქვს.

ლაპარაკი შეჰსწყდა.

მალე ჩემს წასაყვანად გადმოვიდა ჩვენი მეზობლის ქალი, ქალბატონი ღე-რაფ; მას მოუყიდა ახალი სურათები იტალიიდან და მსთხოვდა ერთად ვადაგვეთვალიერებინა.

მე წავედი რომერის შეტყობებლად, მაგრამ სულამოზედ ის თვითონ მოვიდა იქ; ამ გარემოებამ მე ძლიერ გამაკვირვა.

— მალავე ელვა ქუხილი დაიწვება და მე არ მიწოდდა, რომ თქვენ მარტო წამოხსნ-

ლიყავით მოემაღლეთ, ერთი წამის დაკარგვაც არ შეიძლება.

მართლაც, გამოვედით თუ არა, იქვეა, მაგრამ ჩვენ მძვილობით მოვედით შან. შესავალ ოთახში რობერს მოეკვება მსახური და უთხრა მას რაოდენიმე სიტყვა; მე ყურა მოევარ მარლულ ამ სიტყვებს: მარკოზ ბელმონი... ქალბატონი დე-მუტილიისა... ნან-გრევი წმიდა საულპიცინისა.

მე მივხვდი, რომ რენე თავის უცნაურის ჯიუტობით წაჰიდა მარკოზთან ერთად იმ ნანგრევებზედ, ქრმის რჩევის წინააღმდეგ. რობერმა წამოიძახა მრისხანებით და აღშფოთებით:

— ზაგონილა, თითქმის ღამე ტყვეში წასვლა და ამისთანა ამიღში და კიდევ მარკოზის ამარა, რომელმაც ადგილებიც კი სრულიად არ იცია!

მან გადადგა რამდენიმე ბაჯი და სულ თანდა-თან ღელღებოდა. მაზედ უფრო საშიში აღარათერის შეიძლება!

— შეებით ცხენები ეტლში, მეწაეალ მათ საძებრად!

ი) ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ჩქარად. ამ დროს გაეღვა და თანჯრების მინებმა დაიხრიალა მეჩის გამო. ბაღში ერთი დიდი ხე წაიჭვა.

— რობერ, გაფიცვბთ, თქვენ ნუ მინებალთ! შაპოვიტახე მე შიშისაგან აზრთოლებულმა და ეედრებით ხელი გაუშვირე. მან თითქმის უშვერად მომიშორია თავმდგან.



— თავი დამანებეთ, ტერეზა, წამოიძახა მან ისე მკვახედ, რომ მეტის თქმა ვეღარ გაეუბნებდნენ. გასაჭირშია და მე მოვალე ვარ გავეშურო მის საშეველად, ეს ჩემი ვალია. ამ სიტყვებით ის გავიდა.

ღიად, ეს მოვალეა გაეშუროს მის საშეველად; ვერც ჩემი, ვერც მისი სიყვარული ვერ დააშლევინებს ამას. მე ვიგრძნე ეს, როგორც აუცილებელი ჭეშმარიტება. ის ქალი მისი ვალია; მაშ მე რაღა ვყოფილვარ? რისთვის გავჩნდი მე ამ საზღოში, სადაც ასე გულ-კეთილად მიმიღეს? მისთვის, რომ ქალს ქმარი მოესტაცო, მერმეც მისთანა ქალს, რომელმაც, როგორც გულ-წრფელმა ბავშვმა, მიმიღო დასავით. როდესაც ჩემში შევნიშნე ეს შეცოდებითი სიყვარული, მე არც კი ვცდილვარ შევბრძოდე მას.

სრულიად სინიდისის შეუკრთომელად მივენდვე ამ ნეტარებას და მის სირცხვილზედ კი არც მიუიქრნია. მაშინაც, როდესაც რობერი მეუბნებოდა თავის ბრძოლაზედ, მე სინიდისი დამშვიდებული მქონდა. მე ვხედავდი მხოლოდ, რომ მისი სიყვარულის ძალამ განაქარვა ყოველივე იქვი. აი რამდენად ვიყავ დაბრმავებული!

მისი ცოლი!... ის მისი ცოლია! შოველივე, რაც კაცისათვის წმიდა და ძვირფასია!

რამდენიმე საათის წინეთ ჩემთვის ამ სიტყვებს მქონდა სრულგებით ჩვეულებრივი მნიშვნელობა, ახლა კი მთლად სულს მიშფოთებს. რობერის ცო-

იი... როდესაც მე სამუდამოდ უნდა დაფრჩენილიყავ
ოლოდ...

მე! შეიძლება განა ამისთანა მოსაზრების სიმ-
წის გამოხატვა, ან გამოთქმა? მან დამტოვა იმი-
ტომ, რომ თვითონ უნდა წასულიყო ცოლთან და
მითხრა: «ეს ჩემი ვალოა!» და მეც უნდა დავთანხმე-
ბულიყავ. მაგრამ თუ ოდესმე იმან თავისი ცოლი
დასტოვა ჩემის გულიანათვის, მაშინ მე რაღას
მეტყვის, ან რა სახელს მიწოდებს? მე აღელვებუ-
ლი დავეხეტებოდი ოთახში და ესკდილობდი შემე-
კრიბა აზრი, რაკი ვგრძნობდი, რომ უნდა გადამეწყვი-
ტა ერთი რამ, მაგრამ ვერ ვპოულობდი საწადელს
გადაწყვეტილებას. ჩემი აშლილი ოცნება მიხატავდა
ჩემს საკუთარს ნამოქმედს ფრიად სასირცხვო სახით;
კიდევ მეჩვენებოდა ჩვენი მომავალი უბედურება
და მოახლოვებული მომავალი დრო, რომელიც ზო-
გიერთებისათვის შემარცხვენელი უნდა ყოფილიყო
და სხვებისთვის სამწუხარო... თუ უნდა ვიტანჯო,
ბარემ მართო მე ვიტანჯო: ჯერ დრო არ წასულა.

მე უნდა წავიდდე სადმე შორს, რომ ხსენებაც
დაიკარგოს ჩემი...

მღვა-ქუხილი შესწყნარდა. მე მომესმა ეტლის
ხმა... აი, ისინიც შემოვიდნენ. წინა ოთახიდან
გავიგონე რობერის ხმა. ეს საკმაო იყო... როგორ!
მე უნდა უარი ეყო იმ ბედნიერებაზედ, რომელმაც
მე ძლივს გამიღიმა, დაუბრუნდე ჩემს უნუგეშო
არსებობას? არაოდე! ეს მსხვერპლი ნამეტანი

იქმნება, ეს ჩემს ღონეს აღემატება. სიყვარული, რომელითაც გული მქონდა აღესილი, საშინელის ძალით აფხაგა თავი! უფლებების დასაცავად და გამოუხიზლებულის სინდისის შებრძოლებაში ისევ გამარჯვებული დარჩა.

მე უნდა შევსწიროთ თავი? რისთვის და რისი გულითთვის? მე მარტო ვარ ქვეყანაზედ და მარტო ვაგებ პასუხს ჩემს მიქმედებაზედ. ჩემის გულისათვის არავის არ შეჰხედება გსწითლება. ნუ თუ რენეს შევაბევედრე მე მძიმე შეურაცხება? ნუ თუ მასთან ვარ ეგრე დანაშაული? მანა ღირსია ამისთანა საშინელი მსხვერპლისა ეს ქალი, რომელსაც ვერ მოუხერხებია ვერც მისი შეყვარება და ვერც მისი სულისა და არსებობის შეფნება; რომელსაც გარდა თავისი ბოეშურის ოცნებისა, ფუჰე სურვილისა და სულელური ნატვრისა არაფრის დარდი არა აქვს. მანა შეიძლება ერთს საწარმედ დაიდევს მისი წუთიერი მწუხარება, რომელსაც ის აღბად იგრძნობს, და ჩემი დაუბოლოებელი ჯაფრი, თუ რომ მე იძულებული ვიქმენი უფარი გყო ჩემს საყვარელს კაცს?

მას თვით ბოეშობიდან გარს ეხვია ალერსი და ყოველი ბედნიერება... მე კი მსგავსად არაფერი მინახავს... პატიოსნება, მოვალეობა... დიდი და დიდმნიშვნელობიანი სიტყვებია, მაგრამ განა მათში გავცდვლი მე რაბერს!

მე არ დავწოლილვარ და მთელი ღამე ტანჯვით

გაუბრაზე ამ გულის გაშობელს ბრძოლაში. თენდ-
 ბა კიდევ.

ზადაწყვეტილია. მე შევეთრე რობერს, რომ
 აჩაოდე მას არ მოესცილდე. შევასრულე ცი-
 დეც ჩემს ფიცს. მე სრულენით ვგრძნობ იმ ბორო-
 ტებას, რომელსაც მე ვმოქმედობ და რომელიც
 შემდეგაც უნდა მოვიმოქმედო; ზედნერებით დამბრ-
 მაუების დღეებში გაიარეს დაუმბრუნებლად და სულის
 მშვიდობა საუკუნოდ მშორდება. რა საჭიროა! რო-
 ბერისათვის შე მზათა ვარ ყველაფერი მოვითმინო,
 მაგრამ მე არ მინდა, რომ მან ვინმე მამჯობინოს.
 დღე, ჩვენი განწყობილება იყოს დანაშაულობითი,
 მან უნდა აღიაროს იგი დაუკოცნებლად და იტვირ-
 თოს ჩემთან ერთად. მაგრამ იმ სასასტიკო აჩრებო-
 ბას, სადაც მე უნდა წარმოვადგენდე სიყვარულს და ის
 ქალი კი უფლებს, მე ვერ ავატან. მე არას ვე-
 ტყვი მას, მაგრამ თუ კი ვუყვარვარ, ის ამოიკითხავ-
 და ჩემს სახეში, როცა მე უკანასკნელად შევხედე
 მას, ჩემს ტანჯვას და მისი გულიც იმას გადასწყვეტს,
 რაც მე გადავწყვიტე.

2-ს ივნისს.

მე ვნახე რობერი მხოლოდ საღამოს. მის ფერ-
 მკრთალს და დაქანტულს სახეზე ბრძოლის კვალი
 ეტყობოდა. მას უგრძობა და უფიქრია ის, რაც
 მე. ჩვენ მარტონი არ ვიყავით და ამიტომ ვერც



ვლახარაკობდით და ვერც კი ვხედავდით ერთმანეთის შეხედვას.

მითქო რალასიც გვეშინოდა და მარკიზის ყოველ ნიშნობაში და ჩენეს მცირეოდენ საექვოსიტყვაში ჩვენ ვხედავდით იმის დამტკიცებას, რომ ჩვენი მდგომარეობა ყალბი იყო და გვაიძულებდა უბათიოსნოდ გვემოქმედნა. რასაც აქამდე ჩვენის სიბრძნით ვერ ვხედავდით, ახლა ის თვალ-წინ გვიდგას საშინელის სინამდვილით. საკმაო იყო რამე უბრალო გარემოება, ან როგორმე გაკვრივითი ნათქვამი სიტყვა, რომ საზარელი და ასრული მიეცა ჩვენის ამდენის ხნის ძალ-დატანებითი დამოკიდებულებისათვის.

სალამოს დროს ჩენე წავიდა თავის ოთახში, მეც მივიმალე, რომ, იქმნება, მარკიზიც წასულიყო მალეც მომესმა მისი ფეხის ხმა, მიმავალი ქვის იატაკზედ და შეგბრუნდი სასტუმრო ოთახში. რობერი ჯერ კიდევ იქ იყო, ფეხზედ იდგა ძლიერ ფერჩაქრთალი.

— მე თქვენ ვიცდიდით, მითხრა მან და შეჩერდა. მის ძლიერ-მოსილს სახეზედ შევატყვე, რომ მას რალაც მძიმე და შეუცვლელი გადაწყვეტილება უნდა მიეღო: ის მიემსგავსებოდა მსაჯულს, რომელიც ვერ ბედავს განაჩენის გამოცხადებას. რას განკიხავს ეს განაჩენი? მის წარსულს, თუ ჩვენს სიყვარულს? მე გადავწყვიტე, რომ ეს მტანჯველი გაუგებრობა მომესპო.

— რობერ! ღვიწყე მე.

მან მოიხედა ჩემკენ მოწყენილის სახით.

მე ვიგრძნე ჩემში საკმაო ენერგია, რომ მოექცეულიყავ ისე, როგორც იმას მოითხოვდა ჩემი სიამაყე: მე უნდა დამებრუნებია მისთვის თავისუფლება.

— რობერ, ჩვენმა სიზმარმა გაიარა; ჩვენ წინ გვიდგას მკაცრი და შეუბრალებელი სინამდვილე. მე უნდა წავიდე; ამას თქვენც ისე გრძნობთ, როგორც მე. მან თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად.

— მე თქვენის მოვალეობისათვის უარს ვყოფ თქვენზედ. ძვითინმა მომისწრო და გამაჩუმა. მან შემომხედა ისე, როგორც თავის დღეში არ შემოუტყდავს. და მის გულში გაიმარჯვა ისევ სიყვარულმა.

— ჩემი არჩევანი გადაწყვეტილია, სთქვა მან, წარსულთან ანგარიში გავათავე; დღეიდგან ჩემი ადგილი და ჩემი ბინა თქვენთან უნდა იქმნეს. ჩვენ წავიდეთ ერთად, ტერეზა!...

ჩვენ წავიდეთ ერთად!... ჰო!, ჩემო უბედურო დედა! თუ ოდესმე სასტიკად გაგმობდი შენ, მომიტყევე!

— ჯერ ჩვენ ვერ წავალთ. რადგან მე აქ არაოდეს აღარ დავბრუნდები, მითხრა რობერმა, ამისათვის აქ ბევრი რამ განკარგულება უნდა მოვახდინო და ბევრი რამ უნდა დაეაწყოს.

ღიად, ის არაოდეს აღარ დავბრუნდებ; ის სა-



მუდამოდ ჩემია! მე სულ ამას ვფიქროვებ და მუდამოდ ჩვენი სამუდამოდ სიყვარულის მოფიქრებაში ვბოლოვდები და მშვიდდები აწმყო მწუხარებისაგან.

მისთვის კი მღელვარებისა და ბრძოლის დრომ, მგონია, სამუდამოდ გაიარა. მისი აზრით, მომავლის ბედი გადაწყდა და ცხოვრების გზაც არჩეულია; მხოლოდ მხედ უნდა წავიდეთ წინ და უწამყოფო სინათლეს არ უნდა შეგვაპეროს...

მასთან მყოფი, როდესაც ვისმენ მის ნაზს და მასთანვე ბრძანებთს სუბარს, მე ვგრძნობ მხოლოდ ჩემი სიყვარულის ძალას; მაგრამ როდესაც ის დამტოვებს ხოლმე, ოჰ, მაშინ კი ამ შეცოდების სიმწარე ისეთ ნაირი სისასტიკით მეხატვის, რომ ამისი ატანა თითქმის შეუძლებელია. მე მოუთმენ ელად მოველა იმ დროს, როდესაც დაეტოვებ ოცვილს და ვეღარც მოვესწარ. შოველ ნაბიჯზედ მე აქ ვხვდები უაიმოვნებას და შეურაცხებას. ჩემმა წინანდელმა სიბრმავემ, რომელიც ჯერაც ვერ გამიგია, სამუდამოდ გაიარა.

ჩენეს სრულებით ვეღარ ვუმჯერ. მისი შეხედვა გულს მიკლავს და ყოველი მისი სიტყვა ჩემთან თქმული ჩენს დამამტკივრებლად მიმაჩნია.

მე ჩემთვის ვამბობ: «ის იმდენად ბავშვია, რომ ბევრად არ შექსწყობდება.» მაგრამ ბავშვი რომ არის, კიდევ მითომ ვერ უფრო დამნაშავე მასთან და მისთვისაც უფრო აქვს უფლება, რომ შემძულოს შემდეგში. შოველ უბედურებასთან მე ბრჩებოდა

ჩემი სიამაყე, ეს იყო ერთად ერთი ჩემი ნუგეში, ხალა კი ისიც დაეკარგე და მომავალში თუ მე მომელია კიდევ რაიმე უბედურება. მაშინ კი ვეღარ შეეხვდები თავ-დაუხრელად. ჩემი გამობრწყინებული ბედნიერება გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე დღე, მაგრამ მე მაინც თან-და-თან უფრო მიყვარდა რობერტი, ყოველს ჩემს დამცირებაზედის უფრო ძვირ-თასად მხდებოდა ჩემთვის და ყოველივე ცრემლით, ჩემგან დაფრქვეული, ჩვენს კავშირს ზრდიდა უფრო მკვიდრად და კტკიცვდ. მე ის მიყვარდა მხიარულებ-ბაში, მაგრამ უფრო მომეცემულად მიკვარს მწუხ-რებაში და თუმცა ნიადაგ მტანჯავს სინიდილი, მაგრამ სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ შესაძლო იყოს წასული მდგომარეობის მობრუნება...

როდესაც რობერტი მითხრა: «მთელ სიცოცხ-ლებშიო!», მე ვუბასუხე: ,, ჰო, მთელს სიცოცხლეში-მეთქი!,, იმ წუთში მკირეოდენი ეჭვიც არ მქონდა, რომ ეს ასე არ მოხდებოდა.

როცა აქაურობას მოვშორდებით, ეს მწუხარებაც დასრულდება ოდესმე. ჩვენ ვიქმნებით ბედნიერნი და რა კი მოვიშორებთ საზარელს ბირბედეს. ჩვენ ვიცხოვრებთ მხოლოდ ერთმანერთისათვის. ძვეენის ძრახვა რა გვენადელება? რა კი იმ საუნჯეს დავისა-კუთრებთ, რომელსაც ფასი არა აქვს, ჩვენ შეგვიძლია დანარჩენი არც კი ჩავადლოთ რაიმე. სიყვარულის ძალა თუ ჩვენი იქმნა, ვერაფერი ცრუ მორწმუნო-ება ვერას დაგვაკლვს.



მაგრამ ჩვენი ბედნიერებაც ვეღარ ამოფხრობა იმ სამუდამო მწუხარებას, რომელიც ჩემს გულში გაჩნდა.

4-ს ივნისს.

მართი საათის წინეთ მე ვიჯექი შუშაბანდში და შევხედე ჩენს, რომ ბალიდგან გამოდიოდა. მე არ მინდოდა მისი შეხვედრა, რადგან გუშინ რამოდენ-ჯერმე ისეთ ნაირად შემომამშტერა თვალები, რომ ძალა-უნებურად ფვრი მეცვალა.

მაგრამ არც ის მინდა, რომ ვაჩვენო, თუ მე მას ვერიდები. თუმცა ძლიერ სიცხე იყო, მაგრამ როგორც გაყინული შეფუთნულიყო დიდ შალში და ნელად მოდიოდა თავ-ჩალუნული. ის მეჩვენა ისეთი უძლურია, ისეთი მწუხარე და უპატრონო, რომ შემებრალა; თავში უეცრად შემივიდა ეჭვი და თვალებზედ კრემლები მომადგა. როდესაც მოვიდა ის ჩემთან, მე მივიბრუნე პირი, რომ მას არ შეენიშნა ჩემი კრემლები, მაგრამ მაინც შემნიშნა.

— რისთვის ტირით, ტერეზა?

მის ხმაში შეწუხება ისმოდა. მე არაფერი ვუპასუხე. მან განმიმეორა კითხვა არა ჩვეულებრივის მოუთმენლობით. მე ვითომ გავილიმე და ვუჩვენე რომანის სათაურზედ, რომელიც ხელში მეჭირა.

— მე ესტირი ამ რომანის გმირის უბედურებაზედ.

— მე რომანი ძლიერ მიქო მარკიზმა.

მისი სახის გამოხატულება უეცრად შეიცვალა და მანაც გაიღიმა. ახლა კი აღარ მეცოდება ის. მანა, ამას რომ რობერი უყვარდეს, ვგრე მოტყუედება? ის უნდა მიმხედარიყოს მისი სულის საიდულოსა და მის თვალებში უნდა დაენახამათი გამაცოცხლებელი ალა და მათგან ვადმანაცვენი ვნების ნაპერ-წკლები.

აბა შეიყვაროს ახლა რობერმა სხვა და სანამ თვითონ იგრძნობდეს სიყვარულს, მე უმალ მივხედები მას და, მგონია, კიდევ მოვკვდებოდი უმალ, ვიდრე ის დარწმუნდებოდა თავის ღალატში.

მს არის მისი ცოლი! ამას ხელთ აქვს უმაღლესი ბედნიერება ცხოვრებისა და იმდენად მცირედ აფასებს მას, რომ წინაღვე ვერ გრძნობს, თუ მის დაკარგვასთან რა მოვლის მას. საკვირველია, რომ ეს მისი აღუშფოთველობა, რომელშიდაც მე ვბოულობ ჩემს გასამართლებელს საბუთს, მასთანვე მომეტებულად მაჯავრებს და ზიზღს მგერის იმ ქალისადმი, რომელსაც ეკუთვნის იმისთანა საუნჯე, რომლისათვისაც მე შევსწირავდი ჩემს სიცოცხლეს, და ამას კი არ ესმის არც სიამაყე და არც სიყვარული.

ნ-ს ივნისს.

რობერი დღეს საღამოს მიდის. მან ერთი საქმე კიდევ უნდა გაარიგოს და ყოველივე მოთაედება ჩვენ დავტოვებთ მტვილს. მე უმისოდ აღარ მინდოდა აქ დარჩენა.



— მომეც ნება, რომ მე წაიკიდე და შენც მალე გამომყევი, ვუთხარ მე, მაგრამ მან არ ჰქმნა და მეზვეწებოდა, აღარ მიჰყინებოდი.

— როდესაც შენ არ იქმნები ჩემთან, მე მიწა და ვიცილდე მაინც, რომ შენ იმყოფები ჩემს ოჯახში, თორემ ისე შენი ფიქრი არ მომასვენებს.

მეც დავანებე თავი. ღაღადეთ კი პირობა, რომ, რაც შეიძლება, ძვირად შევზვეჯროდიო ერთმანერთს.

მომავალი ჩვენია და მე აღარ მინდა, რომ კრძალვით და ფარულად ვისარგებლო ჩემსა კუთვნილის ბედნიერებით: ამაში იმყოფება ყოველივე ჩემი ღირსება და ეს უნდა დარჩეს შეურყეველად. მაგრამ დღეს ჩვენ გავატარეთ მთელი დღე სახელოსნო ოთახში, რომ დაშორების წინეთ გული მოგვეჯერებინა ერთმანერთის ცქერით. რობერი ათაგებდა ჩემს ალაღმას; მაგავსება საოცარი იყო, მაგრამ ის მაინც კმაყოფილი არ იყო: მან ვერას გზით ვერ მისცა ჩემს სახეს ახალი, ბედნიერი გამოხატულება.

— ღარჩე! მაგ ნაირად, რობერ, ვუთხარ მე. რა კი მე შენთან ვიქმნები, რაში გინდა ეგ მარმარლოს ნაქეთი? შენ ხომ მე მიყურებ და არა მაგას? თუ კი ჩვენ ერთმანერთს დავშორდებით, მაშინ ეგ სწორედ შესაფერი გამოხატულება იქმნება.

— ტერეზა! მსწრაფლად და მრისხანებით წაშლიდა მან. როგორ შევიძლია აგრე გულგრილად ილაპარაკო იმისთანა საგნებზედ, რომლის მოფიქრებაც მაძრწუნებს მე. ჩვენი დაშორება შე-

უძლია მხოლოდ სიკვდილს.

— მეც მაგზედ გეუბნები, წყნარად მივუგე შე. მე თუ შენ მოგშორდები, რობერ, რასაკვირველია, მხოლოდ მისთვის, რომ მოვკვდე.

მან შემომხედა მწუხარეს ალერსით.

— შენს სიკვდილზედ დასწრება ჩემთვის გამოუთქმელი მწუხარება იქმნება; მაგრამ თუ ჩემს ბედს უწერია ოდესმე შენი დაკარგვა, ტერეზა, მე ესთხოვ ღმერთს, რომ შენ დამკარგოდე მკვდარი და არა ცოცხალი.

ამ სიტყვების შემდეგ ჩვენ კარვა ხანს გავჩუმდით; სიკვდილზედ ფიქრი აღარ მშორდებოდა.

ისიც მაზედ ჰფიქრობდა. ისე ძალუმაღ მიჭერდა თან-და-თან ხელს, თითქო სცდილობდა, რომ დარწმუნებულიყო, თუ მე აქ ვივად კიდევ.

ჩვენ ფანჯარასთან ვიდექით. ღივი ხნის დაღრუბლული მზე უცებ გამობრწყინდა და გაანათა სახელოსნო ოთახი. მისი სხივი მიაღვა ალაღმას და თითქო გააცოცხლა იგი. მე დავიხარე და ვეამბორე მის გაცივებულს მარმარილოს ბაგეებს.

— მე მივეცი ალაღმას ჩემი სულის ნაწილი, წარმოვსთქვი მე ღიმილით; თუ ოდესმე დამკარგო, რობერ, მომეც ნება, რომ ვამოგეცხადო ყოველდღე და განვაახლო ეს ამბორი; შენ აქედგან მიიღებ მას.

ძალბატონ ღე-მტვილს დღეს ჩვენთან არ უსადილნია. მან შემოუთვალა რობერს, რომ ძლიერ



უქეიფოდ ვარო და გამოხსელა არ შემძლიანო. მე იმდენად შეშინებული ვარ რაღაც უბედურების წინაღობით, რომ ეს მისი უქეიფობაც მაწუხებს. მე და მარკიზი ბანზედ ვიყავით, როდესაც რობერი მოვდა გამოხსათხოვრად. მას სამგზავრო ტანისამოსი ეცვა; ეტლი უცდიდა წინა კარებთან. მარკიზს თავი დაუტკრა და მე ისე ცივად ჩამომართო ხელი, თითქო მისთვის სულ გარეშე ვყოფილიყო... ამ წუთში მე კანალამ ვუღალატე ჩემს თავს, ის მე სამუდამოდ მტოვებდა და მეტად ველარც ვნახავდი... მე უცებ ვიფიქრე, რომ დამეძახნა: «მეც წამიყვანემეთქი!» მაგრამ ჩვენ მარტონი არ ვყოფილვართ. მე შევიკრიბე ძალა და როგორც იყო თავი შევიკავე. მტლი წავიდა. მე გავაყოლე თვალი, სანამდინაც მიმიწვდებოდა; მერმედ გულ-დაწყვიტილმა მივიხედმოვინხედე გარშემო. მარკიზი იდგა ჩუმად და არ მაშორებდა გაშტერებულს თვალებს, რომელნიც გამოხატავდნენ ერთსა და იმავე დროს გამბედაობასაც და იჭენეულობასაც.

თვალა რომ შევასწარ, პირი მიიბრუნა. ჩვენ რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ და შევეჩერდით. ღამე მაწმენდილი და ნათელი იყო. მე ავიხედე ვარსკლავებიან ცაზედ და შევეჩერებოდი მათ. ისინი უნათებდნენ გზას რობერს... ხელები გადავაწყვეე მოაჯირზედ.

მარკიზმა კრძალვით აიღო ჩემი ხელები და დაუწყო სინჯვა.

— თეთრი, ცივი და მკაცრი ხელები;

სთქვა მან და შემოშვა ხელი. მე ისევ დავიწყე რული.

— რა ნაირი ქალი ხართ? მკითხა მან ხმის დამდაბლებით.

— იმ ნაირი ქალი, რომელსაც ეს ღამის ჰაერი ეჩვენა ნამეტან ნოტიოდ და ამისათვის იჩქარის გითხრასთ თქვენ ღამე მშვიდობისა, ვუპასუხე მე სიცილით და მოვიფუთნე მანტილიაში. მან ჩაიკვნიტა ჩარბები და უხეირო ღიმილი მოსდიოდა სახეზედ. ჩვენ მივალწიეთ სასტუმრო ოთახის კარებთან.

— თქვენ იცით ჩვენის გვარის წესი? მოულოდნელად მკითხა მან, როდესაც მე გადავაბიჯე კარებზედ.

— არა.

— CONTRASPEM SPERO. მე ჩემ წინაპარების მაგალითს მივსდევ და ეკრეთვე წინააღმდეგ იმედისა ვიმედოვნებ.

6-ს ივნისს.

ჩენემ ყველაფერი იცას. მა შევატყვე მის შეხედულებაზედ, რომლითაც მე ის შემხვდა დღეს. რაც მდგომარეობა მე გამოვსცადე იმ წამში, ვერაფერთარი სიტყვით ის ვერ გამოითქმის.

მე დავრჩი ისევ იმ მდგომარეობაში, მასთან ისეთივე უგრძობელი: მე ესკამდი მის პურს და ვიტანდი საშინელს მწუხარებას მისი დამშვიდებულის და ზიზღის გამომხატველ ის შეხედულობისაგან. ამ

დამამცირებელს სიჩუმეს მე ვამჯობინებდი სავე-
 დურს, ჩხუბს და ცრემლებსაც... მაგრამ ან კი საიდ-
 გან იქმნებოდა ეს ცრემლები? მას ის არ უყვარს. მე
 დაესცი ზარი მის უფლებას და არა მის გულს. მს რომ
 ასე არ ყოფილიყო, იმას არ შეეძლო ჩემი ცქერა:
 ის წავიდოდა სადმე, ან მე გამაგდებდა.

მაგრამ რა ნაირად გაიგო ამან რამე? რაბერი
 გუშინ წავიდა. მე ახლა მაგონდება, რომ რენემ მთე-
 ლი სალამო თაფის ოთახში გაატარა. იმისი უცარი
 უქეიფობა მხოლოდ მოვონება იყო...

სხადია, რომ იმან ყველაფერი იცის. ამისათ-
 ვის საჭირო იყო, რომ ჩვენ მას შევესწარიოთ ერ-
 თად, ან ჩვენი ლაპარაკი გაეკონა! მაგრამ სად? რო-
 დის?

პატარა სასტუმრო ოთახიდგან კოშკში გასას-
 ვლელად არის კიბე მუშაბანდში, რომლიც კენაც
 არის თანჯარა სახელოსნო ოთახისა. რენე მთელს
 დღეებს ატარებს ამ პატარა ოთახში, რომელიც
 არის მართული მის გემოზე; გაიგონებდა თუ არა
 ჩაქუჩის ხმას, რომლითაც მუშაობდა მისი ქმარი,
 ია, რასაკვირველია, მოინდომებდა გარემოების გაგე-
 ბას და ჩემად ავიდოდა ზევით...

რენე არ იღებს ხმას და მე ვერ ვაფიგე; თუ რა
 იცის მართლა ამან და ან რას აპირებს...

ჩვენ შევზღებოდით ხოლმე ერთმანერთს მხო-
 ლოდ პურის ქმაზე; ის თაფის უფლებას იცავს და

ყოველს წერილში მარტინობებს, რომ ის მე მიყურებს, როგორც ერთს ვისმე სარჩენს.

ღღეს მარკიზმა მოინდომა სახელოსნო ოთახში შესვლა ძველი ფულების დასაბედავად და მე გასაღები მიხვდა იმ ოთახისა.

— მე მკონია, მარკიზ, აჩქარებით და მკვახედ გააწყვეტინა სიტუა რენემ, რაც შეეცება ჩემს სახლს, იმის თაობაზედ მე უნდა მეკითხოს და არა სხვას.

მე გავფითრდი ამ შეურაცხებისაგან. მარკიზმა თავი დაუკრა და ჩვეულებრივს სამარჯვით გამოსცვალა მუსაიფი.

საზოგადოდ ის ძლიერ ხერხიანად იქცევა ჩვენს შორის, მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის ჩემი მხარე უფრო უჭირავს.

სადაც უნდა წავიდე, უეჭველად ყველგან მას შევხვდები, ის აღარც კი ჰფარავს თავის უღირსს იმეღებს. იმედი განუძლიერა იმ მნიშვნელობამ, რომელსაც ის აწერს წასვლას და იმ კომედიაში, რომელიც მე იძულებული ვარ ვითამაშო. შოველოს მის დარწმუნებას, ყოველს მის ცხარე სიტყვებს მე ვისმენ ღიმილით და სიცილით, თანაც ვესცილობ, რომ უღარდელი ვეჩვენო და დაფარო ის მწუხარება, რომელიც მე გულს მიკლავს.

დასასრულ მაინც ცხადია მისთვის, რომ მე ვიტანჯვი, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს უფრო სასიამოვნოდ რჩება მისთვის. ის დარწმუნება, რომ მე მიყვარს სხვა, უფრო აქეზებს მის გაფუჭებულს გულს-



ღღეა დილას მე მოულოდნელად მკითხა მან:

— დიდ-ხანს თუქრობთ ისარგებლოდ კიდევ ქალბატონი ღე-მტვილის სტუმართ-მოყვარეობით?

ამ დაცინებამ, რომელიც გამოისმოლა მის ხმაში, გაბაწითლა და მსწრაფლად ეუბა: უხე:

— არა.

— სადღა წახვალთ მერმედ? ბანაგრძო მან დაუნდობელის და მწუხარის ხმით.

— არ ვიცი, მივუგე მე, შესახედავად სრულე-ბით უნაღვლოდ. შეიძლება, საზარელი ბოეშების მასწავლებლობას შევეუდგე.

— თქვენ! ოჰ, ეს დანაშაულობა იქმნება თქვენის მხრით და მაგის შესრულების ნებას არა'ოდეს არ მოგცემთ! მე საქმე მიანებეთ იმათ, ვინც ბუნებისაგან დაჩაგრულნი არიან; თქვენ ერთობ მშვენიერი და ყმაწვილი ხართ და შეგიძლიათ ეგ გზა არ აირჩიოთ. მისაც იმისთანა ცნაური თვისებანი-აქვს, რომლისგანაც უკუუიანესი კაცები კარგვენ გონებას, ისინი მასწავლებლად არ მიდიან, არა!...

მერმედ მან დაუმატა ხმის დამდაბლებით:

— თქვენ რომ მე მომენდობოდეთ, მე თქვენ გიჩვენებლით მშვენიერს ქვეყნებს და იქ იგრძნობდით მთელს თქვენს განუსაზღვრელს ძლიერებას. იუიქრეთ ამაზედ! იცოდეთ, რომ მე ვარ თქვენი საუკეთესო მეგობარი და არა ვითარი ანგარიში არა მაქვს. ამ საძაგელ სიტყვებს განრისხებით და სიძულვილით ეუსმენ და

ქართული
ლიტერატურის
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

ჯადური მომდის ამ კაცზედ. მე მზათა ვარ ყოველ წამს წარმოვსთქვა სიტყვით ეს სიძულვილი და მრისხანება მისი კადნიერების დასასჯელად, მაგრამ მე თავს ვიღრეკ და, როგორც დამსახურებულს სასჯელს, ვისმენ სიმშვიდით მის გამჟღავნებას, რომელიც შეურაცხყოფს ჩემს სიყვარულს და ჩემს ქალურს ღირსებასაც. რა ნაირი უბედური ვარ!

8-ს ივნისს.

რობერისაგან მივიღე წერილი: ის ხვალ დაბრუნდება. «მოემზადეთო სამკზავროთ», მწერს ის, «თქვენ დასტოვებთ სასახლეს ორს დღეს იქით და მეც მალე გამოგყვებითო»...

მოუთმენელად მოველი იმ დროს, როცა დაგვიდგება ჩვენ თავისუფლების და ბედნიერების დღე...

მე ქალბატონს დემეტვილისას გამოუცხადე ჩემი სურვილი მოკლე დროში წასვლისა. მთელი დღე ჩემს ოთახში გავატარე გაცხარებულს მზადებაში; რალაც განუსაზღვრელი მწუხარება, რომლის ძლევაც მე ვერ შევძელი, გულს მიკლაფდა.

მაგრამ რობერი ბრუნდება და ამ ტანჯვას სრულიებით ბოლო მოეღება. ჩვენ წავალთ ერთად, დავიფიწყებთ ჩვენს უბედურებას, ჩვენს ტანჯვას, ჩვენს განსაცდელს და აღვასრულებთ ჩვენს სიყმაწვილის იმედებს.



ქიდევ რამდენიმე საათი და ჩვენი სიზმარნი აგვიხდება.



ღამუკ.

ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა ნაირად უნდა აღვასრულო, რაც აღმიტქვამს? საიდგან ვიპოვო ამდენი ძალა?

სასახლეში ყველას ეძინა. საშინელი ფიქრები მებლანდებოდა და მე ვეღარ ვატყობდი, როგორ მიდიოდა დრო...

შილამაც მოარახუნა კარებზედ, და ახალის განსაცდელის წინა-გრძნობამ გული ამიკანკალა.

მე კარი გავადე; ეს იყო რენე. ჩვენი თვალები ერთმანერთს შეჰხვდნენ.

— მე მინდა თქვენ მოგელაპარაკოთ, ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ მითხრა მან.

მე არაფერი არ ეუპასუხე და მივეცი გზა. ის შემოვიდა და ცოტა ოდნად კაბით გამჰკრა. მე ხელში სანთელი მეჭირა, მის შუქზედ უცბად შევნიშნე, რომ რენე დაფიქრებული იყო და მისს სახეს მტკიცე გაბედულება ჰქონდა. ის დადიოდა ნელ-ნელა, თითქოს უნებურად. თავ-აწეული, ფართო და გაშტერებული თვალებით. სტოლთან რომ მივიდა, ჩაჯდა სავარძელში, რომელიც ისიც იყო მე დავცალე, მედიდურად მიმითითა პირ-და-პირ დადგმულს სკამზედ. ნუ თუ ეს იყო რენე? ბანცვიფრების გამო მე აღარ ვიცოდი რა მექმნა? მაგიუმდი და ეუცლიდი, თუ ის რას იტყოდა.



— ტერეზა! ღაიწყო მან ყოუ ხმით, რომელ-
მაც მე ერთხელავე ისე გამაცვიფრა. ტერეზა, მე
ყოველივე ვიცი და მსურს...

ახლა კი მივხვდი, წამოვხტი ზეზე და სიტყვა
გავაწყვეტინე. რალაც გული მეუბნებოდა, რომ მე
უნდა გამეჩერებინა იგი, რაც უნდა დამმართოდა.

— შოველივე ლაპარაკი უსარგებლოა. თქვენ
შეგიძლიათ სახლიდგან დამითხოვოთ, მაგის უფლება
გაქვსთ და კიბხით კი ნურას მკითხავთ!

მაგრამ იმან, მკონია, ჩემი ვერ გაიგონა და
განაგრძო:

— მე მსურს მოგკითხოთ თქვენ ანგარიში არა
მასში, რომ თქვენ გაამტყუნეთ ჩემი რწმუნება, არა-
მედ იმ შეურაცხებაში და შფოთში, რომელიც თქვენ
შემოიტანეთ ჩვენს ოჯახში. მაშინ იმან წარ-
მოსთქვა ზიზლით და შეუბოვრად ყველა ფერი ის,
რინაც წარმოთქმა შეუძლია ერთს ქალს მეორესათვის,
როცა ის შეეხება მის გრძნობას და პატიოსნებას.

მე ვუსმენდი ქელეით და ხელ-გულ-დაკრეფი-
ლი ვიჭერდი მღვლევარე გულს. შოველს წამს მზად
ვიცავ მაგიერი პასუხი მიმეგო მისთვის ამ ბრალდე-
ბულებაზედ, მაგრამ ვერ ვბედავდი.

ამ დროს მას ერთბაშად ხმა ჩაუფარდა: თქვენ იქმნება
არ იცოდით, ტერეზა, არ იცოდით, რომ მე ი. მიყვარდა!

მე აღეშფოთდი ამ სიტყვაზედ. მინ მასცა
ამასამასთანა გამქლავების ნება? რობერი ჩემი საკუ-
თრებაა, ჩემი სიცოცხლეა და არ ვის არა აქვს ნება, რომ



შეიყვაროს იგი! სისხლი ამივარდა თავში, მთლად კორთოლფებულმა ველარ შეესძელი ხმის ამოღება და ვუცქერდი ჩენეს გამოქრობილის თვალებით. ის განაგრძობდა ლაპარაკს და ყოველივე მისი სიტყვა, რომელიც მიხატავდა მის ძლიერს და უმანკო სიყვარულს, მამატებდა ახალ ტანჯვას. ამას უყვარდა ის!

ამ გარემოებამ მომისპო, რაც დღემდე მამართლებდა. შემრცხვა, ჩავლუნე თავი და ჩელი მიფიფარე თვალებზედ. მდენადვე გაუგებარი და დაბრმავებული ვიყავი, როგორც ჩენე: მე თავშიაც არ მომსცლია, თუ ამ ბავშვში ჰფეტქდა გული მოწითულის ქალისა.

ის დადუმდა და რამდენიმე წუთს იყო ღრმად ჩაფიქრებული. შეეღგან სიჩუმე სუფევდა. ბუნებაშიაც კი არ ისმოდა არაფითარი ხმაურობა. მე არ ვიცი, რამდენმა ხანმა გაიარა ამ მდგომარეობაში. შეცრად ამ გამქლავების ნამდვილ მიზნის შესახებ იჭვი დამებადა თავში და იმან ცოტა-ოდნად შეარყია ჩემი სინანული. მე ავსწიე თავი, დავებჯინე ჩვენს შუა დადგმულ სტოლზედ და დავიხარე მისკენ.

— თქვენ გინდათ მომთხოვოთ, რომ მე ის დაგიბრუნოთ თქვენ? ახლა ძლიერ გვიან-ლა არის ეგ. იმედი ნუღარ გაქვსთ, რომ მე თქვენ დაგიბრუნოთ ის: მეც ისე მიყვარს იგი და ამასთანავე...

— თქვენ სცდებით, ტერეზა, მე არაფრის იმედი არა მაქვს. ჩენე მომიბრუნდა პირ-და-პირ, ჩაფიქ-

რებული გამახატულება გამოსცვალა და მან მიიღო წინანდელი შეურყეველი და მამაცური სახე. ის გულ-ჩივილს და თავის სიყვარულის ამღვიარებელს დედა-კაცს კი არ წარმოადგენდა, ის ახლა ემსჯავებოდა მათგან. — არა, მე თქვენ იმას არ გთხოვთ. საყვარულისაგან დაბრმავებული მე დიდ-ხანს წყნარად და მოჩივრად ველოდი მის დაბრუნებას, მაგრამ ის აღარ დაბრუნდა და თქვენ იცით, ტერეზა, რა რიგად ის დაეცა. ეს მისი დაცემა იმ სიმაღლიდან, რა სიმაღლეზე დაც მე ის მიმჩნა, ჩემთვის სასტიკო თავ-წარის დაცემა არის.

ჩემმა მოტყუებულმა გულმა ვერაიტანა ეს და სიყვარული ამ გულშიც განჰქრა. ამ გარემოებებში ხსენა მე იმისგან, რომ მეც ამ სამარცხენო უფსკრულში არ ჩავეარდი.

მის კილოში ისმოდა იმ ნაირი ღრმა სიძულვილი და დაწუხებული სიამაყე, რომ მე ძალა-უნებურად ისევ ჩავლუნე თავი.

— რაღა გინდათ თქვენ? წავიხურჩულე მე.

— მისი დახსნა, მომიგო მან და განაგრძო: ღმერთი მოწამეა, საქმე რომ მარტო ჩემზედ იყოს, ჩემს დღეში ჩემგან ვერაფერს ვერაფერს გაიგონებდა, მაგრამ მე მივხვდი თქვენ განძრახვას და გავიგე, რომ როგორც თქვენ წახვალთ, ისიც გადმოგყვებათ. თქვენ არ აკმარეთ მას ის ზნეობითი დაცემა, რომლის მიზეზიც თქვენვე ხართ; თქვენ გსურსთ კიდევ, რომ აშკარად გააწყვეტინოთ პატიოსანს წარსულთან ყოველივე კავშირი და მომხივლიც დაუღუპოთ. იმან,



რობერ დე-მტვილმა უნდა დასტოვოს, როგორც გამქცევა დაძაშავემ, სამშობლო მხარე და მამა-პაპის-სეულობა, უნდა უღალატოს თავის მოვალეობას, დაჰკარგოს კეთილი სახელი და გაჰხდეს საზიზღარი ყველაათვის, ვინც კი წინეღპატავს სცემდა მას და ყველაფერი ეს მან უნდა ჩაიდინოს იმისათვის, რომ თქვენ გაგყვესთ. **მხ!** რა საშუალებით, ან რა თვალთ-მაქცობით დაიმონავეთ თქვენ მისი პატროსანი გული?

საზიზღრადო? ბანა შემეძლო რობერი გამეხადნა საზიზღრად? მე მეგონა, რომ ზიზღი არც კი შეეხებოდა მას და მხოლოდ მე ვიქმნებოდი ამის მსხვერპლი, მაგრამ ეს ქალი კი სულ სხვანაირად ჰფიქრობს. მის სიტყვებზედ მე სრულიად არ გავჯავრებულვარ და არც ვიცავდი იმ მკრეოდენ კეთილ-სინიდიანიობას, რომელიც მე კიდევ დამრჩენია, მე მხოლოდ ვცდილობდი ყოველის ძალით, რომ გამეგო ნამდვილი აზრი მისი ნალაპარაკებისა.

ის მამბრალეობდა მე, ვითომც რობერი თვალთ-მაქცობით შემეცდინოს და მისი სიყვარული ჩემი მოხერხებული საქმე ყოფილიყო; ეს კი შეურაცხება იყო ჩემი.

— იცოდეთ თქვენ, წამოვიძახე მე, რომ მან თვითონ შემეყვარა მე ძალ-დაუტანებლად და მხოლოდ მისი სიყვარულით მოიგო ჩემი სიყვარულიც და რაიცა შეეხება ჩვენს წასვლას, ჩვენ აშკარად გამოცხადებულს სიყვარულს, ესეც მისი მოთხოვ-

ნიღების და მისი ბედნიერებისათვის მოჰხდა.

— გაფითრდა და მხოლოდ ამით გასცა თავის აღელვება; ხმა და გამოხედულება უწინდელად შეურყეველი ჰქონდა.

— საქმე იმაშია, რომ ბოროტება უნდა დაითრგუნოს და არა იმაში, რომ მისი მიზეზები ვეძიოთ. ტერეზა, თქვენ ხელი უნდა აიღოთ რობერტზე, ჩემთვის კი არა, მე იმას არ ვთხოვლობი თქვენგან, არამედ მისგან გაუბატურებულის სახელისათვის და მისგან დავიწყებულის მოვალეობისათვის.

— არაოდეს! წამოვიძახე მე გულიანად, აღელვებულმა დავიწყე ოთახში სიარული და თავში მერეოდნენ ათას-ნაირი სხვა-და-სხვა ერთი მეორეს წინააღმდეგი ფიქრები. ბოლოს, რაკი შევხედე, რომ ჩენე ისევ იმ მდგომარეობაში იყო და თითქო ელოდა ჩემს დამშვიდებას ხელ-ახლავ საუბრის განსაგრძელებლად, მე მივედი მასთან:

— რაც უნდა სთქვათ კიდევ თქვენ, ყველაფერი უსარგებლო იქმნება. მე მიყვარს იგი, გეცმისთ, თუ არა? მიყვარს უსაზომოდ, გაგიყვებით, იცე როგორც თქვენ ვერ შესძლებდით ვერაოდეს მისს სიყვარულს და ჩემი გული გაიპოვოდა, რომ ჩვენ ერთმანერთს დავშორებოდით.

— თქვენ გეშინიათ ტანჯვისა?

მის ხმაში გამოისმოდა გამოუთქმელი ზიზღი.

— თქვენ ამბობთ, განაგრძო მან, რომ მე არ შემიძლია სიყვარული? ეს კი არის, რომ როცა მე ის

მიყვარდა, მე არა ვითარს მახვერპლს არ მოვერიდებოდი მისი გულისათვის.

— მაგრამ ჩემზედ ნაკლებ აღარც ის დაიტანჯება, იქმნება მეტადაც იტანჯოს.

— არა უმეტეს იმისა, რაც უნდა იტანჯოს მერმე.

— ღაჩუმდით, თავი დამანებეთ, ვინ მოგცათ ნება ჩემი ვგრე წვალებისა?

— მისი გამოხსნის სურვილმა, ტერეზა!

ამ სიტყვებით ის წამოდგა თავის ადგილიდგან და ჩვენ ვიდექით ერთი მეორის პირ-და-პირ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით.

თუმცა მე უმაღლესი ვარ იმაზედ, მაგრამ ამ წუთში, როცა ჩვენი ზნეობითი მდგომარეობა სხვა-და-სხვა იყო, მე იგი როგორღაც უმაღლესად მეჩვენებოდა მს რენე კი არ იყო, ეს იყო ვიღაც უცნობი ქალი, რომელიც მაქრობდა მე თავის ზნეობითის ავტორიტეტით. ამასობაში მე დაეკარგე ნიჭი ყოველისავე მოსაზრებისა; მაგრამ ინსტიტუტურად კიდევ ვილტოდი დამეცო ჩემი სიყვარული უკანასკნელს ღონის-ძიებამდე.

— ტერეზა, დაეკითხეთ თქვენს სინილისს, მითხრა მან და ბოლოს, რომ შეენძრია ამდენი ხნის მიჩუმებული ჩემი გულის სიმები, დაიწყო ლაპარაკი ღმერთზედ, რომლის წინაშე მე ვსცოდავ, პატიოს-

ნებაზედ, რომელსაც მე ვკარგავ—ერთის სიტყვით, წამომიყენა თვალ-წინ ყველაფერი, რასაც კი შეეძლო გაეღვიძებია და დაემკვიდრებია ჩემში სათნოება, რომელიც მე ისე აბნეულად მესმოდა.

მე არ მინდოდა მისიმოსმენა და ხელებით თავი დავიფარე, მაგრამ ყოველი მისი სიტყვა ჩემამდე მოდიოდა და დაუბრკოლებლად მემკვალებოდა შიგულში, სანამ სრულებით არ მივეყუდე კედელს, რომ არ წაექცეულიყავ.

— მე არ შემიძლია, წაქოვიძახე მე, ჩემთვის რობერი ყველაფერზედ უფრო ძვირფასია.

ამ დროს მოჰხდა ერთი არა დასაჯერი საქმე: რენეს შევხედე ჩემს წინ დაჩოქილს.

— მაშ, შეიძელი ეს მისის სიყვარულისათვის! სთქვა მან.

მისა ხმაში კვალიც აღარ იყო წინანდელის მკაცრობისა: მასში ისმოდა ვედრება. ის მევედრებოდა მე, რომ შემებრალებინა რობერი, დამეხსნა ის იმ დამცირებისაგან, რომელიც მას მოელოდა, არ შევხებოდი მისს წმინდა და უმანკო ცხოვრებას და არ გარდამექცია იმისთანა კაცად, რომელსაც არა აქვს არც სამშობლო და არც სახლ-კარი...

მერავითარის სიტყვით ვერ გამოვესთქვამ იმ ტანჯვას, რაც მე იმ წამში გამოვიარე; თითქო მე შევსწრებოდე საშიშარს დამხობას, სადაც ერთი მეორეზედ დამემარხოს ჩემი ბედნიერება, ჩემი იმედები, ჩემი სიყვარული... და ამ ნანგრევებიდგან თითქოს



ჩაღაც ახალი გრძნობა მეზადებოდა გულში; ეს იყო გრძნობა მსხვერპლისა.

— თქვენ გაიმარჯვეთ! მე წავალ უიმისოდ, მარტო, წარმოვსთქვი მე...

ბევრმა წამებმა, გაიარეს მას შემდეგ; ამ წამების განმავლობაში სულს ვებრძოდი. მაგრამ არ მოვეკედი!

ბუშინ ჩვენ ვამბობდით: კიდევ რამდენიმე საათი და ჩვენი სიზმარი ახდებათქო.

მიღასიც შეუბრალებელმა ხელმა, იქმნება ლმერთისამ, არ მიგვიპო იქამდის!...

ჩვენი სიკვარული უნდა მოჰკვდეს ალთქმული მიზნისათვის... ჩვენ ვუკნებობდით ჩაღაც სამუდამოზე და აი, ჩვენ ვვიღვას წინ სამუდამო სასოწარკვეთილება!

დილა. 9-ს ივნისს.

მთაბში შემოასული მზის სხივი თვალეებში მეცა და მწუხარებისაგან გაშტერებული გამომათხიზლა.

სტოლზედ დგას ანთებული სანთელი, ჰაერში ნაზი სუნჩელებაა, რომელიც მაგონებს ჩენეს აქ ყოფნას.

მა მართალია!.. მე აღვთქვი ჩვენის გულის განგმირვა ჩემის ხელითვე.

აქამდე მე შემეძლო მეფიქრნა მხოლოდ ჩემს მომავალს მსხვერპლის საშინელებაზედ; ახლა კი უნდა მოვიფიქრო, თუ როგორ შევასრულო ეს ალთქმა. ადვილი სათქმელია! რა ბერთან მოლაპარაკება, მის-

თვის შეგონება, რომ მან უარი ჰყოლ ჩემზედ — ეკრითვე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია ჩვენ შორის სიყვარულის მოსპობა.

მთელი მისი სიცოცხლე ჩემშია; ვერავითარი დაფიცება და ვედრება ვერ იმოქმედებს მის შეუდრეკელს ხასიათზედ. მე ვიცი, რომ პირველს შეხედვისათანავე მისი გადაწყვეტილება შეარყევს ჩემსას.

ზავიქცე, გაღვიკა'გო შეუმჩნეველად, გამოუსალმებლად?... მაგრამ ის ხომ გამომყვება! რაც უნდა შორს წავიდე, ის მაინც მოახერხებს ჩემს მოძებნას და ხელში ჩაგდებას. მე ამას ვგრძნობ, მე ამაში დარწმუნებული ვარ; ღრმა რწმუნება მისის სიყვარულის ძალაში მანუგეშებს ჩემს მწუხარებაში.

მოგკედე!... მეტი ღონე არ არის, ეს აზრი, რომელზედაც შედრკებოდა სხვა ქალი, ჩემზედ უკვეთესიც, მე სრულიად არ მაშინებს. თავის მოკვლა ცოდვია, მაგრამ რობერის გადაყოლაც ცოდვია!. ამ საოცარი გამოურკვეველობის გადასაწყვეტად მე უნდა გამოვარჩიო ორს ბოროტებაში ის, რომელიც მხოლოდ მე დამატყდება თავზედ...

ღიან, მე გადავწყვიტე. რად მინდა მე სიცოცხლე? სულ ერთია: რა კი რობერს დავკარგავ, რაღა სიცოცხლე იქმნება ჩემი სიცოცხლე. მომავალში მაინც გავთავისუფლდები იმ მწუხარებისაგან, რომელიც მე მადგია, გაუხარებელ მარტოკაობის გამო.

მერმედ მენის გულისათვის სიკვდილი, რობერ, განა სასიამოვნო არ არის?



მაგრამ რას იტყვის, ჩემს სიკვდილს რომ გაიგებს? ის, რასაკვირველია, მიჰხედება, რომ მე თვითონ მოვისპე სიცოცხლე და თავის-თავს გაიმტყუნებს და თავის აღთქმის აღსასრულებლად, შეიძლება, საიქიოსაც გამომყვეს. თუ რომ დროზედ მოეგო გონებას და ესეც არ ჰქმნა, მაინც რაღა სიცოცხლე მოელის მას? უნაყოფო, დაქუფრული, ერთ-ფეროვანი, უნუგემო და უიმედო. მაშ, მე სიკვდილიც არ შემიძლია! ჩემთვის კი ეს უკანასკნელი თავ-შესაფარი იყო. თავ-განწირულება და გადაკარგვა, სჩანს, არ იკმარებს; უნდა ამოფხვრო მისი გულიდგან სიყვარული და მით უნდა ვიხსნა მისი მომავალი, უნდა განვათავისუფლო იგი... ოხ! მინ უნდა მომენმაროს ამის აღსასრულებლად?

რამდენიმე საათის შემდეგ.

მე თავი მოვიავადმყოფე და არ გამოვსულვარ ჩემას ოთახიდან. რენეს შეხედვა ჩემს ღონეს აღემატება. მე მგონია, წუხელის ჩვენ უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი.

აწი, სადაც არის რობერიც უნდა მოვიდეს.

ჰო, ჩემო სასურველო, რა რიგ ამბავს გიმზადებ! მე ამოდ ვსკდილობ შევიკრიბო ჩემი აბნეული და გაფანტული აზრები. ბნელდება და მე მგონია ჰკუაზედაც ვიშლები.

მს ხმაურობა რაღაა? დერეფნიდგან მესმის ვილასიც ფეხის ხმა; ეს ფეხის ხმა მოახლოვდა ჩემის

ოთახის კარებთან და კიდევ მოაელო ვიღამაც ხელი რაზას, კარი ჩაკეტილია... სიჩუმეა; შემდეგ მოისმის წყნარი ხმა:

— ტერეზა!

ღიღებულო ღმერთო! ეს რობერია!

მე ორივე ხელებით სტოლს დავეკიდე, რომ დამეძლია ის საშინელი ცდუნება, რომელიც ისე მოულოდნელად მეწია.

— ტერეზა, მეძახის კიდევ, გამიღეთ კარი, მე მსურს მოგელაპარაკოთ.

მე პირზედ ცხვირსახოცი დავიფარე, რადგან კინალამ წამცდა სიყვარულის და მწუხარების გაძახილი, თავიც ხელებში დავიფარე, რომ არაფერი ხმა აღარ გამეგონა.

— რასთვის არ იძლევიტ პასუხს, ტერეზა? დაგეძინათ?

მე ისევ ჩუმად ვარ. რამდენიმე წამის შემდეგ ფეხის ხმა მიჩუმდა.

მე დამიფლო შემადრწუნებელმა სინანულმა. ამ საუცხოო ხმას, რომელსაც მე უარი ვუყავი მომესმინა, აწ ვეღარ ვაეიგონებ; უკანასკნელად მომესმა მისგან ჩემი სახელი!

მე მივაცქერდი კარებს, გავალე იგი; ხელი მოვაეღე იმ რაზას, რომელზედაც ედო მას ხელი და ვსცდილობდი, რამე კვალისთვის მაინც მომეკრა თვალი.

საღამოს დროს.

მიგვიანდება. ღრო ვაღის და მე ჯერ არ შთაუგონებივარ ზეგარდმო ნიქს; ვერასფერი ვერ გა-



დამიწყევტა. მართალია, მე მოვიგონე ერთი საშუალება, მაგრამ იმ ზომამდე სასტიკი, რომ ვერ გავბედე მაზედ დაფუძნება.

თუმცა ვებრძოვ ამ აზრს და ვიშორიებ, მაგრამ მაინც მიბრუნდება და მჩაგრავს, როგორც აუშორებელი და უძლეველი რამე.

რობერის გამოხსნისათვის ნუ თუ უნდა დავეცე მე იმ ზომამდე, რომ აღარ მექმნეს უფლება ვიქონიო იმედი ვისმეს სიბრალულზედ?

მგონია, შეუძლებელია აიშოროს კაცმა ერთი ბოროტება, თუ არ ჩაიდინა მეორე და მისთვის, რომ გავასწორო იგი, მე მაქვს ერთი-ღა საშუალება: ეს საშუალება არის ჩემი ზნეობითი დაცემა.

ნუ თუ ჩემს დაბრმავებულს და აბნეულს გონებას აღარ ძალ-უძის მიჩვენოს სხვა უურო კეთილი გზა? ან და იქმნება მართალს ამბობენ, რომ ღმერთი უკრავს გზას სინანულისას, ვინც წინედ უარს ჰყობდა მას!

შენთვის, ბედ-კრულო ტერეზა, შესაძლებელია მხოლოდ ერთი მსხვერპლი: ზნეობითი დაცემა.

მარკიზ ბელმონი აქ არის და მიცხადებს თავისსიყვარულს, მხოლოდ ელის ჩემგან თანხმობას; მეც აღარაფერი მრჩება მის მეტი, რომ უნდა გაუწოდო მას ხელი...

მაშინ, გაცელებულს ამ ამბით, რობერს სიყვარული გაუჩრება და ჩემს სახელსაც დაივიწყებს: ამაცი სული თავის დღეში ვერ აპატიებს თავის თავს

იმ გატაცებას, და ჩემი მოგონება განდევნილი და იძულებული აღარ შეაწუხებს მას და აღარც დაუმძიმებს სიცოცხლეს.

ის აღარ გამომედევნება და აღარც შესწუხდება სხვა-და-სხვა ფაქრით და მოსაზრებით.. ჩემი ზნეობითი დაცემა მხრებს მოკვეცს მას, მაგრამ არა! ამ საშინელს მსხვერპლს ვერვინ მომთხოვს მე! მე ამაზედ ვერ დავთანხმდები!

ოჰ, ღმერთო! ნუ დამტოვებ ამ განსაცდელში! როგორ არ გეშოვება სხვა რამე უცნაური სატანჯველი, სხვა რამე უსაშინელოი სასჯელი, რომელიც შეგიძლია გარდმომივლინო მე მოსანანებლად? რაც უნდა სასტიკად და მკაცრად დამსაჯო შენ, მაინც უფრო ადვილი ასატანი იქმნება, ამ სამარცხვინო საქმეზედ.

მაგრამ ამაოდ ვსთხოვ ზეცას: იქიდგან ვერ ველირსე პასუხს. ამაოდ ვევედრები მას, შემობრალოს-ის რჩება უღმობლად, ღმერთმა მიიბრუნა ჩემგან პირი და მომიძულა მე. ამ ნაირი მსხვერპლი აღემატება ადამიანის ღონეს; მე მშორდება ჩემი ღონე, მე ვამჯობინებ, რომ აღარ აღვასრულო ჩემი აღთქმა, რომ ჩავიდინო დანაშაულობა და დავღუპო ისიც ჩემთან ერთად...

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გათავებულია: ვეცდები, რომ შეეაგონო მას გამიშოროს მე მართო...



მხ, უბედურო! ბანა არ იცი, რომ შორის ყველაფერი უნდა იყოს გათავებული?

ბანა მე შემძლია კიდეც ავსწონო ჩემი მწუხარება და დამცირება? თითქოს ამ დაკარგვის ატანის შემდეგ შემძლიოს სხვა ტანჯვის გრძობა! სიცოცხლე გამითავდა. ჩემი უკანასკნელი ამპარტავნობა და უკანასკნელი მიზანი რობერის დახსნაა. რაც უნდა საძნელო ექმნეს ეს მისი დახსნა, ჩემი სიყვარული მაინც აღემატება მას.

და შენ, ჩენე, სანამ გამკიცხავდე მე იმ შეურაცხებისათვის, რომელსაც მე ეუბნადებ შენს უმანკო ზნეობას, შეჩერდი, მოიფიქრე და გამკიცხე მხოლოდ მაშინ, როცა შენმა პატიოსანმა სინიდიშმა გადაწყვიტოს, თუ სხვა რა საშუალებით შეგეძლო მე ამეცდინა ეს მსხვერპლი.

მხ, ჩენე! შენ რომ შეგეძლოს წარმოიდგინო, რა ზომამდე მიაღწევს რობერისადმი ჩემი სიყვარული, მაშინ მიხვდები, რომ სხვა ღონე მე არა მაქვს მისი გამოსხნისათვის.

შეაღმატა.

სულის შემხუთავი და ბნელი ღამე იყო. მართი ფურცელიც არ განძრეულა ბაღში, ბანი ცარიელი იყო. მარჯვნივ ნელ-ნელა დასეირნობდა ერთს განაკიდე ხეივანში; მისი ღანდი ხან-და-ხან გამოჩნდებოდა ხეებს შუა. მე გადავსწყვიტე: ახლა, ან არაოდეს. ღა ჩემოდნიდგან ამოვიღე მანტილია, მოვი-



ხეივ თავზედ და ბეჭებზედ, გველით ჩაეხედდეს სარკვეში და დაეინახე ჩემი ლოყებ-ჩაცვენილი სახე და უიმედობის გამომეტყველო თვალები. ამისთანა სახე სწორედ შეეფერება საყვარლის შეხვედრას; მე ვედარ შევიკავე სიცილი; ამ ნაირმა უცნაურმა სიცილმა მევე შემაშინა: ეს იყო ჭკუა შესულილის სიცილი. უნდა უჩქარო, სანამ გონება მთლად დამეკარგებოდეს.

მე მივაშურე კარებს და მარდად გავიარე ბნელი დერეფანი. ძიბე განათებული იყო და ეს მომეხმარა, რომ ცოტა გონზედ მოვსულიყავ.

შველაფერზედ უფრო მინდოდა, რომ არვის დაეინახე. ზადავიხედე მოაჯირიღგან და არაეინ იყო; დავაყუჩე და არავითარი ხმა არ ისმოდა. მაშინ სახე დაეიმალე და ჩქარა ჩაეეშვი კიბეზედ. მხოლოდ ერთი მაშინებდა, რომ ჭკუაზედ არ შეემცდარიყავ, სანამ მოვასწრებდი რობერის დახსნას. რა კი გავიარე ფართო დერეფანი, მოვუხვიე მარცხნით შუშაბანდისაკენ, რომილის ბოლოს პატარა კარი იყო ბაღში გასასვლელად, გავაღე ეს კარი და გავიპარე იმ უბადრუკ ხეივნით. მარკიზსა და ჩემს შუა იყო მხოლოდ მესერი. სანამ ამ მესერს გადავაბიჯებდი, მე შეეჩერდი, გული იმ ნაირად მიცემდა, თითქო გასკდომას აპირებდაო.

ველარასფერს ველარ ვხედავდი... თვალები დამიბნელდა და თითქო მთელმა ჩემმა სიცოცხლემ სიზმარივით ჩამიარა წინ. წარმომიდგა თვალ-წინ



დიდი-ხნის წარსული: ბოეშობის შთაბეჭდილება, მგრმელ მომესმა ხმა რობერისა, რომელიც მეუბნებოდა: «ტერეზა! მე შენ მიყვარხარ გაგიყვებით! ტერეზა, შემომფიცე, რომ, რაც უნდამოჰხდეს, არ დამტოვებ!» მეჩვენებოდა კიდევ, რომ მიახლოვდებოდა მისი ნაზი და ამაყი სახე. მე ამაებს ვხედავდი და ყველაფერი ესენი მესმოდა და ჩემს ახლოს კი, რამდენიმე ნაბიჯზედ მოშორებით, იდგა ჩემთვის საზიზღარი კაცი, რომლისათვის მე მიმქონდა სიცოცხლეზედ უფრო ძვირფასი რამე. სულ განაბულმა მე გაეგონე მისი წყნარი, თანასწორი და უდარდელი სიარული. ის სტვენდა ახალ შემოღებულს ოპერეტის მელოდიას. მე წავდგი ერთი ნაბიჯი წინ, გაეწი-გამოფწიე ბუჩქები და გაეჩნდი მის წინ. მან წამოიძახა მოულოდნელის სიხარულით; მოვიდა ჩემთან და მკითხა, თუ როგორ ვარ. ამასთანავე გამომიცხადა, რომ ის დიდად სწუხს ჩემს ავად-მყოფობას. მე ისე დავეყოყნდი, რომ პასუხსაც ვერ ვაძლევდი. ის გვერდით მომყობოდა და უცებ მკითხა:

— როდის მიღიხართ თქვენ?

— ამელამ.

ჩემმა ხმამ რალაც გააცვიფრა. ის და უცებ გადმოიწია ჩემკენ, მაგრამ რადგან პირ-ბადეს ქვეშ ვიყავ, ჩემი სახე ვეღარ დაინახა.

— მარტო? მანაგრძო მან აღშფოთებით.

ჩვენ გამოვედით მინდორზედ, საიდგანაც მოჩნდა სასახლე. მე უცებ მომჩვენა, რომ რობერის ლანდ-

მა გაიარა სახელოსნო ოთახში. დაღონებული და-
ვეშვი სკამზედ. მარკიზი კი პასუხს ელოდა. მე
აეიხედე და წაეიხურჩულე: არ ვიცი-მეთქი.

მან მომაშტერა აღგზნებული თვალები. მე შემი-
პყრო საშინელმა ზიზღმა. მიფიქრე, რომ არ
აფჩარებულიყავ და არ წარმომეთქვა ეს დამლუპავი
სიტყვა, მე შემედ არაოდეს არ წამსცდებოდა-მეთქი.
მე წამოვდექ.

სად ებრაებით წასვლას? მკითხა მარ-
კიზმა.

მე ვცლილობდი ლაპარაკს, მაგრამ ვეღარ
შევსძელი: ხმა სრულებით წამერთო. მან გაძიმეორა
კითხვა. მეც შევიკრიფე ყოველივე ჩემი ღონე და
ეუპასუხე: სადაც გენებოსთ... მე დავბრუნდი შინ,
დავკეტე ჩემოდანი, დავსწვი ქაღალდები და დავს-
ტოვე მხოლოდ რვეული, რომელშიაც ყოველ სა-
ათობით ვსწერ ჩემს მწუხარებას. ახლა ველი გათე-
ნებას, რომ წავიდე. მარკიზი ჭიშკართან მიცდის.

მე ვეფრინებოდი მას პილიე უფრო გვიან.

ღრო გადის ისე ნელა, რომ მგონია, დასასრუ-
ლი აღარ ექმნება-მეთქი. შანჯარა ღია არის; მე გაე-
სტკერი ბალსა და მთებს, რომელთაც აწი ვერა-
ოდეს ვეღარ ვნახავ... ჩემი მძვინვარე მწუხარება
შეიცვალა სასტიკ მორჩილებად: აღრასფერი აღარ
მაშფოთებს ახლა. შათამომავლობითი ბედის-წერა, რომ
მელიცთავი ღვანვე მიმძიმებდა სიცოცხლეს, ასრულდა:



ქართული
ბიბლიოთეკა

ნელ-ნელა ნაბიჯით მიმიყვანა იმ ზომამდე, რომ მევე წარმომათქმევინა სიტყვა, რომელმაც გადასწყვიტა ჩემი ბედი დაუბრუნებლად.

ხვალ რობერი გაიგებს ჩემს დაცემას და ჩემგან არჩეულს გზას.

მე ველარ ვნახავ მას...

დიდი-ხანია განა მას მერმედ, რაც ჩვენ გამოვიარეთ ის საუცხოვეო სიზმარი?

ის შეუბნებოდა მე: «სიკვდილის მეტი ჩვენ ვერაფერი ვერ დაგვაშორებსო!» შენ დაგავიწყდა სირცხვილი, რობერ?...

მაგრამ რისთვის დაეუბრუნდეთ იმას, რაც იყო! მე მსურს, სანამ სამულამოდ დავტოვებდე ამ სასახლეს, ერთხელ კიდევ შევხედო ჩემთვის ძვირფასს და სახლოვარს ადგილებს: ბიბლიოთეკა!, სადაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით, სახელოსნო ოთახს, სადაც მან პირველად მითხრა: «მიყვარხარო»...

დილის სამ საათზედ. 10-ს ივნისს.

მე გავაღე სახელოსნო ოთახის კარი და შევედი. ოთახი სრულებით დაბნელებული იყო: განთიადი ოდნავ ანათებდა მას. აქ გავიგე მე პირველად, რომ მას ვუყვარვარ და მბრწყინავმა სხივმა გამირბინა მაშინ გულში. ახლა ყველაფერი დაბნელებული და მიჩუმებულია, ტანში ქრუნტელმა და-

მიარა; მე ვხატავდი სიცივისაგან და კბილებს
მიწაკვავებდა ციებიანივით.

ჩემი სურათი იდგა ფანჯარაში. როდემდის იდ-
გმის ეს აქ?

შარდა, რომელიც ჰყოფდა სახელოსნო ოთახს
მეორე ოთახიდან, ჩამოშვებული იყო.

მე ავსწიე ეს ფარდა და შევიხედე შიგ.

სტოლზედ ლამაზ ენთო და მასთან რობერი იჯ-
და სავარძელში და მისძინებოდა თავ-გადაკიდებული
მის მისაწოლს ზურგზედ; წინ ეწყო რამდენიმე და-
ბეჭდილი წერილები; იატაკზედ ეყარა ქალაღის
ნაკუწები. მტყობოდა, ხან-გრძლივს მუშაობაში მის-
ძინებოდა.

ამ მოულოდნელს შეხვედრისაგან მე დავკარგე
სულ გრძობა და დავეშვი მუხლებზედ.

— რობერ!

მს წამოვიძახე ოხერით და არა ყვირილით.—
მას არ გაუგონია. ბედნიერი ღიმილი მოსდიოდა
ტუჩებზედ: ის მხედავდა მე, რომელიც ჩემის საკუ-
თარის ხელით ვუმზადებდი მას თავ-ზარის დაცემას!..

ამ ღიმილმა მწარედ შემაწუხა; ის ფიქრი,
თუ როგორი გამოღვიძება მოვლის მას ჩემის წყა-
ლობით, გულს მივსებდა უზომო სიბრაღულით. მისი
მწუხარების შესამსუბუქებლად არ დავზოგავდი ჩემს
სიცოცხლეს, და ჩემი ბედი კი მაიძულებს, რომ მი-
სის რწმუნებისათვის მე სამაგიეროდ საშინელი შე-
ურაცხება მივაყენო...



ის დამიწყებს წყევლას! **ი**, ერთად-ერთი საუნჯე, ჩემი საყვარელი! ის ეჭვს აიღებს ჩემზე! მას ისევ ეძინა; არ იცოდა, რომ მასთან ორ ნაბიჯზედ იმყოფებოდა მისი საყვარელი ქალი და გულ-გაპობილი ეთხოვებოდა მას.

მსურდა ბოლომდე მესიამოვნებია ამ მოულოდნელის ნეტარებით; არ ვაშორებდი მას თვალს; უეცრად რობერი გაინძრა. რაღა ექმნა, რობერმა რომ გაიღვიძოს? შემომხედავს და დამაკავებს. შეშინებული და შერცხვენილი მივეცი მე ამ სამარცხვინო, მაგრამ სასიამოვნო ფიქრს.

მე ვეღარ შევსძელ მეწინააღმდეგებია ამ ფიქრისათვის, რობერს კი ისევ ისე მშვიდობიანად და მაგრად ეძინა. მაშინ მესულ-განაბული მიეფორთხნის მუხლებით მასთან და იმ ბაგეებით, რომელსაც არ შეჭნებია მისი ბაგეების მეტი, წაეჩურსულე უკანასკნელი სიტყვა სიკვირულით. მერმეღ ერთი კიდევ დაეხედე და საჩქაროდ გამოვედი. აწ მშვიდობით, რობერ, მე მივდივარ, მომიტევე!

იქნება მოვიდეს დღე, როდესაც შენ გაიგებ, რომ მე შენთან დანაშაული ვარ მხოლოდ მითი, რომ მომეტებულად მიყვარდი შენ.

გრავინია ბუნე დუ-ოცვილისაგან მინაწერი ქალბატონი დუ-ფაჟურჟისადმი.

ერთი წლის შემდეგ. 20 ივნისს, 1880 წელსა.

პი ერთი წელი გავიდა ტერეზას სამწუხარო გაქცევის შემდეგ. თქვენ მკითხავთ უკანასკნელს წე-

რილში, თუ რა ცვლილება მოჰხდა ამ წელში ჩვენს
ოჯახში.

პრავეითარი... რობერმა აიტანა... მე ცოც-
ხალი ვარ! აი ეს არის ჩვენი გარემო-
ება.

სადაურია ეს საშინელი ძლიერება, რომელმაც
ორი არსება, წინედ უცნობი ერთმანერთისათვის, ეგ-
რე დაახლოვა და ამ დაახლოვებისაგან დაჰხადა ამის-
თანა დაუბოლოავებელი უბედურება? ან ვისი ხელია
ამი' თანა შეუბრალებელი, რომელმაც დასაჯა ერთსა
და იმავე დროს უმანკოებიც?

რითი განვარისხე მე ლმერთი?

ამ დროს მე უცაბედად ჩავიხედე პატარა სარ-
კეში, რომელიც მუღამ მიღვია ჩემს სტოლზედ დედი-
ჩემის სახსოვრად... როგორ ფიქრობთ? ზანა ეს ის
ქალია, რომელსაც ერთის წლის წინედ აათრთო-
ლებდა ერთი მცირეოდენი უწყესობა ცხოვრებაში?

ახლა ეს ქალი არის, როგორც საზოგადოდ
ყმაწვილი ქალები, ნიადგ მომღიმარი და ცინცხალს
მისს სახეს არ ეტყობა არავითარი მწუხარება. მაგრამ
მისმა ოცნებაებმა გაიარა და მას მოუტრია ის სასიკვდილო
იარები, რომელნიც მას გულზედ ჰქონდა დასობილი.

სოცხალია რობერიც... უმეტეს ნაწილ დროს
სახელოსნო ოთახში ატარებს.

იქადგან ყოველთვის დაღრუბლული და გაჩუ-
მებული გამოდის...

სალამოებს კი ერთად ვატარებთ. მმუსაიჟობთ



სხვა-და-სხვა უმნიშვნელო საგნებზედ და მე ვსიამოვნებ ამ მუსაიფით. მაგრამ როდესაც უცაბედად შეჭხედებიან ჩვენი თვალები ერთმანერთს, ჩვენ მაშინვე თავს ჩავლუნავთ და დიდ-ხნობით ველარ შევხედავთ ერთმანერთს.

მაშინ მე გავდივარ ჩემს ოთახში და, როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ მომიხდება ხოლმე ფანჯრის გაღება, ყოველთვის დავინახავ მისი ოთახიდან სანთლის შუქს, რომელიც ჰქრება გათენებისას.

შს რობერია. აგრეთვე ხშირად ვხედავ ამ ზაფხულის თფილს ღამეებში თეთრ ალს, რომელიც უცნაურად მოძრაობს ნოტიო მინდორზედ. იგი ხან ჰქრება, ხან ეფარება ხეებს, ხან ისევე გამოჩნდება კიდეც უფრო ბრწყინვალედ და მაგონებს ღამის ფრინველს...

ძარს მოაქვს ჩემკენ ცხარე სუნი ტბისა; ალი ისევე იწყებს უფრო ჩქარა ტრიალს დაუწყნარებლად და უმიზნოდ: ეს მოციმციმე ცეცხლია. ამ დროს მე მაგონდებიან ის მბროგავი სულები, რომელთაც, ამ ცეცხლის მსგავსად, არ იციან არც დასვენება, არც დამშვიდება იმ განცხრომაში, რომელიც განუწყვეტებით თავის შეცდომით...

ჰო, უბედურო, უგუნურო სულო! უბედურო დაბრმავებულო გულო!

როგორ აღშფოთებაში ჩაგაგდო ამ უბადრუკმა თვისებამ!

სად არის ის ქალი, — არვინ იცის; ყოველივე მისი კვალი განჰქრა....

მარკიზი მარტოკა სცხოვრებს პარიჟში. ხნიე-
რებამ და სინიდისის სინანულმა, მგონია, დაიჭირეს
მასი წინანდელი რეგვენული ადგილი.

მოძრავი ცეცხლი მალე უნდა გაჰქრეს:
თავით თვისით გამხდარა იგი თავის ალტაცების
მსხვერპლად.

იქმნება ის აღარც კი არის ცოცხალი?

ცეცხლი კი ისევ იძვრის, ისევ ტრიალებს, რო-
გორც სულიერი არსება, მწუხარებისაგან დაღონე-
ბული... მე ვგრძნობ ჩემში უმაღლესს სათნოებას
პატიებისას. ზანისვენოს ნეტარებით სულმა შენმა!
მხოლოდ მე მესმის შენი სამწუხარო მსხვერპლი...
შენ შეგძლეხარ სიყვარული, ბედ-კრულო ტერეხა!...



არა, არ არის დანაშაული.

(გაგრძელება) *

XI.

ავიდნენ თუ არა კიბეზედ, შეიტყვეს, რომ ლილიანსაც გამოჰლვიძებოდა და მეგი მოეკითხა. მსაჯულმა, მაშინვე შეყყენა და მხიარულის სახით წარუდგინა.

— ლილიან, აი ჩემი საცოლო. მისს ბრეი თანახმაა გამაბედნიეროს. დარწმუნებული ვარ, შენც გესიამოვნება ეს ამბავი.

თითქმის ზარბაზნის ყუმბარა გამსკდარიყო იმის წინ, ისე შეაკრთო ამ სიტყვებმა, მისტრის მაიტლენდი; ერთს-ხანს სულ გაშტერდა, მერე რომ მოვიდა გონებას, დარწმუნდა, რომ მისი წინაღ-გრძნობა გამართლდა. ლილიანი წამოვარდა, გადაჰხედა მეგის გაფითრებულს პირის სახეს და მოეხვია მამას კისერზედ.

— ღიად მოხარული ვარ, ჩემო მამა! მე სულითა და გულით ვისურვებ შენს ბედნიერებას. მე

*) იხილეთ № 4 «ქართული ბიბლიოთეკა».



ყოველთვის მიყვარდა მისს ზრეი და ამას შემდეგ კიდევ უფრო საყვარელი იქმნება ჩემთვის.

აუცილებელს უნდა დავმოაჩინოვს ყოველი კაცი.— მაიტლენდსაც სხვა ღონე არ ჰქონდა. ის მთელის წლოებით უფროსობდა ამ ოჯახში და ახლა ძლიერ სწყენდა, სხვის მოაჩილებაში რომ უნდა ჩავარდნილიყო. მაიტლენდს ყოველთვის სძულდა მეგი და ეწინოდა მისი; ამისთვის გულში ჰფიქრობდა: ჯერ კიდევ ჯვარის წერამდის დიდი-ხანი გაივლის, ვინ იცის, რამდენი დაბრკოლება გამოჩნდებაო. ამ იმედით დამშვიდებული მიუბრუნდა შორტესკიუს:

— სწორედ გითხრათ, მე ძლიერ ვაკვირვებულნი ვარ! მართი თვე თუ იქმნება, რაც მის ზრეი ჩვენთან არის... მისს ზრეი! თქვენ არ დაგიკარგავსთ დრო... იმედი მაქვს, თქვენც ისეთი ბედნიერი იქმნებით, როგორც ჩემი საცოდავი და იყო.

ამ სიტყვებზედ შორტესკიუს საშინლად მოიღუპა; მაგრამ ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ზურგი შეაქცია მაიტლენდს. მეგი კუდს მდგომარეობაში ჰკრძნობდა თავის-თავს. ბუღ-გრილად დაუკრა თავა მაიტლენდს, ლილიანს გადაჰკოცნა და ღიმილმა გადაურბინა სახეზედ, როცა ლილიანმა წასჩურჩულა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ათასწილად უფრო ბედნიერი იქმნებით დედა-ჩემზედ.

თუმცა ამ ქალმა ლილიანს მოსტაცა მამის გული და პირველი ალაგის უნდა დაეჭირა ამ სახლ-



ში, მაგრამ სრულებით არ ნაღვლობდა მას, ნად წმინდა და სულ-გრძელი იყო იმის სიყვარული მეგისადმი.

მეგის გულში გადაწყვეტილი ჰქონდა შორტესკიუს ცოლობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ჰხედავდა ეამბო მისთვის თავისი თავ-გადასავალი.

— ჯერ მოვიცდიო, — სთქვა გულში, ერთის, ან ორის დღის შემდეგ მოვიკრებ ღონეს და მერე ყველაფერს ეუამბობ.

შოველი მხდალი ადამიანი აგვიანებს იმ საქმის დაწყებას, რომელიც საეჭვოდ მიაჩნია. და მეგიმთელს სიუცხლეში პირველად ჩავარდნილიყო ამ მდგომარეობაში. შამოთხოვების დროს საქმრომ შეიყვანა თავის ოთახში და აღერსიანის ხმით ჰკითხა:

— როდისათვის შეგიძლია, ჩემო კარგო, დაიწერო ჯვარი?

მეგიმ შეჰხედა ანთებულს თვალებში და პასუხად უნდოდა ეთქვა:

— მე დამნაშავეის ქალი ვარ, რომლის გვარის გამხელასაც ვერ ვხედავ თქვენს სახლში. სხვისი გვარი დავირქვი; თქვენი სიმდიდრისა და სახელის პატრონი ნუ თუ ისურვებთ ჩემს შერთვას? არა მჯერა. შიშისაგან ჩამწყდარის ხმით უთხრა მას მეგიმ:

— დრო მომეცით ვიფიქრო. ისე მოულოდნელად მოჰხდა ყოველივე, რომ არ შემიძლია გადაწყვეტილი პასუხი მოგცეთ ახლა.

— ორი თვე მომიცია დრო, უთხრა ნაზისა და



აღელვებულის ხმით, რომელშიაც ბრძანებაც გამოჩნ-
მოდა. შენდოდა მოხვეწოდა და ჩაეკრა გულში, მაგ-
რამ მეცა გადაჰკრა ფერმა და გაუსწლტა ხელიდ-
გან.

— ლმერთო ჩემო! აგრე მალე ნუ დანიშნავთ,
შევიბრალოთ! ტარილით ეხვეწებოდა და იფარებდა
ხელს, რომ განთავისუფლებულიყო იმისაგან.

— ძარკი, კარგი, აღარ შეგაწუხებთ ჩემის
აღერსით. მე სულ დამაფიწყდა, რომ ჯერ არ გიყ-
ვარვართ, მაგრამ იმედი მაქვს, შემოყვარებთ. სიყვარუ-
ლი სიყვარულს გამოიწვევს; მე ეს დარწმუნებით
ვიცი.

— შეიძლება!

შორტესკიუ ისე დაჟინებული იყო, რომ მეგიმ
ველარ უწინააღმდეგა ვადის დანიშნას, მხოლოდ
თავისთვის ბუჯბუტებდა:

— ორი თვე ძლიერ ცოტააო.

— სულაც არა, ეს თითქმის ერთი საუკუნეა
ჩემთვის. თქვენ შაიტლენდის ზეღამხედველობაში
იქმნებით. მე არაფერს გკითხავთ თქვენს თავ-გადა-
სავალზედ, რადგანაც არ მინდა ვიკოდე თქვენი სა-
იდუმლო. დარწმუნებული ვარ, ბევრი მწუხარება და
სიღარიბე უნდა გამოგეცადოსთ. ამას შემდეგ მოის-
პობა ყველა ესენი და ორ თვეს შემდეგ თქვენ იქ-
მნებით ჩემი მეუღლე უკუნისამდე და საფლავამდე
ჩემი, განა? ორ თვეს შემდეგ ხომ მზად იქმნებით?

მეგის სიამოვნებით უნდოდა ეთქვა უარი, მაგ-

რამ ამის სიტყვებმა და თვალებმა ისე დაჰსძლია,
რომ ღონე წაერთო.

— მზალ ვიქმნები, წაიხურჩულა და გაიქცა თა-
ვის ოთახისკენ.

მეგი შეეღა თუ არა ოთახში, მისტრის მაიტ-
ლენდიც თან შეჰყვა გაჯავრებული შესახედავად, სა-
მინელის სახითა; იმან ჩამოიხსნა ნათხოვარი თმის
ნაწნაფები, მოიხადა მოსახურავი და დაიწყო:

— მისს ბრეი, მე თქვენთან მოსალაპარაკებლად
მოვედი. ამ თექვსმეტის წლის განმავლობაში ეს ოჯა-
ხი ჩემს განკარგულებას ქვეშაა: მოსამსახურეების
ბრძანება, სტუმრების მიღება, ერთი სიტყვით, მთე-
ლი ოჯახის ავ-კარგი მე მეკითხებოდა და ლილიან-
საც დედის მაგიერობას ეუწევდი.

მეგი ისმენდა თავ-ჩალუნული. მისტრის მაიტ-
ლენდი იდგა წარბ-შეკრული სტოლთან.

— უნდა მოგახსენოთ, განაგრძო მან, რომ აქ-
ადგილის დათმობა თქვენ-გვარი ქალის გულისხმა
თვის არ არის სასიამოვნო. თქვენ ისე ყმაწვილი
ხართ, რომ შეილაღ შევეფერებით. ზეროლდს. ასე
აჩქარება ამ საქმეში დიდი უსინილისობაა იმის მხრით
და ამ ქორწინებით ბევრსაც დაჰკარგავს საზოგადო-
ების თვალში. შოველი კაცი, თუ კი ბრმა არ არის,
აშკარად დაინახავს ამის მიზეზს. თქვენ მიჰყვებით
იმას სიმღადროსა და საზოგადოებაში გამოჩენილის
ცნობებებისათვის. ჩემის აზრით, მაგ გვარი ანგარიშით
ლო

გათხოვება თქვენ უფრო ბევრს უბედურებას შეგძენს, ვინემ ჩემს საცდავს დასა.

— ძალიან ახირებული საუბარი მოგდისთ სწორედ, მე ვერაფერი გამიგია თქვენი სიტყვებიდან, მედიდურად გააწყვეტინა მეგიმ.

— ჩემი და, თქვენი წინა-მოადგილე, ძალიან უბედური ქალი იყო, განაგრძო მაიტლენდმა, რომელიც გესლიანის თვალთ მისჩერებოდა მეგისა. მისდა-საუბედუროდ იმას ძალიან უყვარდა ქმარი, მაგრამ ქმარს კი სრულებით არა ჰყვარებია. მე კიდევ ვერ მიმხვდარვარ, რისთვის შეერთო ის საცოდავი. ჩემმა დია-წულმა არ იცის, რა საშინელს ცხოვრებას ატარებდა დედა-მისი. ძმრის უყურადღებლობამ გაუხვია ქალი, მასთან ძლიერ სუსტი აგებულებისა იყო და გადაჰყვა ლილიანის მშობიარობას. ძალიან ქარგი ბედიც მოუვიდა, თორემ ჯეროლდ შორტეს-კიუს ხელში ის ვერ გარხარებდა.

მეგის ყრუანტელმა დაუარა ტანში, მაგრამ მაინც ამაყად მიუგო:

— ჩემის წინა-მოადგილის ბედი მე სრულებითაც არ მაშინებს.

— არ გაშინებსთ? სიცილით შენიშნა მისტრის მაიტლენდმა. თქვენ გგონიათ, შორტესკიუს რაკი უყვარხართ, იმიტომ უფრო ბედნიერი იქმნებით ჩემს დაზედ? მე ვერ არავინ იცის. საჩქაროდ ანთებული სიყვარულის ლამაზი საჩქაროდვე ჰქრება. შორტეს-კიუს ამ გვარ სიყვარულში რალაც საიდუმო, მაგ-

სჩანს, რადგანაც ამდენის ხნის განმავლობაში იმას არც ერთის ქალისათვის ყურადღება არ მიუქცევია. დამერწმუნეთ, ის ისეთი კაცი არ არის, რომ თქვენი ხნის ქალი მის ხელში ბედნიერი იქმნეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ სიყვარული ორივეს მხრით თანასწორი არაა. იმისი ხასიათი უწინაც და ახლაც რაღაც საშიშარია. მერ დაფთარავ, მეც მეშინია მისი. შოველი კაცა უნდა დაიმონოს და თქვენც მალე გადაგათარებსთ რკინის ბადეს. მე არ შეენატრი თქვენს ბედს, იმიტომ რომ დარწმუნებით ვიცი, იათად ნაშოენი ძვირად დაგიჯდებათ. ეს თქვენს სასარგებლოდ მითქვამს და ის თუ არ გეუბნებათ ჩემსადიან, ეგ თქვენი საქმეა. ამ სიტყვებს შემდეგ მისტრის მაიტლენდმა გასწია კარებისაკენ, სრულებით დაჯერებულმა, რომ აღასრულა თავის მოვალეობა.

— თქვენ ისეთი კეთილი და უმანკო გული ბრძანდებით, რომ შეიძლებოდა მადლობა შემომეწირა ამ გვარის რჩევისათვის, გულ-გრილად მიამახა მეგიმ.

— როდისმე იქმნება ინანოთ კიდევ, რომ არ შეისმინეთ ჩემი გაფრთხილება, მიუგო მაიტლენდმა და მაგრად გაიხურა კარები.

ბოსტონის მალალს საზოგადოებაში, რომელიც მარტო სიმდიდრით ამაყობდა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამ შეხებევამ. მის შეეძლო წარმოედგინა, რომ ამისთანა კკუიანი, განათლებული და მდიდარი კაცი, როგორც შორტიუსკიუ იყო,

შეიყვარებდა ოჯახში სამადლოდ შემოყვანილს რიბ-ქალს.

მაგრამ ამ დიდ საზოგადოებაზედ მაინც არ უმოქმედნია ისე, როგორც ღანტონ მაულტრიზედ.

მეორე დღეს ის უცდიდა თავის საცოლოს სასტუმროში. ლილიანი შევიდა თუ არა, მაშინვე მოეხვია კისერზედ და შეჰსახა:

— ოჰ, ღანტონ, რომ იცოდე რა ახალი ამბავი უნდა ვითხრა?

ღანტონმა უგულოდ გადაჰკოცნა. მაულტრის უხაროდა საცოლოს გადარჩენა, რადგან საკუთარი ბედი და უბედურება, ფულის გამო, იმაზედ იყო დამოკიდებული

— ახალი ამბავი? იმნება მამა-შენი დაიყოლიე და დანიშნულს დროზედ უფრო ადრე გვიპირებს ჯვრის წერა! მხიარულის სახით ჰკითხა მაულტრიმ. — თუ მოახერხე და დასტყუე მამას ჩვენი ბედნიერების დაშურებაზედ თანხმობა? როდისთვის მადლევს ნებას, რომ სამუდამოდ ჩემს საკუთრებად გაგხადოთ?

— ორის წლის შემდეგ, ერთ დღესაც არ გეითმობს. როგორც არ შეკვირდი, მოხვეწება არ მიმიცია, მაგრამ ამ შემთხვევაში ის შეუბრალებელია. რა გაეწყობა, უნდა მოთმინება ვიქონიოთ.

— შენც რომ ისე გიყვარდე, როგორც მე, მაშინ აგრე ადვილად აღარ ილაპარაკებდი მოთმინებაზედ, ალერსიანის საყვედურის ხმით მიუგო მაულტრიმ.

— დამერწმუნე, რომ მე კიდევ უფრო მიყვარხარ, წასჩურჭულა ლილიანმა და ჩაეკრა ვულში,

შაგრამ მამა-ჩემი ჰფიქრობს, რომ ჩემთვის უფრო სასარგებლო იქნება, დავრჩე მასთან ორი წელიწადი. და მალეც გაირბენს ეს დრო. ახალი ამბავი რა უნდა გითხრა იცი? მამა-ჩემი ცოლის ირთავს.

მაულტრი საშინლად შეჰკრთა.

— ცოლის ირთავსო? დასწყევლოს ღმერთმა!..

უკაცრავად, ახირებულია-თქო. მინდოდა შეთქვა, ხუმრობ, განა?

— სულაც არა, ღიმილით მიუვო ლილიანმა. — ძარწილი ორი თვის შემდეგ იქმნება.

— შეიძლება შევიტყო, ვინ არის ის ბედნიერი?

— აბა გამოიცან!

— მე შენა გთხოვ, ამიხსნა ვკ გამოცანა-

— მაშ კარგი. ის არის მარგარიტა ბრევი. მე ძლიერ მოხარული ვარ, რადგანაც მარგარიტა ძალიან მიყვარს.

დანტონის ხელები, რომლებითაც ჩაკრული ჰყავდა ლილიანი, უღონოდ ჩაბოეშო. თვითონ, როგორც მამაკვდავს, ისეთი ფერი ჩაედო და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! რას ამბობ, ლილიან?

— რა ექმნა, რად გეწყინა აკრე? ნუ თუ დეიდა-ჩემსავეთ გგონია, რომ შეუფერებელი არიან? მე კი არა გგონია. ჩემის აზრით, მარტო ერთი მარგარიტას სილამაზე არის ღირსი სამეფო გვირგვინისა. დარწმუნებული ვარ, ნამდვილს დედობას გამიწევნა თუმცა სამი წლის მეტით არ არის ჩემზედ უფროსი. მამა-ჩემს ძლიერ უყვარს.

— და ისიც, რასაკვირველია, თანაუგრძნობს მის სიყვარულს? მზაკრულის ღიმილით ჰკითხა დანტონმა.

— შექველად, აბა ისე რად გაჰყვებოდა?

— ჩემო საყვარელო, ჯერ შენ არ გიცხოვრია ქვეყანაზედ და ბევრი არა იცი რა, შენიშნა დღონებით საქმრომ. იქვი არ არის, რომ მამა-შენს უყვარს ის, უამისობა შეუძლებელი იყო... მუდამ თვალს წინ უდგა და აშფოთებდა თავის სილამაზით. როგორა სთქვი? მური თვის შემდეგ იქმნება ქორწილიო? სხვას უქადაგებს მოთმინებაზედ და თვითონ კი არა სწამს ეს წესი.

მაულტრი გულ-შემოყრილივით დაეცა სკამზედ. ლილიანი გაშტერებული მისჩერებოდა იმის შეწუხებულს სახეს.

— ლვინო ხომ არ გინდა, მოკატანინებ ცოტას? ჰკითხა ქალმა.

— არა, არაფერია, ეს მალე გამივლის. მგონია, მისს ზრეცუდის თვალით მიყურებს. ხომ არ სცდილობს, რომ გული გაგიგრილოს ჩემზედ?

— მარგარიტა? არასოდეს! რად უნდა გიყურებდეს ცუდის დვალთ? ბარწმუნებ, უსამართლოდ ლაპარაკობ იმაზედ.

— იქნება, მაგრამ ქალებმა მაინც ხშირად იციან კაცის უმიზნობად შეძულება და შეყვარება, მე მგონია, რომ მამა-შენის ქორწინება ჩვენ უბედურების მეტს არას მოგვიტანს, ჩემო სიცოცხლე. მე არა ვარ

მონაწილე თქვენს ბრმა სიყვარულში მაგარიტასად-
 მი. ლილიან, მომეცი სიტყვა, რომ არაფერის, თუნდა
 მამა-შენსაც, არ შეეძლება ჩვენი დაშორება?...

— დამშვიდდი, ჩემო დანტონ, თუმცა ამ გეა-
 რი სიტყვები არ შემფერის, მაგრამ დღამერწმუნე, მამა-
 ჩემსაც არ შეუძლია ჩვენი დაშორება. მამა-ჩემს იმ-
 დენად უყვარხარ, რომ არ მოინდომებს ჩვენს გაყ-
 რას. ჩემის მხრითაც იმედი ექონდეს.

— მაშ, არაფერი შეაქცევს ჩემდამი შენს სი-
 ყვარულს?

— სრულებით არაფერი.

დანტონმა კარგად იცოდა, ლილიანი ჭეშმარი-
 ტის გულით ელაპარაკებოდა ამ სიტყვებს, მისი
 ახალ-გაზდა დაჩვილი გული მას ეკუთნოდა და, რა
 დაბრკოლებებიც უნდა ჰყოფილიყო, ამ ახალი შემ-
 თხვევით ლილიანის გული არ შეიცვლებოდა.

მა იყო კვირას. მსაჯული წავიდა ქალაქს გა-
 რეთ საქმეების გამო. მაიტლენდმა ჩაიკეტა თავის
 ოთახში და ჰკითხულობდა ახალ-გამოცემულს სა-
 მიჯნურო წიგნს. ლილიანი და მეგი წავიდნენ წირ-
 ვაედ.

ისინი თავისუფლად იხილნენ შორტესკიუს
 ოჯახობისათვის დანიშნულს ადკილზედ და სიამო-
 ნებით იმეიდნენ სიმღერისა და საკრავის ხმას. ლი-
 ლიანი სასოებით ლოცულობდა.

— მე ყველაზედ უფრო სასოებით უნდა ვლო-



კულონი... ხრა მარგარიტას, რადგანაც ეგ...
რომ... ში მოვეკედები.

— მეგი...! მაუგო მევიმ, სასოებით
დღეგრძელ... და ვილოცოთ, და არა საი-
ქაოსათვის.

მეგი ძალიან... შრომებულს მგვომარეო-
ბაში იყო... მით. მქალმა სი-
ნათლემ, რომელი... შუალო საუკუნის
ხელოვნებით გაკეთებ... ში დასაკ-
რავისა და სიმღერის ხმა... იქო-
ნია ამაზედ. ამას გარდა... ში.

დასასრულლ გათავდა წირს...
ჩაქნდნენ კარეტაში.

— მაიმე, ჩემი მუფტა და ცხვირსახოცი...
მოიძახა ლილიანმა. ძალიან მეწყინება, თ...
ბენაცვალე, მარგარიტა, იქნება ეკლესიაში...

— მოიცა, მე დავბრუნდები და მოგიტახ...
გო მევიმ და ჩამოხტა კარეტიდან.

ეკლესია თითქმის დაკლილი იყო, მხოლოდ
რამდენიმე უცხო ქვეყნელები დაჩინილიყვნენ და
ათვარიელებდნენ შემკულობას. მევი საჩქაროდ მი-
ვიდა ლილიანის სკამთან, წააელო მუფტას და ცხ-
ვირსახოცს ხელი და გამობრუნდა, ამ დროს მოესმა
დაძახილი:

— მისს ბრეი!

მევი მობრუნდა. მის სიახლოვეს იდგა დაფიქ-
რებულის სახით რობინ ლეიტი.

— მე მინდოდა თქვენთვის მომელოცნა, უთ-



ხრა მან, რომლის ხმაშიაც გამოდმოდა არა ჩვეუ-
ლებრივი უსიამოვნება. რობინი მიუახლოვდა, მეკიც
გჩერდა და იდგა ჩუმად. მაშ, ასე განა. თქვენ მჩ-
ყვებით შორტესკიუა? ბანაგრძო ლეიტმა.

— ღიად, მიუგო მეგრე და, როგორც იცოდა
ბიზ-ზოლენი ბედნიერების დროს, მგდიდურად დაი-
კავა თავი.

— წუხელია შევითყვე ეს ამბავი, განაგრძო
რობინმა წქაოის და მწკრალის ხმით. მე რა უფ-
ლება მაქვს თქვენი მოქმედება გავარჩიო, მაგრამ
ერთს კითხვას მოგცემთ: გიყვარსო ის?

მეგი საშინლად გაწითლდა.

— პატივია ესცემ, ვაფასებ და ყველაზედ მო-
მეტებულს უპირატესობას ვაძლევ. ეს სრულებით
საკმაოა.

— მითომ საკმაოა, სხვა არასარის რა საჭიროა?
ჰკითხა რობინმა და ჩასჩერებოდა გამჭრიახის თვალე-
ბით. მე ვგრძნობდი, რომ თქვენში ბევრი ნაკლუ-
ლევანება იყო, მაგრამ, ევ კი არ მეგონა, თუ კაცი
გიჟილდათ სიმდიდრით და საზოგადოებაში სახელ-
განთქმულობით. ეს ახალი ღირსებაა თქვენში. მე
თქვენ გთხოვთ მოიფიქროთ, თუ რა საქმეს ჩადი-
ხართ!

მეგის სისხლი აუფარდა სიანჩხლით და თვალებმა
განუელეე. იმას არასოდეს არ უყვარდა სიმარ-
თლის გაგონება და დაცინებით უპასუხა:

— ნაკლულევანება! ღიად, ჩემში დას-დასად



იპოვება ნაკლულეგანება. შეიძლება ითქვას კიდევ, რომ სულ ნაკლულეგანებითა ვარ შედგენილი, მაგრამ ეს თქვენ ძალიან კარგად იცით, რობინ, და მიკვირს, როგორ კადრულობდით, მიგვეცით ყურადღება ამ გვარის არსებისათვის?

— მევი, თქვენ არა გაქვსთ უფლება, გაჰყვეთ იმ კაცს ცოლად, მიუგო რობინმა, რომლის ხმაც თან-და-თან ფიცხდებოდა. თქვენ არ გაყვარსთ ის, იმის შერთვით თქვენ ჩაიდნთ დიდს სირცხვილს და დანაშაულობას.

— თავი ნუ გავიწყდებათ, გაჯავრებულის ხმით მიუგო ქალმა. მე სიტყვა მივეცი და ჩემი გადაწყვეტილება შეურყეველია. ფორტერკიუსს გავყვები ცოლად, როცა მოისმენს ჩემს თავ-გადასავალს, მერე თუ კიდევ ისურვებს ჩემს ცოლობას.

— მაშ, თქვენი ამბავი არ გიამბნიათ ჯერ?

— არა. მაგ შემთხვევაში ძლიერ შემკრთალი ვარ. ხვალ, ან ზევ უამბობ ყველაფერს.

რობინი იდგა უძრავად და მისჩერებოდა მეგის ლამაზს სახეს, რომელიც ზიზლით ეღიმებოდა მას. ისინი იდგნენ ეკლესიაში მარტოდ-მარტო. მზის სხივი ფანჯრებიდან უხვად დანათობდა მათ სახეს.

— ის შევირთავსთ თქვენ. ღაღონებულის ხმით წამოილაპარაკა რობინმა. ღარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ევრაფერი დანაშაულობა ვერ გადაათქმევინებს თავის აზრს თქვენზედ! ამ შემთხვევაში ნუ გეშინიათ.

დაბრუნებული
მეგობარი

--- მე არა ვარ დარწმუნებული: ის ძალიან
ამაყი კაცია, წამოილაპარაკა მეგვიმ.

✓ — ერთი თქვენი შემოხედვა კმარა, რომ დათ-
რგუნოს ყოველი მისი სიამაყე და თავ-მოყვარეობა.
რა იმისთანა მიუტევებელი დანაშაულისასული უნდა
იყოთ მაიცი დაიწერს ჯვარს თქვენზედ. მე ამას
დარწმუნებით გეუბნებით.

— თქვენ პირფერობით მელაპარაკებით? ლი-
მილით ჰკითხა მეგვიმ.

— მაშ, თქვენი გადაწყვეტილება შეურყეველია?
ბიდეე ჰკითხა რობინმა.

— შეურყეველი.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ. საშინელის
ხმით წამოიძახა მან. როგორც საქონელს, ისე ჰყიდით
თქვენ სულსა და ხორცს და ჩადიხართ საშინელს
დანაშაულობას, ნუ თუ იმიტომ სწირავთ ამ მსხ-
ვერპლს, რომ გადაუხადოთ სამაგიერო იმ საზიზღარ
ღანტონ მაულტრის? ნუ თუ იმისათვის იღუპავთ
თავს?

— მაგ კითხვებზედ არ მინდა გიპასუხოთ, ამა-
ყად მიუგო მეგვიმ. მისს შორტესკიუ მიცდის
ქუჩაზედ და ამიტომ უკაცრავად ვარ, რომ არც დრო
მაქვს და არც სურვილი გავაგრძო მაგ გვარი საუბა-
რი. რაც გინდოდესთ ის იფიქრეთ ჩემზედ, ამის სრუ-
ლი უფლება გაქვსთ. მე არასოდეს აღტაცებაში
არ ეყოფილვარ ჩემის მოქმედებით, გამოტეხილათაც
ვამბობ, რომ ხშირად სისულეც ჩამიდენია, მაგრამ



არასოდეს ჩემს ნამოქმედარს უარს არ ვყოფ. ძალიან მიკვირს, თქვენ რა უფლება გაქვსთ გაერიოთ ჩემს საქმეში? რა თქვენი საქმეა იმას გარჩევა, კარგია თუ ცუდი ჩემი გადაწყვეტილება?

— რა უფლება გაქვს მე გაერიოთ თქვენს საქმეში და რა ჩემი საქმეა, კარგია თუ ცუდი თქვენი გადაწყვეტილება? თქვენ მკითხავეთ ამას? ახლა კი ვგონებ, სჯობდა რომ გაეჩუმებულყავით. თქვენ იმის ნიჭი არ გქონიათ, რომ მოისბინოთ მეგობრის რჩევა. თქვენ არ გიყვარსთ-მეიაჭი შირტესკიუ და იმისი ცოლობით სიმდიდრის გულისთვის ფეხ-ქვეშ სთელავეთ არა თუ მარტო იმედს მომავალზედ, არამედ პატივისცემასაც...

— მისტერ რობინ ლეტიასას, განა? დაცინებით დაუმატა მეგობ.

— არა, მარგარიტა ბრეი! იმისას, რაც მიუცნობდებოდეს უფროს საქიროა, მკაცრად მიუგო რობინმა.

მეგი შეჰკრთა. ის იყო უკანასკნელი სიტყვა რობინის. მან დაიწია რამდენიმე ნაბიჯი უკან და თავაზიანად დაუკრა თავი. მეგობ ველარც კი შეჰხედა, საჩქაროდ ჩაუარა გვერდი და გავიდა ეკლესიიდან.

— სად იყავით აქამდის? ლმერთმანი, შემეშინდა, ვაი თუ აღარ დაბრუნდეს-მეთქი, მიაძახა ლილიანმა.

— ძლივს მოვსძებნე თქვენი ადგილი, ათრთობებულის ტუჩებით მიუგო მეგობ.

ის ჯდებოდა კარეტაში, როდესაც ლეტი გა-

მოვიდა ეკლესიიდან და გასწია ქუჩისაკენ. საშინ-
ლად გულ-დამდაბლებული და შეწუხებული მეგობარი
მიიმალა კარეტაში, როდესაც რომინმა ჩაუარა
მათ გვერდით.

შემდეგი დღეები ჩვეულებრივად მშვილობიანად მიდიოდნენ შირტესკიუს სახლში. მისტრის მაიტლენდი ოჯახობდა სტუმრებთან. პრც ერთს დედოფალს ისე ღირსეულად და მშვენებრად არ შეეძლო თავის დაქერა, როგორც მეგი იქცეოდა. მისი მოწინააღმდეგე მაღალი წრის საზოგადოებაც კი გამოტყდა, რომ სწორედ ამ წრისათვის არის გაჩენილი, თუმცა კი გულში შურდათ უბრალო მკერავი ქალისათვის ეს ღირსება. დანტონ მაულტრი თითქმის სულ მათთან იყო, მაგრამ სრულებით ხმას არ სცემდა მეგის, ორივე ძლიერ ერიდებოდნენ ერთმანეთს. ჯეროდღე შორტესკიუს, თუმცა ძალიან თავ-დაქერილად იყო, არასოდეს არ აწუხებდა მეგის აღერსიანი სიტყვებით და მოდერებით, მაგრამ ეტყობოდა, რომ მხოლოდ იმისი ერთი შეხედვით სცოცხლობდა.

რაიცა შეეხება მისტრის მაიტლენდის დამოკიდებულებას მეგისთან, მან უეცრად გამოაცვალა მანზედ თავისი აზრი. ერთს დღეს მიუჯდა და დაუწყო გულ-გრილად ლაპარაკი:

— თქვენი მდგომარეობა სრულებით შეიცვალა ახლა. რიგისამებრ, სულ სხვა მოთხოვნა

გექმნებათ. ღღის შემდეგ ნება მომეცით მე თქვენი მოლარე.

ამ წუთიდან მეგი აივსო ძვირფასი ნივთებით და საჩუქრებით. მაინტლენდი ასრულებდა შორტესკიუს ბრძანებას და არ ეუბნებოდა, თუ საიდგან არის ეს ძვირფასი საჩუქრები. წაიყვანა მეგი ძველ ნაცნობს ქალთან და შეუკვეთა ისეთი მზითვენი, რომ გერცოგინიას ეკადრებოდა.

— ჩემო ძვირფასო! მიაძახა ამ ამბით გახარებული მაკრავმა ქალმა. თქვენმა მშვენიერებამ მანქანებასავით იმოქმედა შორტესკიუზედ. ამ სადღელოფლოკაბასა და ბრილიანტებში მორთული, თქვენ გასაგიჟებელი რამ იქმნებით. ისე გაგიწყობთ კაბას, რომ მთელს ბოსტონში თქვენისთანა უნაკლო პატარძალი არ ჰყოფილიყოს.

მეგის კიდევ არ ეამბო თავის ამბავი მსაჯულისათვის. ის კიდევ კოკმანობდა აესრულებინა თავისი მოვალეობა.

იმ ხანებში მისტრის რაიმონდს ჰქონდა დიდი წვეულება თავის მდიდარს ოჯახში. ლილიანს ეცვა თეთრი ატლასის კაბა, ძვირფასი კრუჟოვებით გაწყობილი. მეგი იყო მორთული აღელვებული ზღვის ფერი კაბით, ოთხ-კუთხივ ამოჭრილ გულზედ მიბნეული ჰქონდა იაიას კონა და ამ გვარივე კონა უშვენებდა თმას.

სახლი იყო მშვენიერად განათებული, შესავალი ოთახი და კიბე თითქმის წალკოტად იყო გა-

დაქცეული. ღიდრონი კალათები, დარჩეული საუკეთესო ყვავილებით სავსე, იდგა ყოველს კუთხეში.

საუკეთესო ყმაწვილ-კაცობა ბოსტონის მშვენიერს საკრავის ხმაზედ თამაშობდნენ ქალებთან და ვალერსებოდნენ მათს უნაკლოელო მორთულობას.

მეგამ ითამაშა მსაჯულთან წყნარი, სადარბაისლო კადრილი. როცა გაათავეს თამაში დასვა თავის ალაგას ქალი და ჰკითხა:

— ძალიან გიყვარსთ კოტილიონი?

— პრაფრად!

— ბარბაროსობად არ ჩამომართვათ და გთხოვთ, ამაღამ არ ითამაშოთ კოტილიონი, მე ერთობ მოხუცებული ვარ იმის თამაშობისათვის და სხვა რომ ხელს მოგხვევს, გამოტყეხილი უნდა გითხრათ, ამის შეხედვა არ მიაძება.

მეგამ თუმცა რამდენიმეჯერ გამოსცადა იმის შეუბრალებელი იჭვიანობა, მაგრამ მაინც ღიმილით მიუღო:

— თქვენი ნებაა, მე არ ვითამაშებ და სხვების სიამოვნებით დავკმაყოფილდები. თამაში ყმაწვილებისა და ჰკუა მხიარულებისათვის არის სასიამოვნო.

მსაჯულის ამაცს სახეზედ გაღიზინა უსიამოვნების აჩრდილმა.

— მე სრულებითაც არ მინდა, რომ უფრო ხნიერი იყოთ თქვენ, მაგრამ ჩემთვის კი სანატრელია რომ ოციოთ, ან ათის წლით უფრო ახალ-გაზდა ვიყო. თქვენ გასაგიჟებელი ღამაში ხართ ამ კაბაში!

ჩემი სახელი თვალს არ გამოვრებთ, თუმცა არ შე-
 მადლია მის გემოვნებას თანა-გრძობა არ გავუწიო,
 მაგრამ აგრეთი უტიფარი აღტაცება და ისიც ამის-
 თანა ადგილს დიდი უზრდელობაა.

მეგი მიბრუნდა და დაინახა მაულტრი, რომე-
 ლიც მართლა ვეშაპავით მისჩერებოდა. იმის თვა-
 ლებში, აღტაცებას გარდა, სხვა გრძობაც გამოიხა-
 ტებოდა. ისინი ცხადად ეუბნებოდა მევის, რომ მათი
 სიცოცხლე და ცხოვრება სასწორზეა.

— მე აღვასრულე თქვენი სურვილი, გულ-
 გრილად ეთხრა მევიმ მსაჯულს. ახლა მომეცით
 ნება ერთი რამ გთხოვოთ: მთელი ბოსტონის ქა-
 ლაქი აღტაცებაშია თქვენის ბრძნულის მსჯელო-
 ბით. ამ წამში მე ერთი კითხვა მიტრიალებს თავში,
 რომლის შეჯახებ მინდა შევიტყო დაუფარავად თქვე-
 ნი აზრი.

— სიამოვნებით მოვისმენ, თითხარით; ნუ თუ
 ამ დიდ წვეულებაში გინდათ მსჯელობა იქონიოთ
 რომელიმე დახლართულს სამსჯავრო საქმეებზედ?

— არა, რამდენიმე უბრალო კითხვა მინდა
 მოგკეთ. მაგალითად ვსთქვათ, რომელიმე კაცმა ჩაი-
 დინა საშინელი დანაშაულობა და გადაწყვეტილი
 აქვს დამნაშავეს სამუდამოდ დატუსაღება. წარმო-
 ვიდგინოთ, რომ იმას დარჩა შვილი: ქალი, ან ვა-
 ყი, რომლის ერთად-ერთი დანაშაულობა მხოლოდ
 ის არის, რომ შვილია დამნაშავეისა. რა აზრის იქმ-

ნებოდით ამ ცოდვის შვილზედ თქვენა? რა დანიშ-
ნულებას მიცემდით საზოგადოებაში?

მსაჯულმა წარბები შეიკმუხნა.

— მე, ჩემო კარგო, სახუმრო კითხვა არ არის. საზოგადოება ხელმძღვანელობს დადგინებულის კანონით, მაგრამ წინაღ მსჯელობა არცეცს მათ. თუმცა ძლიერ სამწუხაროა ამ გვარი შემთხვევა, მაგრამ ხშირად მომხდარა, რომ უმანკო სული დასჯილიყოს დანაშაულის მაგიერად.

მოისმა მშვენიერი ვალსის ხმა და მოთამაშებმა ჩამოუტქროლეს მათ წინ. მევიმ მოჰკიდა მსაჯულს ხელი და ჰკითხა:

— თქვენ რაღას იზამდით? ამოიკევანდით ამისთანა ქმნილებას ლაფიდგან, მოექცეოდით ისე, როგორც თქვენს ტოლს, თუ ამის ღირსი იქმნებოდა თავად ის არსებაც, თუ დააჭერდით ფეხს, რომ უფრო ღრმად ჩაუღულიყო, როგორც უღირსი? ნებას მისცემდით, დამჯდარიყო თქვენს სუფრაზედ, თუ გააგდებდით სახლიდგან, როგორც ძაღლის?

ამ კითხვების დროს მევი საშინლად გაყვითლდა და სულ ერთიანად კანკალებდა. მოთმინებიდგან გამოსულმა მსაჯულმა, თითქმის გაჯავრებულის ხმით, წამოიძახა:

— ლმერთმანი, კაცს ეგონება, ვითომ თქვენ იცნობდეთ მაგისთანა არსებას. მე თქვენ გთხოვთ, მაგ გვარს ნურას ილაპარაკებთ. უნდა გამოგიტყდეთ, გულ-გრილად ვერ მოვექცევი დამნაშავეს და დანა-



შაულობას და ამასაც გეტყვით, თუნდა ბარბარო-
სობა და შეუბრალებლობა შემწამოთ, რომ არა თუ
ჩემს ტოლად მივიღებ მაგ გვარს ვისმეს, სახლშიაც
არ ვავატარებ. «ქვიცი გვარზედაჭბტის». დანაშაულო-
ბას ეჭირვება გამოსყიდვა, რომელსაც ვერას დროს
ვერ აცდება ვერავინ. საიდგანაც დანაშაულობა წარ-
მოსდგება, იქ დაუნდობლობაც ჰსუფევს.

— მაშ, მამის დანაშაულობისათვის შეილს
აღარ მიიკარებთ? თქვენ შეუბრალებელი ყოფილ-
ხართ!

— თუ რაიმე შემამსუბუქებელს გარემოებას არ
ვიპოვნოდი, სწორედ არ შემოაუშვებდი სახლში.

მეგვი მოისმინა თავის განაჩენი. ახლა ცხადი
იყო მისთვის, რომ ეს კაცი იმას სიკეთეს არ დააყ-
რიდა. პნ უნდა დაეფარა საუკუნოდ მისი საიდუმლო
და ან უნდა დაებრუნებინა თავის სიტყვა. ის იყო
ძველი აზრის და მასთან გამოჩენილი კაცი და არა-
სოდეს არ შეუერთდებოდა ქორწინებითის კავშირით
დამნაშავის ქალს.

— არ გნებამთ ითამაშოთ? მოესმა დანტონის
ხმა.

— არა, მისს ბრვი დღეს! მეც არ ითამაშებუ
მიუგო მსაჯულმა, წადით და ლილიანთან ითამაშეთ.

— ის დაღალულია ვალსის შემდეგ და ისე-
ნებს, უთხრა დანტონმა, რომელსაც მეზივით ეცა
მსაჯულის ამ გვარი სიტყვები.

საქართველო
1955 წლის
10-11-12

— მარგარიტა, წამოდით, ვნახოთ **ლილიანი**,
უთხრა **შორტესკიუმ** და მიაწოდა ხელი.

ადგომის დროს მეგის გავარდა ხელიდგან თაი-
გული. მაულტრიმ საჩქაროდ აიღო, **შორტესკიუს**
შეუნიშნავად ჩაღო **წიგ პაწაწინა ბარათი** და მია-
წოდა ყვავილების კონა მეგის. მეოთხედი საათის
შემდეგ, როცა **შორტესკიუ** მოშორდა მათ და როცა
ლილიანი და **მაიტლენდი** მაროქნს მიუსხდნენ, მე-
გიმ წაიკითხა ბარათი შემდეგის სიტყვებით: «თუ
როდისმე გქონებიათ ჩემი სიყვარული, მომეცით
შემთხვევა ერთჯერ მაინც მოგელაპარაკოთ. **შუალა-
მისას** მე თქვენ გიცდით **მისტრის რაიმონდის** **შუშა-
ბანდში**, **მინდა** საჭირო რამ გითხრათ.»

მეგის სიხარულით გულმა ცემა დაუწყო. დად-
გა საშინელი შურის ძიების ქამი. გადახედა **ლი-
ლიანს** და ერთ წუთს შესდგა, ისეთი დასუსტებული
შებნეულობა ჰქონდა **ლილიანს** ამ დროს. ნეტავი
იმდენი ღონე აქვს, რომ გადაიტანოს ეს საშინელი
წამი? იფიქრა მეგიმ. მაგრამ ჰე, ყოველ დღე იხო-
ცებიან, მაგრამსიყვარულის მოტყუილებით ჯერ არა-
ვინ მამკვდარა.

მეგი მიუახლოვდა უღარდელად მჯდომარე **ლი-
ლიანს** და წახურჩულა:

— **ლილიან!** ათი მინუტის შემდეგ მე გიცდით
შუშაბანდში. ძალიან საჭირო საქმე მაქვს და ტყუი-
ლა უბრალოდ არ მაცდევინოთ, გენაცვალეთ.

მეგი გაძვრა ხალხში. **ვანჯარასთან** იდგა რო-



ბინი და დაფიქრემულის სახით ელაპარაკებოდა შორტესკიუს. ზულ-გრილად დაუკრა თავი მეგის, უკანასკნელი შეუნიშნავად შევიდა შუშაბანდში და სდამოვნებით დაინახა, რომ ჯერ იქ არაფერ იყო.

მეგი გაჩერდა შადრევანთან და უცდიდა ლილიანს. ბავიდა ხუთი წამი, კიდევ ხუთი, მეგი მოუთმენელად ელოდებოდა შეცრად მოგსმა კაბის შრიალი, მსუბუქი ფეხის ხმა. ბამოჩნდა ლილიანი, რომელმაც სიცილით მიამხა:

— რა კარგია, რომ მე და თქვენ საიდუმლოდ მოსალაპარაკებელს ადგილს უნიშნავთ! ჩემო მშვენიერო! ნუ თუ ცოტანი არიან შეყვარებული საქმროები და ყმაწვილი ქალები, რომ ჩვენ დაგვითმონ ეს ალაფი?

— წყნარად, წასჩუჩულა მეგიმ და წაველო ხელი, მიაყვანა ბუჩქებთან, დამალა შიგა და განაგრძო: დაჯექით აქ, არ გაინძრეთ და არც ხმა ამოიღოთ...

მეგიმ ვეღარ დაასრულა, რადგან ამ დროს დანტონი შემოვიდა შუშაბანდში. მაულტრი მეტის-მეტის აღელვებისაგან საშინლად ვაყვითლებულიყო, მივარდა ქალსა და შეჰსძახა:

— თქვენ კიდევ მოგისწრიათ ჩემთვის? მადლობა ღმერთს! მე მეგონა, რომ არ მოხვდოდით.

მედიდურად თავ-აღერილი მეგი იდგა იმის წინ და ზიზღით ეკითხებოდა:

— რა გნებაესთ ჩემგან? რამიზნით თხოულობთ ჩემთან ლაპარაკს? ჩქარა მითხარით და მოკლედ, თორემ არ მცალოა თქვენი ცურის დასაგდებად.

— მე მინდა მოგილოცოთ ახალი დამარცხება. თქვენ მარდად ჩაიგდეთ მამა ხელში იმ დროს, როცა მე მისს ქალიშვილს ვთხოულობ. მითხარით, მეგი, ნუ თუ ამ საქმეს იმიტომ ჩადიხართ, რომ გამოგვლიჯოთ ხელიდგან ჩემი საშოვარი, თუ, იქმნება, ჩემს საწამებელად, გინდათ გული მეტად დამიკოდოთ?

— როგორ თუ ხელიდგან გამოგვლიჯოთ საშოვარი? ზიზლით გაიმეორა მეგიმ. თქვენ ახირებულ სიტყვებს ხმარობთ, მისტერ მაულტრი, მაგრე არ უნდა ლაპარაკობდეთ მისს შორტესკიუ ედ.

— ოჰ, წყეული იყოს ის მისს შორტესკიუ! აკანკალებულის ხმით და თვალების ბრიალით დაიძახა ღანტონმა. მე მეგონა ამ დღეებში ჭკუიდგან შევიწმლებოდი. მჭიცავ ზეცას, რომ ჩემის ხელით მოგკლავთ, სანამ მსაჯულის მეუღლე შეიქმნებოდეთ. არის ისეთი შემთხვევა ადამიანის ცხოვრებაში, რომლის ატანაც შეუძლებელია. ჩვენი დამოკიდებულება ცერთ-ერთ ამ შემთხვევათაგანია. თქვენ ელტვოდით და ახლაც მიეღტვით შუჭის ძიებას; მაშ იკმარეთ, ახლა შემომხედეთ, რა ზომამდის მიმახწყევანეთ!

ამ სიტყვებით დაეცა მუხლებზედ, ცეცხლივით ანთებული პირის სახე შეხვია მეგის კაბაში და აღელვებულის ხმით განაგრძო:



ქართული
ზიზღილითყვა

ღმერთმა ხომ იცის, ამ სამის წლის წინააღმდეგ რომ მიყვარდით ბიზ-ბოლევში, ისე მიყვარხართ ახლაც. არა, არა! მე ვცდები, ისე კი არა, ათას წილად მომეტებულად! მეგი, მეგი! მომიტყევთ, რომ ისე შეუბრალებლად დაგაგდეთ საგამონში, მიუტყევთ ჩემს სიმხდალეს და საცოდავს ამაყობას, რომელმაც იძულებული მყო დამეკარგა ასეთი ბედნიერება. ის მარტო ღმერთმა იცის, რა სატანჯველი გამოვიარე ამ უკანასკნელს კვირაში და როგორ გამოვიყარე ჩემი დანაშაულობა. შემომხედეთ ერთი! ღაჩოქილი ვაგდივარ თქვენს წინ. შემობრალეთ, მე არ შემიძლია უთქვენოდ სიცოცხლე! მეგი, მომიტყევთ და შემიყვარეთ ისევ, თორემ თავს მოვიკლავ.

როგორც სეტყვა, ისე ისერიდა სიტყვებს და მსურვალედ ჰკოცნიდა მეგის კბას და ხელთათმანებში გამოწკებილს ხელებს. მეგი კი იდგა მის წინ, თუმცა ფერ-მკრთალი, მაგრამ სრულგებობით დამშვიდებული და გაკერპებული. უნდოდა ესარგებლნა შემთხვევით და მიწასთან გაესწორებინა მისი დამსჯელი.

— მე რე ლილიანი, იმს რალა ეშველებმა? ჰკითხა ბეიმ.

— ნულარ მელაპარაკებით იმაზედ, ნუ გამახსენებთ იმ ავადმყოფს და საცოდავს ქალს! წამოიძახა მაულტრიმ. თქვენ იცით, რომ მე ის არ მიყვარს და არც მეყვარება თავის დღეში.

— ის ხომ თქვენი დანიშნულია... ის მონდო-

ბილია თქვენზედ... და სულითა და გულით სჯერა,
რომ გიყვარს.

— ზანუბლით-მეთქი, ნუ გამახსენებთ იმის სა-
ხელს. თქვენს თავზედ მითხარით რამე. ზეფიცებით,
რომ ამ წამში ჭირივით მეზიზღება ის უბედური.

— საცოდავი ლილიანი! მაშ, როგორც სჩანს, მზი-
თვის გულისთვის ირთავდით? ამოოხვრით ჰკითხა მეგიმ.

— მე არ ვფიცავ მაგას, წამოიძახა ღანტონმა
საშინელის აღლევებულის და გაუფრთხილებელის
ხმით. ღაუძლევებულმა სურვილმა მიახწევიანა ჰეშმარი-
ტებამდის. სანამ თქვენ განახმდით მსაჯულის საბლ-
ში, მანემდის მე ვფიქრობდი სიმდიდრის შეძენაზედ,
მაგრამ ახლა მე აღარ მინდა სიმდიდრე, აღარც დი-
დება! ახლა მანდინაზო მხოლოდ თქვენა. ლილია-
ნი იმდენად ყმაწვილია, რომ მისი გული არ დაიჩა-
გრება მამა-კაცისათვის. როგორც მე არ მივესყიდე-
ბი ქალაშვილს, ისე თქვენ არ უნდა მიესყიდოთ
მამას. ოჰ, მევი! ჩემო ძვირფასო, ღმერთმა ჩომ
იცი, ჩემთვის სულ ერთია ვინც არ უნდა იყოთ.
თუნდა მეფის ქალიც იყოთ, მაინც არ შემეძლება
ამაზედ მეტად თქვენი შეყვარება; ვერაფერი სირ-
ცხვილა და გაუპატიურება სხვისაგან მიყენებუ-
ლი ვერ შესცვლის ჩემს სიყვარულს. მეყოფა ამდენი
ტანჯვა... შემბრალებით... მითხარით ერთი სიტ-
ყვა, რომ თქვენში კიდევ არის ნაპერწკალი იმ სიყ-
ვარულისა, რომელიც იყო. მითხარით, რომ არ
შეირთავთ შორტესკიუს და, როგორც ნამდვილს
ქალს, შეგიძლიათ მიუტეოთ თქვენს მოყვარულს, რო-



მელიც გულ-დამდაბლებული გთხოვსთ მიტყუებას და რომელსაც, მიუხედავად წყეული ამაყობისა, არ გაჰქრობინ თქვენი სიყვარული.

მეგობ დანიწია უკან და გამოგლიჯა კაბის კალთა ხელიდგან. რა უსინდისობაც მასთან და მოსტანციასთან ჩაიდინა, ისე ექცეოდა ახლა ლილიანსაც.

— თქვენ ერთობ ბევრს თხოულობთ, ღანტონ მაულტრი, გამოუთქმელის სიძულვილით უთხრა მეგობ, თქვენი სინანული უკვე გვიანაა.

— ოჰ, ნუ გამაგონებთ მაგ სიტყვებს! ზებრალეზოდესთ ჩემი სიცოცხლე! შემიყვარეთ ისევ, გვედრებით!

— მე არ შემძლია შევიყვარო ის კაცი, რომლის პატივისცემაც არა მაქვს. ადრინდელი ჩემი თქვენდამი სიყვარული გაჰქრა, წაეიდა, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია. ამის შემდეგ აღარ გაბედოთ ჩემს სიახლოვეს გავლა და არც მაგ გვარი ლაპარაკი! ღლიდგან ჩვენ უცხონი ვართ ერთმანერთისათვის. თქვენი უგულო დამოკიდებულება ლილიანთან, დარწმუნდით, თავის ნაყოფს მოიტანს. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ უბედური ქალი და მისი საცხოვრებელი თქვენ ჩაგივარდეთ ხელში.

ბუჩქების შრიალმა გააწყვეტინა მეგის ლაპარაკი. პატარა მემკვიდრე გამოეცხადა მათ წინ. საცოდავს სახეზედ გადაჰქროდა საშიშარი სიყვითლე, შავი თვალები უელაფდა განწირულებით და ცალი ხელით დაეჭირა გული, თითქოს ეშინოდა, არ ამომევარდესო.

მაულტრი წამოვარდა და გაბრაზებულის ხმით დაიყვირა:

— მე თქვენ დამლუბეთ!

ის გავარდა შუშაბანდიდან. მეგი მივარდა ლილიანს. ნაზად მოჰხვია ხელი და წაჩურჩულა:

— შენი ჭირიმე, ლილიან! მრთს დროს მეც აგრე მომიკლა კული. მე ვერაფიტანდი, რომ თქვენც გამხდარიყავით მაგ გვარი უგულო მატყუარის და ღვარძლიანის კაცის მხვერპლი. როგორც გაიგონეთ, ჩემო კარგო, იმას უნდა თქვენი ფულეზი და არა თქვენ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ლილიან!

მეგი შეჩერდა, რადგან ლილიანმა ერთი საშინელი დაიკივლა და უგრძნობლად დაეცა დედამიწაზედ.

ამ დროს შუშაბანდში შემოვიდა შორტესკიუ. მითქვამს ვიღასაც დაგეძებო, შეწუხებულის სახით იურებოდა აქეთ-იქით. ღაინაზა მეგი თუ არა, გასწია მისკენ.

— რამდენი ხანია მე თქვენ დაგეძებთ, საცაა ვახშამსაცი შემოიტანებენ. ა! ლმერთო ჩემო! მს რა ამბავია? რა მომხდარა აქ?

მეგამ მიუთითა ლილიანზედ.

— მე დავუმტკიცე ამას, თუ როგორი კაცია ღანტონ მაულტრი, მაგრამ ახლა ენაობ და მეშინია, რომ ცუდი ბოლო არ ექმნება. ხომ არ მოგვადი ამით?

— მარგარიტა! წამოიძახა შორტესკიუმ. ის



მიჰხვდა ყველაფერს. ნუ თუ ღანტონ მაულტრიმ გა-
ბედა სიყვარული გამოცეხადებია თქვენთვის?

ზადაფიცვის დრო აღარ იყო.

— ღილ, მტკიცედ უპასუხა მეგიმ, ლილიანი
იმ დროს აქ იყო, ამას ესმოდა ყველაფერი და
უსიამოვნო ამბის გაგონების ნაყოფიც ეს გახლავსთ.

მსაჯულმა აიყვანა უგრძნობლად მღებთარე ქა-
ლიშვილი, მიიყვანა შადრევანთან და ასხურა ცოც-
ხალ-მკვდარს სახეზედ წყალი. ლილიანმა გაახილა
თვალები, დაინახა მამა და მეგი თუ არა, სუსტის
ხმით წამოიკრუტუნა:

— თავი დამანებეთ, რომ მოვკვდე... დამანე-
ბეთ თავი...

— იმ გაიძვერას გულისათვის? ლმერთმან ნუ
ჰქმნას! არა, მიუგო მსაჯულმა და გადასცა მეგის
ქალიშვილი. მოჰკიდეთ ხელი, მე დავსძებნი, აქ არის
თუ არა მაულტრი.

ამ სიტყვებით გაგიჟებულივით გავარდა შუ-
შაბანდიდგან.

ლილიანმა გაუშო მეგის ხელი და სიმწრისაგან
ხელების მტვრევით და საცოდავის ტირილით დაიწ-
ყო ლაპარაკი:

— ოჰ, რა შეუბრალებელი რამ ყოფილხართ,
მისს ბრეი! რად მომიკალით ასე გული? მე ისეთი
ბედნიერი ვიყავი ღანტონთან! თქვენ გააქრეთ და
მომიწამლეთ, რაც სასურველი იყო ჩემს სიცოცხლე-
ში! ამას შემდეგ მე ვეღარ ვიპოვი ბედნიეოებას და

სიხარულს. გაჰქრა ყველაფერი სიამოვნება ჩემთვისა
როგორ უეცრად და საშიშრად შემეცვალა მოლო-
დინი! რისთვის უამიძახებ? მის რას არგია შეიტყოს
საყვარლის ნაკლოვანება?

მეგი საშინლად შეაწუხა ამ სიტყვებმა.

— ლილიან, ნუ თუ თქვენა გსურსთ მზითვი-
სათვის შეგიერთოთ ღანტონ მაულტრიმ?

ლილიანი სულ უფრო-და-უფრო გულ-ამომ-
ჯდარი სტიროდა.

— რა ექმნა, მე მიყვარს ის... მიყვარს და რა
უეცრად გაჰქრა ჩემი ბედნიერება. ოჰ, მარგარიტა,
რისთვის მომგლიჯეთ გულიდგან! რატომ უფრო აღ-
რე არ მეუბნებოდით, რომ იმას ჰყვარებიხართ?

— მე მიზეზი მქონდა არ გამემზილა და დარ-
წმუნებული რომ ეყოფილიყავი იმის თქვენდამი
მტკიცე სიყვარულში, ჩემს დღეშიაც არ გავაცხადე-
ბდი; მაგრამ ის უპიროა. ლილიან, ის ბოროტია,
იმას მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ თქვენი მზი-
თვეი. თქვენ თვითონ გაიგონეთ, რას ლაპარაკობდა
ახლა. სად არის თქვენი ამაყობა? სად არის გრძნო-
ბა საკუთარის ღირსებისა, რომ აგრე დასტირით იმ
არა-წმინდა კაცის დაკარგვას?

— ჩემი სიამაყე გაჰქრა, მე აღარ შემიძლია სხვა
რაზედმე ვიფიქრო, ბოვშივით გულ-ამომჯდარი
სლოკინით ბუტბუტებდა ლილიანი: წავიდეთ სახლ-
ში, არ მინდა, რომ ვინმემ მნახოს. მე დარწმუნებუ-
ლი ვარ, თქვენ ჩემთვის ცუდი არ გინდათ, მაგრამ



ნამეტანი შეუბრალებლად მომექცეთ. ღმერთმა ქმნას, შევიძლო ამის მოტყეება როდისმე; ვინ იცის, რამდენი დრო გაივლიდა, სანამ მე შევიტყობდი, რომ იმას არ ვუყვარვარ. შემიძლებოდა ისეთი ბედნიერიც ვყოფილიყავი, რომ სრულგზითაც არ გამეკო.

ამ გვარი ქალისათვის რაღა უნდა ეთქვა კაცს? მეგი საშინელს სასოწარკვეთილებდაში ჩაეარდა; ამ დროს მსაჯულიც დაბრუნდა გაბრაზებული.

— მაულტრი გაქცეულა და კარგათაც ჰქმნა, რომ არ შევხდით ერთმანერთს.

— ოჰ, მამა-ჩემო! წამოყვანე, შენი ქორიშე, სახლში, ტირილით ეუბნებოდა ლილიანი და მოეხვია მამას. მე აღარ შემიძლია აქ დარჩენა არც ერთი წამი.

— ქარგი, ჩემო შვილო, ახლავე წაგაყვან, გენაცვალე.

ჩაბარა მეგის ლილიანი და თვითონ წაეიდა მაიტლენდის მოსაწახავად, რომ ეთქვა ლილიანის ავადმყოფობის გამო მინ საჩქაროდ წასულიყო. ათი წამის შემდეგ ისინი გაემგზავრნენ. მივიღნენ სახლში თუ არა, ლილიანი მიუბრუნდა მეგის და სინანულით წასჩურჩულა:

— თქვენ უეჭველად ჰფიქრობთ, რომ მე გულ-კეთილი და გონიერი არ ვყოფილვარ. იქმნება უცაგრე იყოს, მაგრამ თქვენ საშინელი შეხი დამეცით.

სთქვა ეს თუ არა, გაეშურა თავის ოთახში, თან გაჰყვა მარტლენდი, რომელიც ვერ მიმავდარიყო, თუ რა ამბავი მოხდა წვეულებაში, მაგრამ იმედი ჰქონდა, გაიგებდა ყველაფერს, სანამ მიიღიწული დაიძინებდა.

საშინელის შეწუხებულის სახით ჩაჯდა მეტი ალისთერ ხავერდის საფარძელში.

— დაწვრილებით მიაბით ყველაფერი, უთხრა მას მსაჯულმა ჩვეულებრივის ალერსიანისა და სერიოზულის ხმით.

საბრალო მსაჯულმა მოიხშინა მეგის ლაპარაკი: ლილიანს შევატყობინე. დანტონს არ უვარხარ და არც ეყვარები თავის დღემი-მეოქა, ის გირთავს მხოლოდ მზითვისათვის. ლილიანი ჩემზედ არის გაჯავრებული, რომ ცხადად დაჯანახე იმის სიმდაბლე, ნაღლიანის ხმით დააბოლავა მეგიმ.

— მარგარიტა! დაეკითხეთ თქვენს გულს და თუ ცოტად მაინც აფასებთ თქვენსა და ჩემს ბედნიერებას, ნუ მომატყუილებთ, მართალი მითხარით, გიყვარსთ, ან ცოტად მიზიდულებათა მიიწ გრძნობთ მაულტრისადმი?

— მდგამე მე ეცნოვრებდი ერთს ჩემს კარგს მეგობართან, რომელიც უკვე დაგკარგე. მაშინ დანტონ მაულტრი იყო ჩემი საქმრო და ახლა კი ზიზლისა და სიძულვილის მეგობარსა ვგრძნობ მიადმი, დაუფარავად უპასუხა მეგიმ. იმ დროს მე ვიყავი ყმაწვილი გამოუცდელი და მიყვარდა, მაგრამ მან ან მიმატოვა. ამსახლში ჩვენ შეეხვდით ერთმანერთს, როგორც უცხონი და ჩემი სურვილი იყო უცხოთაც დაგრჩენილიყო.

— ის იყო თქვენი საქმრო? დანტონებით ჰკით-



ხა მსაჯულობა. აქ მოსვლამდის იცნობდით იმას? უნდა გითხრათ, საკვირველს რასმე მეუბნებით, მისს ზრეცი!

— ღიად, ეს ძალიან გრძელი ამბავია და თუ მომიხმენთ, ვიამბობთ კიდევ.

ამ სიტყვებით იხეთის თვალით გადახედა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მსაჯული. იმას იხეთნაირად უყვარდა მეგი, რომ არ შეეძლო იმის გამოზრების ატანა, თუმცა ამ შემთხვევამ ძლიერ შეაწუხა. ის ვერ წარმოიდგენდა, რომ მეგი უნდა გამოზრდეს ოდესმე და ამიტომაც ერიდებოდა უარესი არ ვაეგონა რამ. ღათრგუნა ყოველი მწუხარება, უკმაყოფილება და დამშვიდებით მიუგო:

— მე გენდობი და მჯერა თქვენს სიტყვები. ჩემო საყვარელო. პრაეითარი ახსნა არ მინდა თქვენგან ვაეგონო. მხოლოდ ერთს გკითხავ, შეგიძლია დამარწმუნო, როგორც ამას წინათ მითხარი, რომ შენი გული თავისუფალია?

— სრულენით თავისუფალია, მაგრამ ყური დამივდეთ, მე მინდა გითხრათ რაღაცაები.

— არა, არა! ღდეს არ შეიძლება! ახლა გიიანაა, თქვენ ძლიერ დაღალული და აღელვებული ხართ, სხვიმისათვის იყო.

ამ სიტყვებით მოხვია ხელი და დაუწყო მხურვა ოუდ კაცნა. მეგი გაშტერდა ამ მოულოდნელის შემთხვევით და ველარ მოაწროს წინააღმდეგობა გაეწია. მსაჯულობა მიიყენა კარებთან და წყნარად წასჩურჩულა:

— მომატევეთ, რომ დავარღვიე ჩემი პირობა და ვისარგებლე საქმროს უფლებებით. რა ვქმნა, ველარ მოვითმინე, მეც აღამიანი ვარ! მადლობელი ვარ, რომ დაიხსენით ჩემი ქალი იმისთანა კაცისაგან.

ხელევე მიიღებს მაულტრი უარს. როცა ლილიანი ცოტად დამშვიდდება, დარწმუნებული ვარ, რომ ისიც მაღლობას გეტყვისთ. მშვიდობით!

მთელი ღამე შორტესკიუს სახლში მოსვენებით არაფერს სძინებია. ათს საათზედ მსაჯულმა დაუკაკუნა მისი ქალიშვილის ოთახის კარებმა. ლილიანი იყო წამოწოლილი ბუხრის წინ და სელესტა უვარცხნიდა თმას. მთელი ღამე უძილოდ გაატარა, საშინელ გაყვითლებულს პირის სახეზედ მისდგომოდა ვარდის ფერიხალათის შუქი. თავის ღღეში ამის მეტი მწუხარება არ გამოუცდია და საცოდავი სანახავი იყო, ისე გამოიკვალა ამ რამდენიმე საათის განმავლობაში განაზებული პაწაწინა მემკვიდრე. თვალები ჩაუტკინდა, ლოყები შეეღეწა და ტუჩების აქეთ-იქით ღარები გაუკეთდა მეტის-მეტის მწუხარებისაგან.

— მე ვიცი, ჩისტებისაც შემოხვედით, მამა-ჩემო! ამ სიტყვებით წაიძრო თითიღვან ნიშნის ბეჭედი და მიაწოდა მამას.

— რამდენიმე სიტყვაც უნდა დასწერო, ლილიან, რომია დარწმუნდეს უარის ყოფაზედ.

— პარკი, ჩემო მამა, რასაც მეტყვი, დავსწერ.

— იცი, ლილიან, შენ თავის ღღეში ველარ ნახავ იმ კაცს. ის ვერ შემოვა ამ სახლში.

— ვიცი, მამა, მიუვო ლილიანმა და სიმწრით ხელეებს იმტვრევდა

— ის სასიზღარი მზითვის მძებარი ყოფილა. მე ძლიერ შევესცდი, რომ ის ნაცნობად გაეჩხადე.

— ღიად, მამა!

— მე შენ ვიბრძანებ, რაც შეიძლება, მალე დაივიწყო.

— მეცდები აეასრულო თქვენი ბრძანება.

მსაჯულმა მოუტანა ლილიანს საწერ-კალამი და ქალღი. დასწერა მამის ბრძანებით ბარათი, რომელშიაც ცხადად იყო გამოყვანილი შეუბრალებლობა და მკაცრი სიამდვილე. ჩადო შიგ ბეჭედი, ნიშანი საუკუნო კავშირის და ბედნიერებისა და გადასცა მამას. მანვე წამს გააგზავნა მსაჯულმა მაულტრის გადასაცემად.

მაულტრის მანქანება ჩაიფუშა. შორწინება დაიწყო და ყველა იმედეები მოჩვეულობათვის გაუფრინდა. მევიმ გადაუხადა ლალატის და ორ-ბირობასათვის სამაგიერო.

მსაჯულის შემდეგ მევიმ წვიდა ლილიანთან.

— ჩემო ძვირფასო ლილიან! რა საცოდავი და დასჯილი შეგედულება გაქვს? უთხრა მევიმ. შენი ჭირიმე, ნუ სწუნართ აგრე იმ კაცისათვის, რომელიც თქვენი ნების ფრჩხილადაც არ ღირს. ბული მისკლება, აგრე შეწუხებულს, რომ გხედავთ. ნუ თუ არ შეგიძლიათ ისეთის თვლით დაინახოთ ის, როგორის ღირსიც არის?

— დამატალეთ ცოტა, ტირილოთ მიუგო ლილიანმა და ჩაეკრა გულში თავის ამხანაგს. მკ, მარგარიტა, მარგარიტა! ჩემს სილოცხლეში ველარ ვნახე იმას!

— მაგ შემთხვევით ბედნიერიც უნდა იყოთ, ჩემო კარგო! ნუ თუ კიდევ ვინდათ დანტონ მაულტრის ნახვა?

— ლმერთმანი, არ ვიცი. აღარა მაქვს თავე-
მოყვარეობა, მე ხომ თქვენ არა გგეყვართ. და-
მანებეთ თავი, მიმანებეთ ჩემს გრძნობას. როცა
მარტო ვარ, უფრო შექმსუბუქებულად ვგრძნობ ჩემს
მწუხარებას. შენი ჭრიმე, დეიდა-ჩემს ნუ შემოუშ-
ვებთ ჩემთან. არ შემოძლია, ავითანო მისი გულ-
მტკივნეული ლაპარაკი. რა ექმნა, მარგარიტა, მე მიყ-
ვარს ისა... მიყვარს და არ შემოძლია უმიძოდ სი-
ცოცხლე!

მეგი და ლილიანი სულ სხვა და სხვა ხასიათე-
ბისა იყვნენ, მაგრამ, როცა გაახსენდა, რა სატან-
ჯველო გამოიარა ამ კაცისაგან იმანაც, იძულებული
იყო, სიჭრთხილით მოპყრობოდა ამ საცოდავს სუსტს
ქალს.

პირველი მწუხარების შემდეგ ლილიანი გა-
მოშტერდა, მხოლოდ მეგის ნახვდა ხოლმე და იმასაც
თითქმის არა ვერს ელაპარაკებოდა. მუდამ ჩაკეტილს
ოთახში იჯდა, არ ისმენდა მეგის ხვეწნას: რამეზედ
გული გადაეყოლებინა. არასოდეს თავის ნებით
არ ახსენებდა ღანტონის სახელს და სცდილობდა, სხვა-
საც არ ეხსენებინა ია. ეს გარემოება ძლიერ აწი-
ნებდა მეგის და, როცა გამოვიდოდა იმის ოთახიდან,
თავითვის ჰტიქრობდა:

«მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქალი,
რომელიც ასე განებიკრებულია და მიჩვეული თავის
ნებაზედ ცხოვრებას, მიუტყეებს ღანტონ მაულტონის-
ამ საცოდავს ერთი ნამცეცი თავ-მოყვარეობა არა



აქვს და არც ხასიათის სიმტკიცე. ამიტომ მეწინიან; საქმე კიდევ გათავებული არ არის.»

ზასაკვირველია, რომ ლილიანი არაფერს არ ჰკითხავდა მეგის იმ დამოკიდებულებაზედ ლანტონთან, რომელიც 'შუშაბანდში' გაიგონა. მეგი კი მზად იყო, თუ ლილიანს რამე ეკათხა, დაწერილებით და დაუფარავად ეამბნა ყველაფერი, მაგრამ ამ შემთხვევაში ძლიერ აკვირვებდა ლილიანის გულ-გრილობა.

ამ ყოფით გაიარა ერთმა კვირამ, რომლის განმავლობაში ლანტონ მაულტრი არ ეშურებოდა აგბსნა შორტესკიუსაძვის მეგის საიდუმლო. და ეს კიდევ უფრო გასაკვირველი იყო: ნუ თუ შეეძლო ლანტონ მაულტრის გულ-გრილად აეტანა მეგისაგან აგრეთი შეურაცხება? რატომ არ სცდილობდა, გადაეხადნა სამაგიერო და მოეშალა მისთვის ჯვარის წერა? ამ გვარი მოქმედება ხომ უფრო შესაფერი იყო იმისი ხასიათის, ვინემც დამშვიდებული და დარბაისლური დამოკიდებულება. მეგი მუდამ მოელოდა მაულტრისაგან: აი, აუხსნის შორტესკიუს ყველაფერსაო და ამიტომ, როცა შორტესკიუ დაეკითხებოდა მეგის თავის მამაზედ, ფრთხილად იყო და ბევრად ერჩია, ახლა ლანტონს აეძრა ეს კითხვა.

იმ საღამოს ოპერას არღვენდნენ, ერთს მშვენიერს მომღერალს ქალს უნდა დაეტკობო ბოსტონის უმაღლესი საზოგადოების ყურთა-სმენა. მეგი მოიროთო წასასვლელად და, როცა შედიოდა ლილიანთან, კარებში შეჰხვდა სელესტა.

— მისს უოსტესკიუ ჩაცმულია?

— ის არ მიდის ამელამ ოპერაში, საჩქაროდ მიუგო სელესტამ და გავიდა ოთახიდან.

შევიდა თუ არა მეგი. ლილიანმა საჩქაროდ ჩააგდო სტოლის უჯრაში რალაც ბარათი, რომელსაც ჰკითხულობდა დადაკეტა უჯრა.

— ლილიან, გაკვირვებით ჰკითხა მარგარიტამ, რატომ არ ჩავიცვამთ ტანისამოსი? ზანა არ მოდიხართ ოპერაში? მსაჯული და მაიტლენდი კიდევ გვიცდიან.

— ბოდიში მომთხოვეთ მამა-ჩემთან. მე არ მიყვარს ოპერა და ამასთან თავიც მტკივა საშინლად.

ლილიანს მართლაც ავადმყოფის შეხედულება ჰქონდა, ჩამოხმარ პირის სახეზედ წამის-წუმ უვლიდა წითელ-ყვითელი ფერი.

— შენი კირიმე, შემახვეწე მამას, რომ უჩემოდ წავიდეს, ის ხომ თქვენს სურვილზედ დაიარება; უთხარით, რომ მოეკვდები, თუ ამაღამ წამიყვანა. თქვენც ხომ ქალი ხართ, ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა. როგორ შემიძლია გამოვიჩნდე ოპერაში მაშინ, როდესაც ყველანი მე შემახერდებიან და ლაპარაკს დაიწებენ ჩემზედ?

— მაშ კარგი, მეც დავრჩები. რადგან დაჯავრებულნი ხართ, თქვენი მარტო დარჩენა მთელი ხალხი არ შეიძლება.

— ოჰ, არა, არა! წამოიძახა ლილიანმა. მე



მაგას არათრის გულისათვის არ ეიქმ. მამა-ჩემი ვერა-
ფერს სიამოვნებას ვერ ნახავს, თუ თქვენ არ იქმნე-
ბითმასთან. მარგარიტა, თუ გიყვარდეთ, წადით და დეი-
და-ჩემიც წაიყვანეთ. მე აღ წამოვწევები და სელეს-
ტა დამათარებს ცივ-ცივ ტილოებს ამ უბედურს
თავზედ. მოავენებით ყოფნა უფრო საჭიროა ჩემთვის!
შატყობ, რომ ძალიან დასუსტებული მაქვს ძარღვე-
ბი. რა სამწუხაროა, რომ აღამაანი უძარღვოდ არ
იბადება!..

— ჩემო კარგო! შენი ჭირიმე...

— თუ გიყვარვართ, გააწყვეტინა ლილიანმა,
რომლის ხმაშიაც საშინელი ტანჯვა გამოიხატე-
ბოდა. შენ გენაცვალე, ნუ მაწვალებ, წადი!
რალაც გაუგებარის გრძნობით შეწუხებული მეგი
ჩამოვიდა დაბლა, სადაც უცდიდა მსაჯული და
მაიტლენდი.

— ლილიანი შეუძლოდ არის და გთხვავსთ,
ნუ წამი წანთ ოპერაშიო, უთხრა მეგიმ.

— საცოდავი ჩემი ლილიანი! მგონია, თავის
დღეშიაც ვერ მოიქარვებს ამ მწუხარებას, სთქვა მაიტ-
ლენდმა. მე დავრჩები მასთან. როცა ჩემი დის-წული
იტანჯება, მე არ შემძლია ვიმხიარულო. მისს ბრვის
მადლობელი უნდა ვიყოთ ამ შემთხვევით, რომ
აგრე გაგვიუბედურა ოჯახი.

— თქვენ ძლიერ შემცდარიხართ, მკაცრად მი-
უგო მსაჯულმა. ოჯახის უბედურებად სთვლით გა-
ნა, რომ თქვენი დის-წული გადარჩა იმ უნამუსო კაცს,

საქონის
საქონის

რომელიც მარტო მზითვეს დაეძებდა? დარწმუნებული ვარ, ლილიანი ტყვილა უბრალოდ ჯიუტობს. მე არა მსურს თქვენი დარჩენა, ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

მსაჯულმა წამოასხა მეგის ძვირფასი სალოფი და სამნივემ ხმა ამოუღებლად გასწიეს.

ისინი დასხდნენ მარჯვენა მხრით ლოჯიაში. მთავარი საფე იყო ხალხით. მჩიდებული კანდლები უხვად ანათებდა მშვენიერად დართულ ლამაზს ქალებს. შორტესკოუს ოჯახობას კარგა ხანი დააგვიანდათ და, როცა შევიდნენ, ყველას დურბინები იმათ მისჩგრებოდა. საზიზღარი მაინტლენდი მფუფუნებელი რაჰ იყო მეგის გვერდით, ეს უკანასკნელი ისეთი მშვენიერება ჩნდა ამ საღამოს.

— მხიარულად იყავით, თუ ღმერთი გწამს, ნუ წაიშწარებთ ამაღამდელს ლამეს ლილის ჯავრით, წაჩუჩრულა შორტესკოუმ, რომელიც აღტაცებით მისჩგრებოდა მის ლამაზს სახეს.

— დანტონ მათლტრი აღარ გინახავსთ? არ იცით, როგორ იმოქმედა იმაზედ ლილიანის ბარათმა? ჰკითხა მეგიმ.

— მრჩივე კითხვაზედ უარი უნდა მოგახსენოთ. დარწმუნებული იყავით, ის ყოველის დონის ძიებით ეცდება, თვალით არ დამენახოს. თქვენ ხომ გიყვარსთ საკრავის ხმა? დასტკბით იმის სმენით და ყოველი სამწუხარო ფიქრი გადაიგდეთ ვულიდგან.

მეგი სცდილობდა აესრულებოდა იმის სურვილი.



იქმნება ამაღმდელი მხიარულება უკანასკნელი იყო იმისთვის, რადგან ყოველს წამში მოელოდა თავისი საიდუმლოს გამჟღავნებას. ისიც გასაკვირველი იყო, რომ ამდენი-ხანი ღანტონ შაულტრი არას ამბობდა. მართის სიტყვით, არ იცოდა, რა საათში რამოელოდა.

— რა გაუბედავი და სუსტი ვარ! ჰფიქრობდა მეგი. ნეტა უამბობს შაულტრი ყველაფერს, თუ არა? თუ ის არას ეტყვის, მეც უნდა გაეჩუმდე და გაეყვე ცოლად?

ამ კითხვებისათვის პასუხი ვერ მიეცა. რომ შეემსუბუქებინა თავისი მწუხარება, მიბრუნდა სცენისაკენ და დაიწყო ყურადღებით სმენა. არასოდეს ბოსტონში ისე ხელოვნურად არ შეესრულებიათ «ტრუბადური». მთელი საზოგადოება სმენად იყო გადაქცეული და მეგიც, რომელსაც ისე-რიგად უყვარდა საკრავის ხმა, აღტაცებაში მოდიოდა, მაგრამ უფცრად რაღაც უსიამოვნო გრძნობამ დაუარა მთელს ტანში. მან მოჰკრა თვალი, რომ ვიღაც გაშტერებით მისჩერებია. და მისდა უნებურად უკუიხედა სცენიდან. შეჰხედა მაიტლენდს პირველად, რომელიც გულ-გრილად იჯდა, თითქოს ეძინებოდა კედელს და უგულოდ იწივებდა მარჯვნივ. შემდეგ გადაჰხედა შორტესკიუს. მსაჯული სრულებითაც არ უგდებდა ყურს, თუ რა ამბები იყო სცენაზედ, მხოლოდ მისჩერებოდა მეგის შეშფოთებულს «სახელს».

— რა იყო? ჰკითხა შორტესკიუმ.

მეგამ პასუხი არ მისცა და კიდევ მიიხედავს ცენსორსაკენ, საითაც იზიდავდა რაღაც უცნაური ძალა. საზმარია თუ ცხადი? როგორ დაუჯეროს თვალებს? ბულმა ისე-რიგად დაუწყო ცემა, თითქოს ამოვარდნას ექადებოდა. მეორე წყებაში მან დაინახა გამხდარი და საშინლად გაყვითლებული პოლკოვნიკი ლაიზარტი, რომელიც გაშტერებულის და განწირულების სახით მიჩგრებოდა მას...

მეგი იჯდა განცვიფრებული. დასასრულ დაბრუნებულა! ღიად, ეს მოჩვენება არ იყო. ის ჰხედავდა თავის ერთგულს და კეთილის გულის ბიძიას! მის გვერდით იჯდა მშვენიერი, მდიდრულად მორთული ქოხტანცია.

მსაჯულმაც მიიხედა იქეთკენ და დაინახა თუ არა ლაიზარტი, საშინლად შეჭკრთა, მეკის მსგავსად ამასაც დაეკარგა ფერი მომეტებულის აღელოვებისაგან. ღიად, შორტესკიუმაც იცნო აღრინდელი ნაცნობი და ისიც იცნეს. პოლკოვნიკი მიჩგრებოდა მეგის და შეამჩნია თუ არა, რომ შორტესკიუ ეჩურხულებდა, გაბრაზებული წამოვარდა ფეხზედ. იმის სახე ცხადად გამოხატავდა: «ბოლოს მე შენ გიპოვე, ჩემო მტერო!» მაგრამ გვერდით მჯდომმა მოჰკიდა ხელი და წახიურხულარაღაცა. მაშინ მოეგო გონს, მახვდა, სადაც იყო და ულონოდ დაეშო თავის ალაგზედ.

— წავიდეთ აწი! ჩახლეჩილის ხმით წამოილაპარაკა მსაჯულმა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია მეგამ, საშინელი სი-



ყვითლე და ცვარ-ცვარად ოთლი შორტესკუს, რომელიც იწმენდდა სიმწრისაგან დანადგარს ოთლს.

— წავიდეთ? სად? ჰკითხა მეგომ ალელეებულის ხმით.

— სახლშიდ. საოცარი სიცხეა; მეყოფ, რაც ენახე და მოვისმინე.

მეგი წამოდგა, წამოდგა მისტრის მაიტლენდი. სანამ ბებერი მაიტლენდი გამოიფუტებოდა, მეგი შეუმჩნევლად შავიდა პოლკოვნიკს ლოჯასთან, დაუჩნია თავი მოხუცებულს, რომელიც ძლივს სულთქვამდა მეტის მეტის ალელეებისაგან და საჩქაროდ დაბრუნდა მათაჟულოთან. მაშ ის დაბრუნებულა ხანგრძლივის მოგზაურობიდან! ჰფიქრობდა მეგი. თუმცა იათი საშინელის თვალით მისჩერებოდა და იმისთანა ქალი უჯდა გვერდით, მაგრამ მეგიმ გადასწყვიტა, მკორე დღესვე ენახა. ღილ, მეკისათვის მიუცილებელი იყო იმისი ნიხეა. ახლა ველარ გაუტურდება ხელიდგან თავისი ძველი მეგობარი. რამდენი წლის განმავლობაში ევედრებოდა ღმერთს, დაუბრუნოს მას პოლკოვნიკი, აღიზღოს მასთან ძველებურად, მეგობრულად ლაპარაკი და ხელის ჩამორთმევა. ბოლოს შეისმინა ღმერთმა მისი ვედრება. ახლა გაიგებს, თუ რა ბოროტება ჩაიღინა მის წინააღმდეგ მოსტანციამ, შეიტყობს შილივე ბარბონის, მამა-მისის ამბავს, რომელიც დატუსაღებულა საპყრობილეში. ერთი ხმა არ ამოუღიათ არც ერთს გზაში, ისე მოწყენილები დაბრუნდნენ სახლში.

საქართველო
ბიბლიოთეკა

— ის იყო დაეწიე ყურადღებით სმენა «ტრუ-
ბალურის», და ამ დროს წამოგვათრჩეთ სახლში,
ჭეროლდ! მაჯაერებულის სახით უთხრა შაიტლენდ-
მა, რა ახირებული კაცო ხართ! ხან გეზბრძანებთ წა-
მოდით თეატრშიო და ხან შეუა წარმოდგენას მიგვა-
ტოვებინებთ. რა იო? რა მოჰხდა ამისთანა?

— მაგის პასუხს ვერ მოგახსენებთ. ზულ-გრი-
ლად მიუგო შორტე კიუმი. ისა სჯობს შენვიდეთ
ლილიანთან და შეიტყობთ, მართლა ავად არის, თუ
არა.

ამ მიზეზით მოიშორა თავიდან მაჯაერებული
შაიტლენდი. გაიხურა თუ არა ქალმა კარები, მსა-
ჯული მიუახლოვდა თავის ფერ წასულს საცოლოს
და ძალ-დატანებულის ღიმილით უთხრა:

— იქმნება მართლა ახირებულად და დაუფიქრე-
ბლად შოგიქეცი. მაგრამ პირველი ის, რომ ოპერამ
ძლიერ დამლონა და მეორედ კიდევ ერთი კაცი იჯ-
და მეორე წყებაში, იქმნება თქვენ კიდევ შენიშ-
ნეთ, ისე რიგად აქნევდ. ხელებ, არ მომეწონარა-
ლად! როგორის თვალით მოჩერებოდით, მაგრამ
ახლა უკვე გვიან არი, რომ თქვენი თავი წამართვას,
ვინმემ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარლო! მღერსე-
შოდა მ აჯული და იხუტებდა გულში. მე შენ მიყ-
ვარხარ და ვი შეუქლია დედა-მიწაზედ, რომ ვამომ-
გლიჯოს ხელიდგან ეგ საუნჯე! ოჰ, ცოტა მოდნად
რომ მაინც თანაუგრძნობდეთ ჩემს სურვილს, მაშინ



არაფრის შიში აღარ მექმნება. ხომ არ ნანობთ, ჩემო კარგო? ხომ არ გენატრებათ თავისუფლება?

— არა, არასოდეს.

— ოჰ, მადლობა ღმერთს!

სახარულით აღტაცებულმა დაუკოცნა მთელი პირის სახე. მეგის ეზიზღებოდა ასეთი ქცევა და სცდილობდა განთავისუფლებულიყო იმის მოხვედრისაგან.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ მაწვალებთ, მომკალით სწორედ! წამოიძახა გაჯავრებულის ხმით. ამ სიტყვებით მსაჯულმა ხელი გაუშვა.

— მობიტევე, შენი ჭირიმე! ამ საღამოს ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. რალაც უბედურების წინაღობა მიხუთავს სულს, ასე მგონია, თითქოს უხილავი ძალა მიპირებს შენი თავის წართმევას. მობიტევე, მარგარიტა, ჩემი სულელური ქცევა, მომეცი ნება, ერთი რამ გკითხო: უეჭველად გახდები ჩემი მეუღლე, როგორც აღმითქვი, თუ არა?

მეგი გაწითლდა, დაიწია რამდენიმე ნაბიჯი უკან და ახირებულის ღიმილით უპასუხა:

— რასაკვირველია, თუ კი თქვენი სურვილი იქმნება! თქვენ ხომ არ გსურსთ უკან წაიღოთ თქვენი სიტყვა?...

არ დაესრულებინა ეს სიტყვები, რომ უეცრად კარები გაიღო და საშინელის სახით შემოვარდა მაიტლენდი.

— ჯეროლდ, ჯეროლდ! თქვენი ქალი

აღარ არის თავის ოთახში. ის გაქცეულა, უცნაურის ხმით შემოიძახა მან.

— გაქცეულა! შერთ ხმად გაიმეორეს მსაჯულმა და მეგობრებმა.

— ღიად, ის საძაგელი სელესტაც თან გაჰყოლია. აი, ეს ბარათი იმის ოთახში ენახე. აბა, წაიკითხეთ! რატომ არ მიეცით, ნება, გაჰყოლოდა ლანტონ მაულტრის? ახლა ისინი თქვენს მფლობელობას ქვეშ აღარ არიან.

მსაჯულმა გამოართვა კარანდაშით დაწერილი ბარათი და გადასცა მეგობრებს, რომელმაც გამოუთქმელის მწუხარებით წაიკითხა:

«ძვირფასო მამა! მივდივარ ამ სახლიდან, რომ გავჰყვე ლანტონ მაულტრის ცოლად. იმან ამიხსნა ყველაფერი. იმ ღამეს რაიმონდისას თითქოს შემოვლილიყავით ყოფილა. დამარწმუნა, რომ იმ ღამინდელს ნალაპარაკებს არავითარს ყურადღებას არ აქცევს; ამის გამო მეც მიუტყევე. რომ კიდევ რაიმე დაბრკოლება არ შეხვდეს ჩვენს ბედნიერებას, დავეთანხმე ახლავე დავიწეროთ ჯვარი. შერთი კვირა კიდევ რომ გამეტარებინა ამ გვარს მდგომარეობაში, ვეღარ გადავჩივებდი. მამა, რასაკვირველია, მიუტყევებ შენს ლილის: მე არ შემოძლია უაზროდ ცხოვრება. მიმყავს სელესტა და მიმაქვს ჩემი ძვირფასი ნივთები; ლანტონი მარწმუნებს, რომ არასოდეს მარგარიტა ჰემმარიტის სიყვარულით არ ჰყვარებია, და მეც მჯერა, რომ მართალს ამბობს.»

ამ რიგად ღანტონმა გადააქარბა მათ ეშმაკობას და ჩაიგდო ხელში ისეთი დიდება, რომელიც მეგის ჰსურდა გამოეგლიჯა მისთვის. სილამაზით და მადურის ქცევით გაიტანა საქმე. მეგის გაუცუდდა შურის ძიება. როდესაც ის ჰკითხულობდა ბარათს, ლილიანს უკვე წარმოთქმული ჰქონდა საუკუნოდ შემაერთებელი სიტყვა. ღანტონ მაულტრი იყო იმისი კანონიერი მეუღლე.

(გაგრძელება შემდეგში)





ელოდა, როდის მოაფიქრდება ქალს თავის ნაჩნა-
ჩი ბოვშურის ხელებით ალერსიანად თავზედ და
ზურგზედ ხელი გადამისვასო.

ნათელი, წუწარი და თბილი დღე იყო. ეს სამი
მეგობარი ქალი ერთად ისხდნენ ჩრდილოეთის ხე-
ივნის ბოლოში, სადაც მზე აქა-იქ ძლივს ჩაატანდა
და დასცქეროდა ამ ლამაზ ქალებს. თუმცა ბრმა,
მაგრამ მუდამ მხიარული ცეცილია ძლიერ მხიარუ-
ლად ლაპირაკობდა რალასაც. აგნესასა და სირას
ყვავილები დაეკრიფათ და კონებად ჰკრავდნენ. შა-
ბიოლამ, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ იმ
დღეს პირველად გამოვიდა სახლიდან, მოინდომა
ყველაზედ უწინ მისი ნათესავი ქალი ენახა და მას-
თან წავიდა საზაფხულო სახლში. ბაღში უკითხვად
შევიდა და აგნესა რომ თავისის მოახლისა და ბრმა
გლახაკის საზოგადოებაში მჯდომარე დაინახა, ძლიერ
გაჰკვირდა: იმათთან ჯდომა საუკადრისოდ ეჩვენა.
შაბიოლას სირა უყვარდა, თავის სახლში, საწოლსა
და საპირფარეშო ოთახებში სიამოვნებით ელაპარა-
კებოდა, მაგრამ ის ამაყი და დიდ-კაცურად გაზრდი-
ლი ქალი იყო და სტუმრებთან მოახლისა და გლახის
გვერდით ჯდომა დამამცირებლად მიაჩნდა. აგნესას-
კენ წასვლის მაგიერად ის შუა ბალისკენ წავიდა იმ
განზრახვით, რომ, როცა აგნესა მარტო დარჩება,
მაშინ დაებრუნდები მასთანო. აგნესამ არ იცოდა,
თუ შაბიოლა მის ბაღში დასეირნობდა და ამიტომ
თავის ამხანაგებთან განავრძობდა მხიარულს მუსა-

იფს. შრცის იკოდა, თუ მისს სასახლეში შაბიროლას
 გარდა, სხვა სტუმარიც შემოვიდა. ეს სტუმარი იყო
 შულვიუსი. იმას აგნესა არ დავიწყებოდა და ახ-
 სოვდაც ერთხელ შაბიუსმა რომ გადაკვრით უთხრა მას,
 აგნესას მოსწონხარო. როცა შეიტყო, მარტო აგ-
 ნესა უდგოდ-მამოდ და უმოსამსახურეებოდ წავიდა საზაფ-
 ხულო სახლშიო, თავის გულში გადასწყეცა: წავალ-
 მასთან და ერთხელ კიდევ ესცდი ბედსო. ღიღი-კა-
 ცის ქალის, ლამაზისა და მდიდარის აგნესას შერთვა-
 დიდს ბუნდირებას სწევდა მას, ერთბაშად დააყენებ-
 და კარგს გზაზედ. შულვიუსი ცხენით გამოვიდა
 რომიღგან და აგნესას სახლამდის ჩქარა მიაწია; კა-
 რებთან ცხენიღგან ჩამოხტა, შეკარეს უთხრა, დიდად
 საჭირო საქმე მაქვს სახლის პატრონ ქალთანო, უსა-
 თუოდ ახლავე უნდა ვნახოვო; როცა შეიტყო აგ-
 ნესა ბაღშიაო, საჩქაროდ გასწია იქითკენ ისე, რომ
 მსახურისაგან უარის თქმას ყურადღებაც არ მიაქცია-
 ძალი დაინახა ხეივნის ბოლოში მჯდომარე და მის-
 კენ გაემუტრა. მოლოხსმა თავი ასწია და დაიღრინა.
 აგნესამ ყვავილებს თავი დაანება, გაიხედა და უცრად
 გაკვირვებით და შეშინებით წამოდგა სკამიღგან:
 რამდენსამე ნაბიჯზედ დაინახა პატრის-ცემით, მაგ-
 რამ თავის თავზედ ძლიერ დარწმუნებულის სახით
 მისკენ მომავალი შულვიუსი. აგნესამ დიდის ცდით
 ძლივს გააჩერა მოლოხსი, რომელიც საშინელს რის-
 ხვას იჩენდა და იწვოდა სურვალით, რომ სტუმარს
 მივარდნოდა და თავისებურად მიეღო; მაგრამ აგ-

ნესას ბრძანებითა ხელით ნიშნებამ მაინც შეაჩერა გმირი ძალლი. ის მის ქალბატონთან იდგა, მრისხანედ ღრინავდა და ჰკრეჭავდა საწიშარს კბილებს, ფითქოს წინათვე ჰგრძნობდა, რომ ქალთან ავი კაცი მოდიოდა. აგნესას ბრძანებას მოლოხსმა ყურადღება არ მიაქცია, უწინდულადვე ძირს აღარ დაწვა და ყურ-დაცქვეტილი იდგა.

— მე მისთვის მოვედი, კეთილ-შობილო აგნესა, უთხრა შულვიუსმა, — რომ ჩემი გულითადი პატრიესტემა და ჩემი უსამსღვრო ერთგულება პირისპირ განგიცხადო. მგონებ უკეთესს დღეს კელარ გამოვირჩევდი, — მზე ისე ანათებს და ათბობს, როგორც ზაფხულში.

— ღაღ, მშვენიერი დღეა, ზიუგო შერცხვენილმა აგნესამ და არ იცოდა, როგორ მიეღო, ან როგორ დაეთხოვა ეს უცხო ქვეყნელი კაცი, რომელიც მეტად ამინებდა მას.

— რა მშვენიერი თეთრი ყვავილების გვირგვინი გაქვს თავზედ გაკეთებული! მინ არის ის ბედნიერი, რომელმაც ეგ ყვავილები მოგართვა? ჩემს თავს მხოლოდ იმ იმედით ვანუგეშებდი ყოველთვის და ახლაც კიდევ იმ იმედით ვსცოცხლებ, რომ შენ ხანდახან მომიფონებ ხოლმე და შეიძლება კიდევ არ გძულდე.

აგნესა გაჩუმებული იყო. შულვიუსი შეუკრთომლად განაგრძობდა:

— მე შევიტყვე ერთის ნამდვილის, ძლიერ ნამდვილის წყაროდგან, ჩვენი საერთო



მეგობრისაგან, ვითომც შენ ერთხელ ჩემზედ მოწყალე სიტყვა გეთქვას. შენი ნათესავი და ჩემი მეგობარი შაბიუსი ჰფიქრობდა, რომ შენ არ იტყოდი უარს, მე წამყოლოდი. დღეს შენთან მოვედი, რომ გთხოვო გადასწყვიტო ჩემი ბედი და უბედობა. იქმნება ეს ჩემი საქციელი წინ-დაუბნედავად და საზოგადო ჩვეულების დამარღვეველად გეჩვენოს, მაგრამ მომიტევე... მე გულ-წრფელი ვარ და ჩემს გრძნობასა და გულს ვემორჩილები...

— წადი, წადი აქედგან! შთხრა აღშფოთებულმა აგნესამ;— რად მოხვედი აქ ჩემის მყუდროების ასაშფოთებლად? შენი შეხვედრა არას-დროს არ არის ჩემთვის სასიამოვნო და დღეს კიდევ უჭრო ნაკლებად, ვინემ სჩოშის როდისმე. თავი დამანებე! მე მარტო ყოფნა მსურს... აქ ჩემს სახლში ვარ და გთხოვ მომშორდე.

შულვიუსის ფარისევლური ღმობიერება უეცრად შეიცვალა ნამდვილ წყრომად და რისხვად. იმისი თავ-მოყვარეობა გააძწარეს. მართს თვალის დახამხამებაზედ დაარღვიეს მისი აზრები და პლანები, რომელზედაც იმდენს ჰფიქრობდა. მერე ვინ დაარღვია ეს პლანები? პატარა ქალმა, უღონო ბავშვმა...

— მანა შენთვის საკმაო არ იყო, რომ შენგანვე სიყვარულით გატაცებულს ახლა უარს მეუბნები, შეჰყვირა შულვიუსმა, რომელსაც თვალემა ცეცხლივით აწთო და საშინლად უბრიალებდა. შენ კიდევ ჩემა შეუტრაცებდაც მოინდომე განა! საზ-

ლიდგან მაგდებ! მაგის მიზეზის გამოცნობა ძნელი როდია ჩემთვის... მე საიღუმლო მოცილვე მყავს!... და იმ მოცილესაც ვიცნობ... ეს სებასტიანე არის... კიდევ ის... ყოველგან...

— როგორ ბედავ, რომ პატიოსანისა და პატივ-საცემი კაცის სახელს შეურაცხებთ წარმოსთქვამ? მოესმა შულვიუსს უკანიდგან ძლიერი და ენერგიული ხმა.

შულვიუსი მსწრაფლად მობრუნდა და შაბიოლა დაინახა. ბაღში სეირნობის დროს, შაბიოლას დაენახა, რომ შულვიუსი აგნესასთან მივიდა, წინათვე მიმხვდარიყო, რაც მოხდებოდა მათ შორის და საჩქაროდ წამოსულიყო თავისი ახალ-გაზდა, წყნარის ნათესავის მისაშველებლად. შულვიუსი გაცეცხლდა, შაბიოლამ კი არც ერთი სიტყვის თქმა არ დააცალა და გაჯავრებით განაგრძო:

— როგორ ვაბედვე შენ ჩემის ნათესავის ქალის სახლში კიდევ შემოსვლა? მინ მოგცა ამის ნება? როგორ ვაბედვე ამასთან წამოსვლა ამ დროს, როცა ამას ჰსურდა რამდენიმე დღე მყუდროებაში ვაგეტარებინა განმარტოებულად! რა უფლება გქონდა?..

— შენი რა საქმეა? სიანჩხლოთ გააწყვეტინა სიტყვა შულვიუსმა. მინ მოგცა სახლის პატრონის მაგიერად ლაპარაკის ნება? შენს სახლში ხომ არა ვარ, მე მოვედი კეთილშობილს აგნესასთან.

— ღიად, მაგრამ დანაშაული მე ვარ, უთხრა შაბიოლამ ამაყად და ღირსებით, — მე ვარ დანაშა-



ული, რომ ჩემი ახალ-გაზდა ნათესავი, საუბედულო
 როდ, ვაგეცნო შენ; ამან ჩემს სახლში, ჩემს სტოლ-
 ზედ ვაგეცნო. აი ამისათვის ვრაცხ ჩემს მოვალეო-
 ბად ჩემი უნებური შეცოდება გავასწორო და ეს ქა-
 ლი დავიხსნა შენის დევნულობისაგან და ვეცდები
 კიდევ, რომ ყველა ჩემი ნაცნობების და ნათესავე-
 ბის შემწეობით დავიხსნა ეს შენის სტუმრობისაგან.
 თავი დავიანებე!

შაბიოლამ აგნესას ხელი მოჰკიდა და სახლი-
 საკენ წაიყვანა; მოლოდინს არ უნდოდა თავის ქალ-
 ბატონს გაჰყოლოდა. შეჩერებოდა ყველასათვის
 უსიამოვნო სტუმარს და კაცს ეგონებოდა, ეხეს
 არის აპირები; ედგეგროს მას და ნაკუწ-ნაკუწად დაგ-
 ლიჯოსო. ტყუილად უძახდა მას აგნესა, ის არ
 იძვროდა. იძულებული ანესა დაბრუნდა და ძალლი
 ყურით წაათრია; მხოლოდ მაშინ გაჰყვა მას მო-
 ლოსსი ღრენით და უნებურად, შუღვიუსი რამდენ-
 სამე წამს ერთს ალაგს იდგა უძრავად, მერე მობ-
 რუნდა და ალაყათის კარებისაკენ წამოვიდა. ის მე-
 ტად გაჯავრებული იყო, ბუტბუტით სწყველიდა
 ყველას და ჰფიცავდა, შაბიოლას გადევნდი ამასო.
 სრული მისი რისხვა და სიძულვილი შაბიოლაზედ
 გადავიდა.

XIX

დადგა ის დღე, როდესაც ქრისტიანების წი-
 ნააღმდევნი კანონი უნდა გამოეცხადებინათ. ქორუინ-

მა მიიღო ბრძანება, განცხადება მიაკარი სახალხო
 მოედანზედ, სამეუო სკამის ახლოსო, სადაც რომის
 ხელმწიფეების კანონებს და განცხადებებს ავრადნენ
 ხოლმე. ძორეინა ძლიერ კარკად ესმია და ამ გვარი მიწ-
 დობილებს ძალო, ამიტომ რომ ნიკომიდიიდან მო-
 ვიდა ამბავი: ერთმა ქრისტიანმა სალდათმა ერთი ამ
 გვარი განცხადება ააზია და ამითვის სასტიკად დასაჯე-
 სო. ძორეინმა ყოველი ღონის-ძიება იხმარა, რომ რომ-
 შიაც არ მომხდარი ი ამის მზგავსი რამე, რადგანაც იმ
 შემთხვევაში თვითონაც უნდა ჰშინებოდა. შანცხა-
 დება უშველებელის ასოებით დაჰსწერა, დიდს ფიცარ-
 ზედ გააკრა და ფიცარი სვეტზედ მიაკრეფინა ღამით,
 როდესაც მოედანზედ არც ერთი კაცი არ მოიძეო-
 და. ამ გვარად ყველას დილით, მოედანზედ რომ
 მოვიდოდნენ, უნდა წაეკითხათ ბრძანება: «ქრისტი-
 ანები სდვენეთ, დაიჭირეთ და საპრობილეში ამწყვდიე-
 თო.» რომ განცხადება არავის მოეგლიჯა, ძორეინმა
 ბარბაროსების ჯარიდგან გამოჩეული კაცები დაა-
 ყენა მცველებად. ეს კაცები იყვნენ: ველური გერ-
 მანიელები, ფრაკიელები და სარმატელები, რომელთ
 სასტიკი შეხედულობა თავ-ზარს სცემდა რომაელებს;
 თითქმის არც ერთი სიტყვა ლათინური არ იცოდ-
 ნენ. იმათ უფროსებათაც იმ სალდათებსავეთვე გაუ-
 ნათლებელი და ველური, იმათივე ქვეყნელი აფიც-
 რები ჰყავდათ. სახელმწიფოს დაცემის დროებში,
 ბარბაროსებ ბრძალ ემორჩილებოდნენ რომს და
 წარმართის ხელმწიფეების თვით-მფლობელიობის ია-
 რადად იყვნენ. ტიბერიოსები, ნერონები და რომის

სხვა საშინელი მტარვალები დანდობილი მათხედ. ეს აფიცრები არავითარს ბრძანებას არ განუდრკებოდნენ და ხალხის მოჩილებასა და შიშს ქვეშ დაჭერისათვის ყოველგვარი ძალადობა და სასტიკობა კანონიერად მიაჩნდათ. პი ეს ბარბაროსები დააყენეს მოედნის ყოველს კუთხეში და უბრძანა, ვინც ულოზუნგოდ აქ შემოსვლა გაბედოს, ყველანი დახოცეთო. იმისათვის, რომ ვერც ერთი ქრისტიანი იქ ვერ შესულიყო, პორვინმა ლოზუნგად გამოაჩნია სიტყვები: «NUMEN IMPERATORUM», ე. ი. იმპერატორების ღვთაებრიობა. იცოდა, რომ არც ერთი ქრისტიანი ამ სიტყვებს არ გამოსთქვამდა, რადგანაც ამ გვარს სიტყვებს ისინი სთვლიდნენ ღვთის გმობად, ამიტომ რომ ქრისტიანები ღვთაებრიობას მხოლოდ ღმერთს აწერდნენ და რადგან იმპერატორებს სხვისაგან დაყენებულ მბრძანებლად რაცხდნენ, ამიტომ მათ ღვთაებრივს პატივს არ სცემდნენ.

იმ ფიცართან, რომელზედაც განცხადება იყო მიკრული, პორვინმა დააყენა მცველად ვეება ტანისა, სასტიკის შეხედულობისა და საშინელი ღონიერი კაცი. მცველს უბრძანა, არასფრის გულისათვის არავინ არ მიუშვა ამ ფიცართანო და მხოლოდ მაშინ მოშორდა სალდათს, როცა კარვად გააგებინა, რომ ვინც ამ ფიცართან მოვა, ყოველი კაცი უნდა მოკლათ. ეს ნახევრად მთვრალი სალდათი, რომელიც მთელი ღამე არავსა სვამდა წვიმისაგან გაცივებულის

სხეულის გასათბობად, გაეხვია მოსახურავეში და ბოძისა და ფიცრის წინ დაიწყა სიარული. ხშირად შეჩერდებოდა ხოლმე, ქამარზედ დაკიდებულს არაყიანს ბოთლს ამოიღებდა და პირზედ მოიხტნობდა.

ამავე დროს მოხუცმა ლიოგენმა და მისმა ორმა ახალ-გაზდა შვილმა გაიგონეს, რომ მათის სახლის კარს ვიღაც წყნარად არახუნებს; საჩქაროდ გააღეს კარი და დაინახეს პანკრატი და სებასტიანეს ჯარის ღონიერი ასის-თავეი, ძვადრატოსი.

— ჩვენ ვახშმის საჭმელად მოვედით თქვენთან, უთხრა ძვადრატოსმა ლიოგენს, — და შენს შვილებს ესთხოვეთ ბაზარში წავიდნენ და რაიმე საჭმელი გვიყიდონ. აი ფულები; გაგზავნე, მაგრამ უთხარი, კარგი ვახშაში და კარგი ღვინო გვიყიდონ.

ლიოგენის ერთი შვილი წავიდა; პანკრატი და ძვადრატოსი კი მოხუცთან დასხდნენ.

— მახშმობამდის კიდევ ერთი საქმე გვაქვს, უთხრა ასის-თავემა; — ახლავე წავალთ და ისევ მალე დავბრუნდებით.

პანკრატი გაჩუმებული და დაფიქრებული იყო.

— რას მოგიწყენია? უთხრა ასის-თავემა. — იქვინუ ვაქვს, ავასრულებთ, რაც საჭიროა.

— მე არ ვიჭენეულობ და არც მომიწყენია, მიუგო პანკრატმა, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვსტყდე, რომ შენ ჩემზედ ღონიერი ხარ. ღიად, მე ვიცი, რომ შენ იმდენი ენერგია და მამაცობა ვაქვს, რომ შეგიძლია ყველაფერი მოითმინო. მე კი! მე

მარტო სურვილი მაქვს და არ ვიცი კი, შევიძლებ, თუ არა? ჩემს გულს საქმე სწყურია, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ საკმაო გულადობა არ მექმნეს.

— თუ ძლიერი სურვილი გაქვს, გულადობაც გექმნება, უთხრა ასის-თაფლა და სიყვარულით აღსავსე თვალებით შეჰხედა ახალ-გაზდას. ღმერთი მოგცემს ჩვენ ძალასა და მამაცობას. აბა, აი ასე მოსახურავეში გაეხვიე და პირზედ კალთა აიფარე, მაგრამ კარგად! ნოტიო და ბნელი ღამე არის. ღიოგენ! ცეცხლს შეშა დაუმატე, რომ გაეთბეთ, როცა დაებრუნდებით; ჩვენ კი მალე დაებრუნდებით. ძარებს ნუ დაკეტ!

— ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცესო, უთხრა მათ ღიოგენმა;— რაც უნდა განგებრახოთ, მე რომ თქვენ გიცნობთ, უთუოდ კარგი საქმე იქმნება.

ძვალრატოსიც თავის სამხედრო მოსახურავეში გაეხვია და ორნივე სახლიდგან გავიდნენ და სუბურის უბნის ბნელის ქუჩებით საჩქაროდ გასწიეს სახალხო მოედნისკენ; როგორც ისინი თვალადამ მიეფარნენ ღიოგენს, რომელიც მათ შეწუხებით თვალს ადევნებდა, მაშინვე სებასტიანე შემოვიდა მასთან და ჰკითხა: პანკრატი და ძვალრატოსი ხომ არ გინახავსო? სებასტიანე მიმხედარიყო იმათს განზრახვას და ეშინოდა, რამე ხიჯათში არ ჩავარდნენო. ღიოგენმა უპასუხა, ესეა არის ახლა წავიდნენ, მაგრამ მალე დაბრუნებას დამპირდნენო. მართლაც, ნახევარ საათს უკან კარი საჩქაროდ გაიღო, პანკრატმა შე-

მოიბრინა ოთახში, და ძვადრატოსმა, რომელიც მას შემოაპყვა, მაგრად ჩაჰკეტა ღიოგენის სახლის კარი.

— ბი შემოხედეთ! ღიოგენი პანკრატმა და განცხადების ახეული ნაგლეჯები მხიარულოდ დაინახა მათ.

— რა არის? ჰკითხეს ერთ-ხმად სებასტიანემ და ღიოგენმა.

— ბანცხადება, დიდი განცხადება! მიუგო პანკრატმა, აუწერელის გამხნეებით. უყურეთ! DOMINI NOSTRI DIOCLETIANUS ET MAXIMIANUS, INVICTI, SENIORES, AUGUSTI, PATRES IMPERATORUM ET CAESARUM *) და სხვა... აი, ამის გზა საით არის!...

და პანკრატმა ცეცხლში ჩაჰყარა პაპირუსის ნახევები. ღიოგენმა შეშა დაუმატეს: ცეცხლს; ალი ავარდა და ცეცხლი თვალის დახამამების უმაღლეს მოედო პაპირუსის ნახევებს. ცეცხლი ჯერ მსუბუქ ზოლებად გაერთყა ქალღმერთს და ნათელი გველებივით იკლავებოდა ზედ; მერე სულ მოედო, ალი ავარდა და უფეროდ დაწყნარდა. მოისმა მსუბუქი ტკრციალი, ქალღმერთის ნახევები შეიხრუტა. მაზედ დაწერილა შავს ასოებს ფერი გადაეკრა, მერე გათეთრდა და ბოლოს სულაც გაჰქრა. შოველისფერი იქცა ფერფლად, რომელიც ნაცრისფერ ნაგლეჯებად ბუნარში აფრინდა.

ამდენი უბრალო და წმიდა კაცებობის წამებითი სიკვდილია: გადამწყვეტის უსჯულო განცხა-

*) ჩვენი მფლობელნი დიოკლიციანო და მაქსიმიანო, უბოლონი, მბრძანნი და იმპერატორნი და კისარნი ბლიონნი მამანი...

დების ცეცხლში დაწვას სებასტიანე მოწყენით და დაფიქრებით უყურებდა:.. სებასტიანემ ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ ამ განცხადების მომპარავსა და იმის დაწვაზედ დამსწრე პირთ მიაგნებდა მთავრობა, მაშინ ამათ უსაშინლესი და უსასტიკესი წამებითი სიკვდილით დასჯა მოელოდა.. სჯეროდა, რომ მართლის საქმისათვის სიკვდილი ჩინებული და კეთილშობილური სიკვდილია და ამიტომ ვერ ახერხებდა საყვედური ეთქვა კეთილ-შობილის ჭაბუკისათვის, იმისის გამბედავის მოქმედებისათვის, რომელიც ყველას, იმათ აუცილებელს სიკვდილს უქადოდა. ამასობაში პანკრატი დაწყნარდა მღვლეარებისაგან, რომელიც ყოველთვის მოსდევს რაიმე ძნელი და საშიშრო საქმის ასრულების გაბედავას და ღიოგენის შვილებთან ერთად დაჯდა ვახშმად და დაიწყეს მათ ახალ-გაზდობის შესაფერის მხიარულებით ჭამა და ლაპარაკი. სებასტიანე ამისთანა საშიშარს დროს ვერ მხიარულობდა ამ გამოუცდელს ჭაბუკებსავეთ. ის ჩუმად იჯდა და წამ-და-უწუმ ჩაჰფიქრდებოდა ხოლმე. პანკრატმა რო ვახშამი გაათავა, სებასტიანე გამოეთხოვა ღიოგენსა და მის შვილებს, პანკრატი გაიყვანა ოთახიდან და სახალხო მოედნისაკენ გავლის ნება აღარ მისცა. იმათ შორის შემოუარეს, რომ მოედანს აშორებოდნენ და პანკრატის სახლამდის მშვიდობიანად მიაწიეს. პანკრატი რომ სახლში შევიდა, სებასტიანემ თავისუფლად ამოისუნთქა და თავის სახლისაკენ გასწია.

მეორე დღეს, დილით ადრე პორვინი მოედანზედ წავიდა. წინ-ლამეს თავის დაყენებული მცველები იმავე რიგით ნახა და სამეფოსკამისაკენ გაეშურა. არ შეიძლება კაცმა აწეროს, თუ რა ნაირად გაფიცდა, გარისხდა და შეშინდა ის, როცა დაინახა ცარიელი ფიცარი, რომლისგანაც პაპირუსის ფურცლები აფხიათ. მითქვას იმის სრულიად მოთმინებისაგან გამოსაყვანათო, ლურსმნებთან ორი—სამი ნაგლეჯი ქალღღი კიდევ თეთრად მოსჩანდა. უნდოდა ყელში სცემოდა გერმანიელს სალდათს, მაგრამ ამ ვაება კაცის მხეცურმა სახის გამომეტყველებამ შეაჩერა. პორვინი, როგორც ჩვენ ვიცით, ნამეტანი გულადი არ იყო. სულმდაბალს, უწყალოსა და ვეცხლის მოყვარე კაცებს არას დროს არა აქვსთ ნამდილი გულადობა. მაგრამ მან სძლია სიმბღღეს და მაინც მძვინვარებით დაუყვირა სალდათს:

— შენ უკეთურო! ლოთო! უკუთურო! აქეთ გამოახედე! სად არის განცხადება?

— წყნარად, წყნარად, მიუგო გულ-გრილად უშველებელმა ჩრდილოეთის შეილმა.— ბანა შენ ვერ ხედავ განცხადებას? აი აგერ!

და დაინახა ფიცარი.

— სად არის, დაიყვირა პორვინმა;— მაჩვენე, უტვინოვ, სად არის? გერმანიელი ფიცართან მივიდა და გულ-და-გულ დააცქერდა. შოველის მხრიდან დათვალაერების შემდეგ, იმას დამშვიდებით უთხრა:

— აი ეს ფიტცარი ხომ აქ არის! შენ ხომ ფიტცარის ყარაულობა მიბრძანე, — ფიტცარი აგერ არ არის?

— ჰო, ფიტცარი აქედ არის, შენ სულელო, მაგრამ სად არის ზედ-წარწერა, განცხადება, ელექტი?

— მასაგებად ილაპარაკე, უბასუბა სალდათმა. — შენ ფიტცარი ჩამბარე -- აი ფიტცარი; და რაც ზედ-წარწერას შეეხება, მე კითხვა არ ეიცო და არც შკოლებში მოვლია. მე საქმე არ ვიცი. მთელი დამე წვიმა ასხამდა; ჰგავს ის ზედ-წარწერა წვიმას და უსველებია და წაუშლია...

— და ქალაქის ნახევები ქარს წაუღია, არა? რისხვით გააწყვეტინა სიტყვა ძორვინმა; — ასე არ არის! შენის აარის?

— რასაკვირველია, მიუგო გერმანიელმა გულგრილად.

— ზანა მე შენ გეხუმრები, შენ უხიაკო! მიპასუხე: ეინ მოვიდა აქ წუხელი?

— ორნი მოვიდნენ.

— მინ ორნი?

— მინ იცის, იქმნება ორი გრძნეულიც იყო.

— რა სიულელებს ბოდავს! ზაჩუმდი! მასაგებად ილაპარაკე, შე ვირო! გერმანიელს თვალები ცეცხლით აენტო. იმას თან-და-თან გული მოსდიოდა. ძორვინმა ეს შენიშნა და დაწყნარდა.

— ჰო, კარგი, კარგი! მითხარი, როგორი კაცები მოვიდნენ აქ და რა ჰქნეს?

— ერთი მათგანი პატარა, წვრილი და გამხდა-

რის ბავშვი იყო; თითქმის მიწაზედაც არ აჩნდა. სამეფო სკამს გარს უტრიალებდა და ფრენამ მე მეორეს ველაპარაკებოდი, უთუოდ ის, რასაც შენ ეძებ, იმან წაიღო.

— მეორე ვიღან იყო? როგორი კაცი იყო?

საღდათი თითქოს გამხნეველაო, უფრო ჩქარად და გამჭრიახედ დაიწყო ლაპარაკი.

— მეორე? იმისთანა ლონე მე ჯერ არსად მიწახაეს.

— მა, საიღვან იცი?

— აი, საიღვან; ჯერ ის მოვიდა ჩემთან და ტკბილად დააღერსიანად დამელაპარაკა, მკითხა, ხომ არ მცივა, ან თუ არ დავიღალე მთელს ღამეს აქ დგომით. მს გათენებისას იყო. მე უეცრად გამახსენდა, რომ ნაბრძანები მქონდა, ყველა დამეხოცა, ვინც კი აქ მოვიდოდა. მაშინვე ვუთხარი: აქედამ წადი, თორემ ჩემის შუბით გავხერცებ-მეთქი.

— შარგი! უფრო ადრეც უნდა მაგრე მოქცეოდლი! მერე რადა?

— შრთი ორი ნაბიჯი უკან გადავსდგი და შუბი მალლა ავსწივ; ის კი უეცრად მომვარდა, ხელიღვან შუბი გამომგლიჯა, მუხლზედ გადიმტვრია ლერწმასავით, მერე პირი ერთს მხარეზედ გადაავდო და ტარი მეორეზედ. აი, შეხედე, შუბის პირი მიწაში ჩაესო და ახლაც მიწაში ჩასობილია ჩემგან რამდენსამე ნაბიჯზედ.

— მერე ხრმლით არ ეცი მას და არ დასაჯე ასეთის თავ-ხედობისათვის? სადაა შენი ხრმალი, ქარქაში ვერ ვხედავ იმას.

— ხმალი აქეთ ისროლა იმ კაცმა; შეხედე, ახლაც იქ ძვეს კრამიტით დახურულის სახლის თავზედ, აი იქ! ეს! რამსიმორეხედ გაისროლა და! დაუმატა მან გულ-წრფელის გაკვირვებით.

პორვინმა გაიხედა და მართლაც სახლის თავზედ დაინახა ამომავალი მზის სხივებზედ მოელვარე გერმანიული მძიმე და დიდი ხრმალი.

— როგორ დაანებე, შენ უტვინოვ?

საღდათმა უკმაყოფილოდ უღვაშები დაიგრიხა და უთხრა:

— დაანებეო! მე კი არ დამინებებია! მინ იცის, რა-ნაირად ამოიღო ქარქაშიდგან და გადაადლო! ეს უარა-წმიდა ძალოდ არ მომხდარა.

— ამაში ძალა კია, მაგრამ ის ძალა კი არა, — აქ შენი სულიელობის ძალაა, უთხრა პორვინმა წყენით, რომლის მოთმენა ველარ შეიძლო. — ძარგი, მერე რაღა იყო?

— მერე პატარა ბიჭი, სვეტთან რომ დაეხეტებოდა, წავიდა, ახალ-გაზდა ლონიერმაც თავი დამანება და მას გაჰყვა. მორივე თითქოს დაინთქნო სიბნელეში.

— ნეტა ვინ ჰქმნა ეს? ჰეიქრობდა პორვინი, — ამისთანა შეუპოვარს საქმეს ყველა ვერ გახედავდა. მერე გერმანიელს მიუბრუნდა და უეცრად დაუყვირა:

— რატომ ხმაურობა არ შექენი, მცველები არ გააღვიძე და არ გაეკიდე?

— ვის უნდა გავკიდებოდი? იმათ? ან კი ვინ იცის, ვინ იყვნენ? იქმნება გრძნეულებიც იყვნენ. ჩვენ თავს ვერ ვიღებთ გრძნეულებთან ბრძოლას. ამას გარდაც, ფიცარი მრთელია; მე ამ ფიცრის ყაჩაულობა მიბრძანეთ და აი ის!

— უკუნურო ბარბაროზო! წაიბუტბუტა ძორვინმა. — ძაცი ვერაფერს ვერ ჩააგონებს ამას ცარიელს თავში. აბა, ჩემო კარგო, განაგრძო მან ხმა-მალლად, — ეს კეთილი საჭმე არ არის და ძვირადაც დაგიჯდება. ბანა არ იცი, რომ ეს დანაშაულობა არის?

— დანაშაულობა? როგორ? ზედ-წარწერა დანაშაულობა არის?

— ზედ-წარწერა კი არა, ის, რომ შენ ყური ვერ უგდე, შენთან მოუშვი ისეთი კაცები, რომელთაც ლოზუნგი არ იცოდნენ.

— ეს საიდგან-ლა მოიგონე? როცა მოვიდნენ, ის სიტყვებიც სთქვეს.

— როგორ სთქვეს? დაიყვირა ძორვინმა.

— ისე სთქვეს.

— მაშ იხინი ქრისტიანები არა ჰყოფილან?

— ეს არ ვიცი. მოვიდნენ და ძლიერ ცხადად სთქვეს: NOMEN IMPERATORUM *).

— როგორ?

— NOMEN IMPERATORUM.

— ოხ, შენ უბედურო! დაიყვირა ძორვინმა. —

ლოზუნგი ხომ ეგ არ ყოფილა! ლოზუნგი იყო: NUMEN IMPERATORUM, ე. ი. იმპერატორების

*) იმპერატორების სახელი.

ღვთაებრიობა და იმათ შერთვის უთქვამს: «იმპერატორების სახელი».

— მჰ, ეს რაღა ვიცი! მე თქვენებურს ლაპარაკში დახელოვნებული არა ვარ: NOMEN თუ NUMEN ჩემის აზრით სულ ერთია. მართი ასო რას უნდა ნიშნავდეს? —
 — სტერს. ამას ყველა იტყვის, ყველა გაიგებს, რომ ერთი ასო დიდი არაფერია. ან საიდგან უნდავიცოდე თქვენებური სიტყვების ყოველ-გვარი მნიშვნელობა?

პორვინს ნამეტანის სიფრცხისაგან თავი აღარ ახსოვდა; თავის-თავს აყვედრიდა კუკიანისა და მოხერხებული გვარდიელი სალდათის მაგიერად ამისთანა უშვერი ბარბაროსი რად დავაყენე მსჯელადო.

— ამისათვის შენ პასუხი უნდა აგო მთავრობის წინ, უთხრა პორვინმა დაბალის ხმით, — და შენც იცი, მთავრობა არ გაბატონებს ამას.

— პარგი, კარკი; მაგრამ მე და შენ ერთ-ნაირად ხელ-ქვეითები ვართ და, მაშასადამე, ერთ-ნაირი დანაშაულებიც.

პორვინი გაყვიითლდა და აირია.

— და თუ დანაშაული ხარ, განაგრძო გერმანიელმა, რომელიც ისე სულელი არ გამოდგა, როგორც პორვინი ჰფიქრობდა, — თვითონვე მოუხერხებამ ამ უბედურებას. შენს თავსაც უშველე და მეც შეუბნები, ჩემხედ უფრო ცუდად შენ მოგივა საქმე: ზედ-წარწერა შენ ჩაგაბარეს და მე კი მარტო ფიცარი მქონდა ჩაბარებულად. აი ფიცარი! მრთელია!

პორვინი ჩაფიქრდა.

— აი რას გეტყვი, უთხრა მან, — გაიქეცი და დაიმალე. მარეთნუ გამოხედი და რამდენსამე დღის ვანმავლობაში ნურავის ეჩვენები; ჩვენ ვიტყვით, რომ ვითომ შენ ლამით ბევრი კაცები დავსხმოდეს,

შენ ხელი გამოგელოს და უთუოდ მოეკლათ. ამენ
 სახლში იჯექი და სახმელს მე საკმაოდ გიშოვნის.

საღდათმა მეორედ აღარ გამეორებინა ზრძანება და მაშინვე წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ, მდინარე ტიბრის ნაპირზედ დაჭრილი და, როგორც სჩანდა, დაკლული გერმანიელი საღდათის გვაში ნახეს. იგიქრეს, სადმე ქალაქს გარეთ დუქანში ჩაუბის დროს მოჰკლავდა ვინმეო და ეს საქმე დაეიწყებას მისცეს. ქორეინს შეეძლო ეამბნა, თუ როგორ მოჰხდა ეს, მაგრამ ამ საქმეზედ, რასაკვირველია, არც ერთხელ არა წამოსცდენია-რა. სახალხო მოედნიდგან წასვლამდის, ქორეინმა მოინდომა დანაშაულობის კვალის მოძებნა და ამ მიზნით ყურადღებით დაათვალიერა ფიცარი, სვეტი, რომელზედაც ის ფიცარი იყო მიკრული და მის გარშემო ადგილი. იპოვნა მხოლოდ პატარა დანა, რომელიც, როგორც მას ეჩვენა, სადღაც ენახა; მზრუნველობით შეინახა ეს დანა და თან სცდილობდა გაეხსენებია, თუ სახელდობრ ვის ხელში ენახა ის. როდესაც გათენდა, ხალხმა დაიწყო მოედანზედ ჯგუფ-ჯგუფად მოგროვება. შევლას უნდოდა თავის თვალთ ენახა საშინელი განცხადება, მაგრამ მარტო მიშველი ფიცარი დახვდათ. ამ ამბავმა სხვა-და-სხვა ნაირი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ: ზოგნი გაფიცდნენ და ძლიერ სჯავრობდნენ ქრისტიანების გამბედაობაზედ, ზოგნი დასცინოდნენ იმ კაცების მოუხერხებლობას და დაუდევრობას, რომელთაც ამ კანონის გამოცხადება ჰქონდათ მიწოდებული, ზოგნი ჰკვირობდნენ ქრისტიანების გულადობას, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათგანი აგინებდნენ ქრისტიანებს და მათს გულში კიდევ უფრო მეტი სიძულვილი აღიგზნა. ქოველ სახალხო

ადგილებზედ, აბანოებში და ბაღებში მარტო ეს განცხადების მოპარვა-ლაჰქონდათ სალაპარაკოდ. ანტონინის აბანოში, სადაც რომის უმაღლესი საზოგადოება და ახალ-გაზდა კაცები იკრიბებოდნენ ზოლმე, იმ დღეს დიდი საზოგადოება შეიკრიბა.

— რა საშინელი კანდიცობაა განცხადების მოპარვა! ამბობდნენ ქალაქის კოხტები და წარჩინებული პირები.

— ე კიდევ ცოტაა! ეს არის სისაძაგლე, სწორედ მხოლოდ ქრისტიანების შესაფერი სისაძაგლეა საბრალო სალდათის დაჭრა, დაგლეჯა და მოკვლა! სალდათის რა ბრალია? ის მხოლოდ თავისს მოვალეობას ასრულებდა; განცხადების მცველად დააყენეს და იცავდა.

— ბანა მოჰკლეს სალდათი? წამოიძახა ერთმა ახალ-გაზდა, ქალის მსგავსად ჩაცმულმა პატრიციამ, რომელიც მუდამ სიამოვნებით შესცქეროდა თავისთავს და თავის მოზოთულობას.

— როგორ არა, მოჰკლეს... მკვდარი უნახავსთ... სულ დაწყლფლებულია, ამბობენ, სანახავად საშიშარიაო! რა ნაირი მხეცობაა!

— და რა ნაირი სულის სიმდაბლეა! აი კაცი ერთს დაეცეს! ამისთანა საძაგლობას მხოლოდ ქრისტიანები მოახერხებენ.

— იაინი ყველაფერს მოახერხებენ. სანამ იმათ ყველას ერთიანად არ ვასწყვეტენ, მანამდის აქ არც



მშვიდობიანობა, არც წარმატება, არც ბედნიერება და არც კეთილ-დღეობა არ იქმნება.

— მხეცები მივეუსიოთ მათ! შეჰსძახა ერთმა.

— ცეცხლში დაესწვათ! ჰყვიროდა მეორე.

— მხოლოდ, სადაც უნდა შეგვხდნენ, განაგრძო მესამემ.

— საქმე მაინც სულ მაგრეც არ ყოფილა, სთქვა წარჩინებულ-მხედულებიანმა ხნიერმა კაცმა, რომელიც მოშორებით იდგა. — აქ თავს-დასხმა კი არა, ჯადობაა. მე სანდო კაცისაგან ვიცი, რომ სალდათთან ორი ქალი მისულა. სალდათმა თურმე ერთს იმათგანს გული გაუგმირა, ხრმლით, ხრმალმა გულში გაუარა, მაგრამ ქალი კი არ დაჭრილა. მაშინ შეშინებული სალდათი, — ან კი ვის არ შეშინდებოდა! — თურმე მეორესკენ მიბრუნდა და შუბი ესროლა. შუბმა ქალს ტანი გაუხვრიტა და თავისთვის გაექანა. მაშინ იმ ქალმა სალდათს პირი-სახეზედ რაღაც წამალი შეაჟარა და სალდათი რაღაც უხილაფმა ძალამ თურმე ჰაერში გაიტაცა. ძალამ ის შორს, ერთის საყდრის თავზედ აიყვანა და დღეს დღით ის იქ უნახავსთ კიდევდ მწოლიარე და მძინარე. არ ვიცი, ღმერთებმა როგორ გადაარჩინეს ის სიკვდილს! მართი რომ განძრეულიყო, მაშინვე გადმოვარდებოდა და დაიმსხვრეოდა. ქეთილმა კაცებმა, დილას რომ დაინახეს, თურმე კიბე მიიღვეს, ავიდნენ და ფრთხილად გააღვიძეს. ეს ყველაფერი თვითონ სალდათმა ილაპარაკა. მართმა ჩემმა მეგობ-



ბარმა თავის თვალთ ნახეკიბე, რომლითაც ის ცხადდებოდა ავიდნენ სალდათთან და რომლითაც სალდათი იქიდგან ჩამავიდა. აბა, სირცხვილი არ არის, რომ ეს გრძნეულები ჯერ ვერ გასწყვიტეს და ამისთანა საქმეებს სჩადიან? ამის შემდეგ უშიშარს მდგომარეობაშიდ აღარაფერ არ უნდა იყოს, არც მე და არც თქვენ...

— საკვირველი საქმეა! ჩურჩულებდნენ ხალხში.

— მე კი ეგ არა მჯერა, სთქვა ჭკუიანურ-სახიანმა და დარბაისელმა მოწიფულმა კაცმა. — მე ვეღლაფერი ზღაპარია...

— როგორ თუ ზღაპარი? ჩემმა მეკობარმა თავის თვალთ ნახა კიბე. წყენით უბასუხა ხნიერმა კაცმა.

— ძიბის ნახვა არაფერი გასაკვირია, კიბე დღეს მეც ვნახე, მაგრამ აქედგან როდი სჩანს, რომ ჯადოობა დასაჯერებელი იყოს... მაგრამ ახლა მაგაზედ როდი ვლაპარაკობ. მე მინდა ყველას დაგანახოთ, რასაც ჩვენ მოვესწარით ჩვენი საზოგადოებისადმი გულ-გრალობით. ქრისტიანებმა ამით ისარგებლეს, მწველაფერი ხელში ჩაიგდეს და როგორც უნდათ, ისე ატრიალდნენ; თავის-თავს ყველაფრის ნებას აძლევენ. ქრისტიანები ყველგან ბევრნი არიან: ჯარშიაც, საზოგადოებაშიაც და მახრებშიაც. სხვა იმათთანა მოხერხებული და გამოქნილი ძნელად შეიძლება მოინახოს. ძალბურნიუს! შენ ყველაფერი კარგად იცი, სწავლული კაცი ხარ; მითხარი, შენ ხომ არ გჯერა გრძნეულობა?

— მაგრამ ჩემმა მეგობარმა რომ თავის თვითნებურად წამოიძახა იმეფე წარჩინებულ-სახიანმა ხნიერმა კაცმა.

— ძაღვ ნახა, ვანა!... პიციოთ, ვიციოთ! შაწყვეტინა სიცილიოთ ახალ-გაზდა კოხტამ და ხალხმაც გაიხარხარა. ხნიერმა კაცმა წყენით მხრება და ცხვირი ასწია, საზოგადოებას ღრმა შეურაცხებათ შეჰხედა და წავიდა.

— მე მგონია, სთქვა სწავლულმა ძალპურნიუსმა მედიტორად, — რომ გრძნეულის სრულიად უარისყოფა არ შეიძლება. სალდათის ჰაერში აყვანა შეიძლება ერთის ბალახის შემწეობით, რომელიც მხოლოდ წელიწადში ერთს დანიშნულს ღროს იქნება იშოვნოს კაცმა და იმ დღესაც, თუ კი დარი დაუდგა. ის ბალახი როდინში უნდა დანაყოთ და თან რამდენისაზე მიწურის სიტყვებით უნდა შეულოცოთ; მერე დანაყილს აეროლიტში, ე. ი. ზეციდან ჩამოვარდნილს ქვაში აურიოთ. მაშინ ის კაცი, ვისაც ამ გვარად შემზადებულს წამალს თვალეებში შეაყრიან, იმ აეროლიტსავით გაფრინდება. მესალიაში გრძნეულები (ეს დაბალმა ხალხმაც კი იცის.) ჰაერში დაჰტრინავენ. პირველი ქრისტიანები, როგორც მე რამდენჯერმე კადეც მითქვამს, იყვნენ გამოსულნი ძალდევითიდან, რომელიც ძველად გრძნეულობითა და მარჩიელობით განთქმული იყო. რა გასაკვირველია, რომ ისინი აქაც ათას გვარს გა-

დოებსა და ბორც-მოქმედებას შერებოდნენ ბო-
 როტის სულიების შემწეობით.

— ნუ თუ ყველა ქრისტიანები გრძნეულებო
 არიან? იკითხა ვილამაც ხალხიდგან.

— შექველად ყველანი გრძნეულები არიან და
 იმათი საშინელი ძალაც იქედგან წარმოსდგება. უყუ-
 რეთ, რა ნაირს პატრისასცემენ ისინი მღვდლებსა, რა-
 ტომ? მიტომ რომ ისინი ყველანი გრძნეულები
 არიან. შენიშნეთ, რომ იმათ ყველას ერთობა აქვსთ—
 მონა და ბატონი იმათში სწორნი არიან,—რატომ?
 მიტომ რომ ორნივე გრძნეულები არიან და, მაშასადამე,
 ერთ-ნაირი ძალა აქვსთ.

— რა საშინელებაა! სთქვეს ბევრმა.

— რა საძაგლობაა! ღაუმატეს სხვებმა.

— რა ნაირი სულის სიმდაბლეა, დაიყვირეს
 ერთ-ხმად ახალ-გაზდა კობტებმა,—ბატონი და ყმა
 თანასწორები არიან! ეს ხომ უზნეობაა!

— ახლა ადვილად გასაგებია, თუ რად გამოსცა
 ღვთიურმა იმპერატორმა მკაცრი, მაგრამ სამართლია-
 ნი ბრძანება, სთქვა შულვიუსმა.— ისინი უუსასტი-
 კესის სასჯელის ღირსნი არიან. ხომ მართალია,
 სებასტიანე?

შულვიუსი შეაჩერდა სებასტიანეს, რომელიც
 ესეს იყო ახლა გამოვიდა აბანოდგან. სებასტიანე
 სრულიადაც არ შეჰკრთა და გულ-გრილად უპასუხა:

— თუ ქრისტიანები გრძნეულები და შემცო-
 დეები არიან, თუ ისინი ბორც-მოქმედები და ვერა-



გები არიან, მაშინ, რასაკვირველია, სასჯელის ღირსიც იქმნებიან. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიაც ზოგიერთი უფლებანი უნდა მიეცეს მათ.

— აბა რა უფლებანი? ჰკითხა უფლვიუსმა ირონიით.

— სასურველი იქმნებოდა, რომ იმათ, ვინც ქრისტიანებს ბრალს სდებს, დემტკიცებინათ მათი დანაშაულობა; ამას ვარდა, სასურველი იქმნებოდა, რომ ქრისტიანების ბრალ-მდებელნი არც კაცის მკვლელნი, არც ცრუები, არც ქურდები და არც გარყვნილები არ ყოფილიყვნენ. რაც შემეხება მე, ვიცი, რომ უსჯულო ქრისტიანები, რომელთაც ასე საშინლად შეურაცხყოფენ, არავითარს ამ გვარს საქმეში დანაშაულნი არ არიან.

ხალხში გულმოსული დრტვიწვა შეიქმნა. უფლვიუსი გაჯავრებისაგან გაწითლდა, მაგრამ სებასტიანეს გამბედავმა და დამშვიდებულმა სახის გამოხატულებამ, იმისა მალაღმა ხმამ და კეთილ-შობილურმა შეხედულებამ უნებური სიმხდალე აგრძნობინა მას. ბაჩუმდა ხალხიც, რომელმაც სებასტიანეს სიტყვები პირველად დრტვიწვით მიიღო: ხალხმა თავის თავზედ იგრძნო ის დაურღვეველი გავლენა, რომელიც ყოველთვის აქვსთ ხოლმე ხალხზედ ქრისტიანების პირ-და-პირ, დაუფარავად და უშიშრად მოლაპარაკე მართალსა და პატიოსანს კაცებს.

ჩვენ ვან ზემოდ მოყვანილის კეთილ-შობილური-



სა და შართალის სიტყვებია თქმის შემდეგ, ტიანე მოტრიალდა და წყნარად გავიდა ანტონის აბანოდგან. იაე ჩაფიქრებული მიდიოდა რომის ქუჩებზედ, რომ ვერც ვერავის ჰხედავდა და ვერც ვერაფერს ნიშნავდა. მეტად შეწუხებული იყო. «ღიდ-ხანს უნდა ვიტანჯოთ ასეო?» ჰფიქრობდა ის მწუხარებით. — «ღიდ-ხანს უნდა ვითმანოთ ამდენი ცილის წამება და ღევნა? ღიდ-ხანს უნდა ვებრძოლოთ თვითოეულმა ჩვენგანმა ურიცხვს, განძინებულს ხალხს? ღიდ-ხანს უნდა ვისმინოთ ბრალ-დება იმათგან, ვისაც ჩვენი სწავლისა და ჩვენი სარწმუნოების სრულიად არა ვითარი გაგება არა აქვსთ და არც უნდათ იცოდნენ, თუ რა ვართ ჩვენ?» ამ დროს იმან რაღაც ქალაღის ნახევი დაინახა და შეჩერდა; მერე უეცრად ჩქარის ნაბიჯით გავიდა რომის ალაყათის კარებიდგან და თითქმის უნებურად ხმა მალლა წამოიძახა: «მერთო ჩემო! კიდე? და კიდე ღიდ-ხანს იქმნება?»

— ძეთილო კაცო, სთქვა მის უკან წყნარმა და მშვიდობიანმა ხმამ, — ნუ გენაღვლევა, რომ ჩვენ ჯერ კიდე ფეხით გვთელენ და ტალახს გვესვრიან! მოვითმინოთ კიდე. ზაიხსენე მაცხოვრის სიტყვები: „ნუცარ იყვნენ დუგნულნი სიძარტლისათვის, რამეთუ მათი არს სასუთუჯული ცათა. ნუცარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვრიდნენ და გდუნიდნენ, სთქვან ყოველი სიციყვა მთრლავი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩქმთავის. გისართდენ და მსიართლ იყვნით, რამეთუ სასყიდული



თქვანი თრიაჯ არს ცათა შინა; რამეთუ უჯრეთუ სდევ
ნის წინასწარ-მაცყულნი უწინარეს თქვენსა.“

— ზმადლობ, სეცილია, უთხრა სებასტიანემ, —
შენის ბაგით, როგორც უცოდველია ყრმის პირით,
ღალადებს ძრისტეს სიბრძნე. მადლობელი ვარ, —
შენ გაამხნევე ჩემი დასაცემად განმზადებულნი სული
და ჩემს შეწუხებულს გულს შენ მოსცხე სამკურ-
ნალო მალამო. მაგრამ სად მიდიხარ ასე დამშვიდე-
ბულად იმ დღეს, როცა ჩვენი უბედურება და დევ-
ნულება იწყება?

— მე ძალიკსტის აკალდამებში დამნიშნეს წინა-
მძლოლად, უბასუხა სეცილიამ. — თუ ჩვენ დალუბა
გვიწერია, ჩემთვის ილოცე; დაე, პირველი მე დავი-
ლუბო.

ზაათავა ეს სიტყვები თუ არა, მაშინვე წასვლა
დააბირა, მაგრამ სებასტიანემ გააჩერა და სიჩქარით
რიდაიც ახსნა და დარბეგბა დაუწყო.

XX.

იმ ღამენ დელია შემთხვევის შემდეგ ვერც პანკ-
რატი და ვერც ღიოგენის შვილები დასაძინებლად
ვერ დაწვნენ, ამიტომ რომ განთიადხედ ისინი და
სხვა ქრისტიანები შინაურს ეკკლესიაში უნდა შეკ-
რებილიყვნენ და წირვის მოსმენის შემდეგ თავიანთს
სახლებში უნდა წასულიყვნენ. ეს შეკრება უკანას-
კნელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ებისკოპოსის
და მღვდლების ბრძანებით სამლოცველოები და შინაუ-

რი ეკლესიები უნდა დაეკეტათ და ამას შემდეგ
 ლოცავად აკალდამებში უნდა შეკრებილიყვნენ. იმ
 ქრისტიანებს, რომელნიც შორს იდგნენ, ნება მის-
 ცეს ამ საშიშროების დროს შინ დარჩენილიყვნენ.
 იმავე დღეს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთი
 სულის შემადრწუნებელი და გულის მომწყვლელი
 ამბავი მოჰხდა. ქრისტიანებმა იცოდნენ, რომ იმათი
 განსაცდელის დრო დადგა და ერთმანერთს ეთხო-
 ვებოდნენ. საყდარში კოცნის, ტირილის და ქვითი-
 ნის ხმა გაისმა. მართლაც, ბევრს იმათგანს აღარ
 ღირსებით ამ ქვეყანაში ერთმანერთის ნახვა. შვე-
 ლანი სტიროდნენ, ყველას ერთი-მეორისათვის ეწი-
 ნოდათ, მაგრამ არც ერთს იმათგანს ფიქრათაც არ
 მომსვლია გადაეთქვა თავისი სარწმუნოება. შველანი
 სთხოვდნენ ღმერთს, რომ მისცეს მათ ძალა,
 აატანინოს მომავალი უბედურება, საშიშარი სიკვ-
 დილი და, რაც ყოველისფერზედ უსაშინელესია,
 მეგობრების სიკვდილია.

ქორეინმა კი ბრძანა, განცხადება, რაც შეიძლება,
 საჩქაროდ გადასწერეთ ხელ-ახლავ და სახალხო მოე-
 დანზედ გამოჰკიდეთო. იმას ძალიან ეწინოდა, რომ
 იმდღევანდელის განცხადების მოპარვის ამბავი მაქ-
 სიმინეს არ შეეწყუდა ამისათვის გარდასწყვიტა, რაც
 უნდა მომხდარიყო, იმ დღესვე რაშიმე გამოეჩინა
 თავი და თავისი უნებლიეთი შეცოდება გაესწორე-
 ბინა. ქორეინი წავიდა ანტონინის აბანოში, რომ
 შუღვიუსისათვის რჩევა ეკითხა. ამ გვარი რჩევა



მათთვის პირველი არ იყო. იმათ როდი შეუძლებოდა, რომ ყოველთვის, როცა კი ისინი შეიყრებოდნენ, ატყუმიუსის ცოლა, მიქტორია თითქმის არ სცილდებოდა მათ; იგი ქალურის მოხერხებულობით იმათს სიახლოვეს გაიჩენდა რამე მისალაგებელს, ან სასამაახურო საქმეს. ამ რიგად შეეძლო ბევრი რამ გაეგონა და პორფინისა და შულევიუსის აზრები ამისათვის საიდუმლო არ იყო. მართხელ გაიგონა, რომ პორფინი მეორე დღეს აკალდამების დაცემას და იმათში შესვლას აპირებსო და ეს ამბავი ატყუმიუსს უამბო.

ატყუმიუსმა შეატყობინა ქრისტიანებს, რომ ელნიც ველარ დაიჭირეს, რაკი მათი განზრახვა წინათვე შეტყობილი ჰქონდათ. მაგრამ იმ დღეს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, მიქტორიამ ყური მოჰკრა, რომ პორფინი მეორე დღეს აღარ უცდის, იმ დღესვე აპირებს აკალდამების დაცემას და ეს აზრი შულევიუსმაც მოუწონა. რაც უნდა ყოფილიყო, ეს ამბავი უნდა შეეტყობინებინათ ქრისტიანებისათვის, რომელთაც (როგორც ატყუმიუსმა იცოდა) უშიშარს მდგომარეობაში ეგონათ თავი და სწორედ იმ დროს უნდა შეკრებილიყვნენ აკალდამებში. პორფინს შეეძლო ყველანი ერთიანად დაეჭირა. ატყუმიუსს მხოლოდ ამის წარმოდგენითაც კი ძარღვებში სისხლი უყინდებოდა; მაგრამ როგორ უნდა ეცნობებინა მათთვის? ვინ უნდა გაეგზავნა? ვის უნდა ენდობოდა? ატყუმიუსსა და მის ცოლს სრულიადაც

არ შეეძლოთ უეცრად მოშორებოდნენ აბანოს, სა-
 დაცსამძიმო სასამსახურო ჰქონდათ. როცა ტუკუმიუსი
 ამაზედ ჰფიქრობდა, ამ დროს დაინახა, რომ სებასტიანე
 შემოვიდა; მაგრამ არც ჩვეულება და არც უბრა-
 ლო სიფრთხილე ნებას არ აძლევდა მას, უბრალო
 მოსამსახურეს, რომელიც დიდი-კაცის ბეილთან და
 იმპერატორის გვარდიის აფიცერთან მისულიყო და
 ლაპარაკი დაეწყო. მიქტორიამ ტანასამოღის მირთ-
 მევის დროს მისს მოსახურავეზედ უკუღმადგან მია-
 ბნია ქალაღი, რომელზედაც შეცდომებით, მაგრამ
 კარგად გარკვევით დაწერილი იყო პორფირის აზრი.
 სებასტიანე აბანოდგან შევიდა საზოგადო ზალაში,
 სადაც, როგორც ჩვენ დავინახეთ, ბაასში მონაწი-
 ლეობა მიიღო და ქრისტიანებს გამოესარჩლა. თეი-
 თონ ბაასის სავანმაც და შულვიუსის მასთან შეუ-
 პოვრად მოქცევამ და გადაკვრით ლაპარაკმაც ძლიერ
 ააშფოთა სებასტიანე; ის აბანოდგან გამოვიდა და
 ალაღ-ბედზედ მიდიოდა. უეცრად იგრძნო, რომ
 გულზედ რაღაც ქალაღი აბნეფია. აიძრო ქალაღ-
 ღის ნახევი, წაიკითხა და საჩქაროდ გასწია რომის
 გარეთ-უბნისაკენ. გზაზედ ცეცრილია შეჭხვდა, სებას-
 ტიანემ ქალი გააჩერა, მიქტორიას ბარათი მისცა და
 სთხოვა, საჩქაროდ გაიქეცი და ყველაზედ უწინ ეპის-
 კოპოსს შეატყობინე, თუ რა საშინელი მდგომარეო-
 ბა მოელის ყველას დაგანსაკუთრებით მასს, სთხოვე,
 რომ აკლდამაში დაიმალოს და სანამ მე თვითონ


არ შევატყობინებ, მანამდის ნუ გამოვაო. სეცილია საჩქაროდ გაიქცა ძალიკსტის აკალდამისაკენ, სადაც ამ დროს ყველა ქრისტიანები იყვნენ თავ-მოყრილნი.

ამავე დროს ძორენი, შულვიუსი და მათი წინამძღოლი ტორკვატოსი ოციოდე დარჩეულის სალდათებით მეორეს მხრით უახლოვდებოდნენ ძალიკსტის აკალდამას. ძორენი და ტორკვატოსი რამდენიმე სალდათებით შიგ აკალდამაში უნდა ჩასულიყვნენ, შულვიუსსა და დანარჩენს სალდათებს კი კარებთან უნდა ეყარაულნათ, აქე რომ ყველა ქრისტიანები, რომელნიც ძორენს დაუძვრებოდნენ ხელიდგან, აკალდამიდგან ამოსვლის დროს უთუოდ შულვიუსს ჩაეარდნოდნენ სელში.

ახლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, დავხატოთ აკალდამების ნაწილის პლანი, სადაც ქრისტიანები სალოცავად იკრიბებოდნენ. მკვლესიაში ორი, ერთმანერთის პირ-და პირ მდებარე დერეფანი იყო. საყდარი ერთს მხარეზედ იყო და ქალების დასადგომი განყოფილება მეორეზედ, ამიტომ რომ ქრისტიანობის პირველ-საუკუნეებში, წირვის დროს ქალები და კაცები ერთად როდი ღებოდნენ. ჩვენ გვინდა პატარა მხატვრობა წარვუდგინოთ ჩვენის მოთხრობის მკითხველთ, რომ უფრო კარგად გავაგებინოთ ამ აკალდამების ნაწილის მდებარეობა:

ა) უკლუსიის საკურთხე-
 ჟული და ეპისკოპოსის ად-
 გილი.

ბ) დერეფნეში, რომელ-
 თაც უკლუსიიდგან კარქმამ-
 დის მიჰყავს კაცი და რთ-
 მულნიც ურდისჯის დერეფნე-
 შით აზიან გადასლართულ-
 ნი.



ტორკვატოსი როგორც კი მივიდა კარებთან, ნანგრევებით დაფარული რომ იყო, მაშინვე მონახა ის კარი. უნდა მიწის ქვეშეთში ჩასულიყვნენ. ტორკვატოსის რჩევით სალდათებს უბრძანეს ფანრები დაიჭირეთ ხელშიო, მაგრამ იმათ ძალიან უარი სთქვეს უჭინჭლილოდ ძირს ჩასვლაზედ; ეგონათ, რომ ჟინჭლილის სინათლე უფრო სწორედ და კარვად გაუნათებდათ გზას, ვინემ ფანრის მკრთალი სინათლე: შულოვიესმა არ იცოდა, თუ იმათს სინათლეში რაიმე განსხვავება იყო და დაეთანხმა იმათს თხოვნას. სალდათებმა აანთეს დიდრონი ფისიანი ჟინჭლილები.

— ამ გვარი ძებნა არ მიყვარს, ბუტბუტებდა



ერთი ბებერი სალდათი, — ომებში დავბერდი, მაგრამ ყოველთვის თვითონ დაიარაღებული ვყოფილვარ და ისე დაიარაღებულს მტერთან მიომნია მ'ის სინათლეში. მს კი რა ამბავია? უნდა მიწაში ჩავძვრე, სადაც იმათ შეუძლიათ მუდოსავით დაგვარჩონ ბნელაში!

ამ სიტყვებმა სხვა სალდათებზედაც იქონიეს გავლენა.

— შინ იცის, რამდენი კაცია შიგ, მიუგო ერთმა იმათგანმა; — შეიძლება ასობითაც იყვნენ და ჩვენ კი მარტო თორმეტი კაცი ვართ.

— ჩვენ ჯამაგირს მიწაში საძრომლად კი არა, მტერთან საომრად გვაძლევენ, სთქვა მესამემ.

— ნეტავი მტერთან საომრად წაგვიყვანდნენ, ან იმათ დაჭერას გვიბრძანებდნენ! ღაუმატა ერთმა სალდათმა. — იმათი როდი მეშინია, თუნდ ასობითაც იყვნენ! მე მხოლოდ ჯადოსნობისა მეშინია, — ყველამ იცის, რომ ესენი კუდიანები არიან.

შულვიუსი სალდათებთან მივიდა და არწმუნებდა მათ, რომ ქრისტიანები ცოტანი არიან, რომ ისინი კუდიანები კი არა, მეტად მშიშარნი არიან, რომ იმათ დიდ-ძალი სიმდიდრე აქვსთ მიწაში დამარხული, ასე რომ ყველა სალდათების გასამდიდრებლად მარტო ოქროისა და ვერცხლის ლამპრებიც საკმაო იქმნება. სალდათები გამხნევდნენ და ძირს ჩაეშვნენ. ტორკვატოსი წინ მიდიოდა. ძიბეზედ რო ჩავიდნენ და პირ-და-პირს დერეფანში კაი მანძილი

გზა გაიარეს, უეცრად შორიდგან ძალიან სუსტი სინათლე დაინახეს.

— ნუ გეშინიათ, უთხრა ტორკვატომა,— ეს დიამბრების სინათლე არის.

ამ დროს ვალოზის ხმა მოისმა. სალდათები შეეგრძნენ.

— ჩუ.. ჩუ..., სთქვა ერთმა სალდათმა, ყურადღებულად, ვიღაც ჰვალოზს. სალდათები უძრავად იდგნენ და ყურს უგდებდნენ. თაღება ქვეშ გაისმოდა წმინდა, ძლიერი და ახალ-გაზდა ხმა და ვალოზის ყოველი სიტყვა ცხადად ემოდათ სალდათებს:

«რუჯალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა შეშინოდი? რუჯალი შესაჟღერებულ არს ცხოვრებისა ჩემისა. ვისგან შევბრუნდი?»

შემდეგ ყველამ ერთ-ხმად ივალოზეს შემდეგი სიტყვები:

«მთასლუძასა ჩემზოდა უკეთურთასა შეჭმად სორცთა ჩემთა. მაჭირჟებულნი ჩემნი და მცურნი ჩემნი, ავინი მოუბლურდეს და დაეცეს.»

სალდათებმა ამ სიტყვების გაგონება ძლიერ იწყინეს.

— ღავეცინიან, თუ ეს რა ამბავია? ბუტბუტებდნენ ისინი,— ჩვენ იმათი არ გვეშინია, არ შევეშინებულვართ, არ მოუძღურებულვართ და არც დავეცემით!

მაგრამ ამ დროს იმავე ხმამ ისევ მარტო ვალოზა დაიწყა:

«ვანა თუ უწყოს ჩემზოდა შანავი, არა შეშინის კულისა ჩემსა!»



— მე ამ ხმას ვიცი, წაიხურჩულა ტორკინმა; ამ ხმას ათას ხმაშიაც კი ვაჯერჩევდი... ეს სწორედ პანკრატია და არა სხვა ვინმე! ღარწმუნებული ვარ, რომ განცხადებაც მაგან მოიპარა წუხელი! წამოდით, წამოდით, მეგობრებო! სამაგალითო ჯილდოს ვპირდები მას, ვინც იმას ცოცხალს, ან მკვდარს მომიყვანს.

— ზაჩერდით! ეს რაღა არის? სოქვა ერთმა სალდათმა, — გესმისთ ბარების და ნიჩბების რახარუხი? ჩაქუჩების ხმა გესმისთ? მე დიდი-ხანია ვუგდებ ყურს და ახლა უფრო ცხადად ისმის ეს ხმაურობა.

ზაჭკრა ლამპრების სინათლე, რომელიც შორიდგან მოსჩანდა და გალობაც შეწყდა.

— ეს რას უნდა ნიშნავდეს? დაიყვირეს სხვებზედ წინ მიმავალმა სალდათებმა.

— არასფერს მის მეტს, რომ ჩვენი განზრახვა შეუტყვიათ; უთუოდ დაუნახეართ!

— ნუ გეშინიათ, აქ საშიშარი არა არის რა, წაიბუტბუტა ტორკვატოსმა, რომელსაც ძლიერ ეშინოდა და შერცხვენილიც იყო ამ საკიცხავის მოქმედებით. ბარისა და ნიჩბის ხმა არაფერია — უთუოდ იმათი მესაფლავე დიოგენი მუშაობს, რომელსავე თავისს ამხანაგებთაგანს მარხავს.

სოტად გამხნეებულმა სალდათებმა ისევ გასწიეს დაბალსა და ვიწრო მიწის-ქვეშეთს დერეფნებში, მაგრამ მალე შენიშნეს, რომ ქინქლილები სი-

არუღს უშლიან მათ და რომ **ტორკვატოსი მარტინა-**
 ლი იყო, როცა მხოლოდ ფანრების დაჭერას ურ-
 ჩევდა. მიწის-ქვეშეთის დახშულისა და ნოტიო ჰაე-
 რის გამო ჟინქლილები იტკვლიცებოდნენ და მიმა-
 ვალს სალდათებს ნაპერწკლებს აყრიდნენ ცხვირ-
 პირში. ამასთანავე ფისიანის ჟინქლილების სქელი და
 თვალების მწველი კვამლი ეკვრებოდა დაბალს თა-
 ვანს. სალდათებს სულის მოთქმას უჭირებდა, თვა-
 ლებს სწვამდა და ცეცხლის სინათლესაც აბნელებდა.
ტორკვატოსი ყველაზედ წინ მიდიოდა და დიდის
 ყურადღებით ითვლიდა განის დერეფნებს, რომელ-
 ნიც **ჰანკრატთან** აკალდამებში სიარულის დროს შე-
 ენიშნა. შერც ერთი თავის დასმული ნიშანი ევლარ
 ნახა, ძლიერ ძრწოდა და თან-და-თან ჰკარგავდა სიმ-
 ხნეს. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმისი
 შიში, როდესაც ის სრულიად მოულოდნელად მი-
 ვადა დერეფნის ბოლომდის, რომელიც ქვიშითამო-
 შენებული იყო და გასასვლელი ვა არსაით ჰქონდა:
 დერეფანი უცებ თავდებოდა. ჩვენი მკითხველები
 მიჰხვდებიან, რომ ეს კედელი **ლიოგენის** 'შვილებმა
 გააკეთეს საჩქაროდ. იმათ ქვიშა აღრიდგანვე ჰქონ-
 დათ მომზადებული და დაუძინრად ყარაულობდნენ
 აკალდამებში; როგორც კი დაინახეს შიგ ჩასული
 სალდათები, მაშინვე ვიწრო დერეფანი საჩქაროდ
 ჭერამდის ამოავსეს ქვებითა და ქვიშით. აი, რატომ
 გაიგონეს სალდათებმა უეცრად ბარის, ნიჩბების და
 ჩაქუჩების ხმა და დაინახეს, რომ ლამპრების სინათლე
 უეცრად გაჰქრა და გალობაც შესწყდა.

შეუძლებელია გამოვსთქვათ, თუ როგორ შე-
 ეშინა ტორკვატოსს; სალდათების ლანძღვა-წყველა
 და ძორენის წყრომა უკანასკნელს გრძნობასაც
 უკარგავდნენ მას.

— ღამაცადეთ, მივიხედ-მოვიხედო, სთქვა ტორ-
 კვატოსმა მთრთოლვარის ხმით, — ალალ-ბედზედ ხომ
 არ მომყავდით აქეთ! წინაზედ ვიკავი აქ და ყველა
 გზები კარგად მახსოვს. მიცი, რომ აქ ერთი შესა-
 ნიშნავი საფლაფი არის, მაზედ ხატიც ასვენია და
 კანდელი უნთია. აქ მომიცადეთ, ერთსა და ერთს
 განის დერეფანში შევალ და უსათუოდ მოვინახავ მას.
 იმ საფლაფთან მარჯენიე უნდა მოუხვიოთ.

ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა, ტორკვატოსი
 განის დერეფანში შევიდა და მისი გამყოლი გაო-
 ცებულის სალდათების თვალ-წინ უეცრად გაჰქრა
 თავის ჟინჯლილიანად. პერაფინ ვერ გაიგო, თუ საით
 მიეფარა ტორკვატოსი ასე უეცრად. პერსაით მიუ-
 ხვევდა, რადგან დერეფანი ლარსაფით სწორე იყო;
 ახლო-მანლოს არც ბოძი იყო, არც ბაქანი და არცა
 რამ ჰქონდა მიშენებული. ტორკვატოსის გაქრობა
 ჯადოქრობას მიემსგავსებოდა, და სალდათებს ში-
 შით თავ-ზარი დაეცათ. ისინი რამდენსამე ხანს უძ-
 რავად იდგნენ, მერე უკანვე გამოიქცნენ ყვირილით

— ჩვენ აქ დარჩენა აღარ გვინდა, აღარ შეგვიძ-
 ლიაო!

ძვამლი სულს უგუბებდა მათ და თვალეზ
 უვსებდა; პირ-და-პირის დერეფნით გამოექანენ კა

რებისაკენ და, შიშისაგან ხარ-დაცემულნი, ქინჯლით
 ღებს განოს იერვფნებში ისეროდნენ; უკან რომ
 მოიხედავდნენ ხოლმე და დაინახავდნენ საშინელს
 სახილველს, რომელიც წარმოუდგებოდა მათს შეშინ-
 ნებულს თვალებს, შიში კიდევ უფრო უძლიერდებოდათ.
 ღვრეფნები გაჩაღებული იყო იმათგან გადა-
 დაყრილის ქინჯლილებით. ქინჯლილებიდან რხევით
 და ფერის ცვლით ადიოდა წითელი ალი, რომელიც
 კედლებს წითელს ფერს აძლევდა და კვამლს კი,
 რომელიც სალდათებს ნელ-ნელა მისდევდა უკან,
 აძლევდა სხვა-და-სხვა ფერის, ხან ღია და ხან მუქს
 სხივებ. შვითელის ქვით ამოშენებული და მარმარი-
 ლოს ქვებით, მათზედ მხატვრობებით და ზედ-
 წარწევებით შემკული საფლავები ხან ოქროისად
 ეჩვენებოდათ, ხან ვერცხლისად და ცხადად განი-
 ჩვოდნენ მუქი წითელია ქვიშის კედლისაგან. შრთ-
 მანერითში არეული კვამლი და ქინჯლილების ცეცხ-
 ლი, რომელიც ხან ჩაჰქრებოდა და ხან იქვე აღევ-
 ზნებოდა, რაღაც აუწერელს. ფანტასტიკურს სა-
 ხილველს წარმოადგენდა. ეს სახილველი ყოველის
 კაცის, თვით გულ-გრილის კაცის კრძნობაჲდაც კი
 იმოქმედებდა. მაშ შვიძლება წარმოვიდგინოთ, თუ
 როგორი შთაბეჭდილება ექმნებოდა ცრუ-მორწმუნე
 და შეშინებულს სალდათებზედ, რომელნიც ისეთის
 უსიამოვნებით ჩავიდნენ მიწის-ქვეშეთში. ისინი ჯერ
 კარებთან არც კი მისულიყვნენ, რომ ერთმა მოუ-
 ლოდნელმა სანახავმა ხელ-ახლავ დასცათ მათ თავ-
 ხარი:

იმათ წინ, განის დერეფანში, რაღაც თეთრი, უძრავი სინათლე ბრწყინავდა ვარსკვლავსავით. ზერსაღდათებს ეგონათ, რომ ეს იყო აკალდამებში მალდიდგან ჩამოსული დღის სინათლე, მაგრამ მერე რაღაც ფიგურა დაინახეს. ეს იყო მაღალი და კარგი ტანადი ქალი, რომელსაც თაღხი, გრძელი კაბა ეცვა. იგი უძრავად იდგა და, როგორც თავიანთ თაღხის კაბით, აგრეთვე უძრავად დგონითაც მიემგავსებოდა ბრინჯაოს ანდროიანტს. მხოლოდ პირი და ხელები ჰქონდა გასაკვირველად თეთრი. ხელში ლამპარი ეჭირა და რაც შეეძლო მაღლა აეწია.

— ეს რა უნდა იყოს? ჰკითხავდნენ საშინლად შეშინებული საღდათები ერთმანერთს და ვერც ერთი მათგანი ველარ ჰხედავდა წინ ბიჯის გაღვმას.

— ჰუღიანია! ბუტბუტებდა ერთი.

— ან წმინდანიანი იქმნება, სთქვა მეორემ.

— შთუოდ რაღაც სული იქმნება და სწორედ ბოროტი სული უნდა იყოს, დაამოწმა მესამემ.

მაგრამ ძორეინმა, როგორც იქმნა, თუ სხვა-და-სხვა გვარის რჩევით, თუ ფულებიანა და სხვა საჩუქრების დაპირებით, მოახერხა წინ წაეყვანა საღდათები, რომელთაც იარაღი ხელში დაიჭირეს და ისე ფრთხილად, ნელ-ნელა, აქეთ-იქეთ ყურებით მიდიოდნენ. ძალი ისევ-ისევ უძრავად და ხმა ამოუღებლად იდგა. ბოლოს ორი საღდათი თავ-განწირულის გამბედაობით გაიქცნენ მისკენ და ხელებში ხელი სტაცეს.

— მინა ხარ? ჰკითხა გამწარებულმა პორცინმა. შის ხმაში შიში და მძვინვარება ისმოდა.

— ქრისტიანი ვარ, მიუგო წყნარმა, მშვიდმა და მელოდიურმა ხმამ, — ეს ცეცილიას ხმა იყო.

— ღაიჭირეთ ეგ! ღაიყვირა პორცინმა.

ცეცილიამ სებასტიანესაგან მინდობილი საქმე რომ აასრულა, მერე წავიდა მეორე კარებისაკენ, რომელიც აკალდამის პირველის კარის სიახლოვეს იყო, ლამპარი აანთო და კარებთან გაჩერდა.

— რას შერები ცეცილია? უთხრა მას პანკრატმა, რომელიც ბევრს სხვა ქრისტიანებთან ერთად ეშურებოდა იქილვან გასვლას. — თან წამოგყვევი, თავს უშველე!

— მე ყარაულათა ვარ დანიშნული; ჩემი მოვალეობა არის კარებთან ვიღვე და ყველა მომსვლელ-წამსვლელთ გაეუწათო.

— ძი, მაგრამ ისინი დაგინახვენ და დაგიჭერენ

— ღაე, დამიჭირონ, სთქვა მტკიცედ და დამშვიდებით ცეცილიამ, — სანამ ყველანი არ გავლენ, მანამდის აქ დავრჩები.

— ლამპარი გააქრე — შენ ბრმა ხარ, ლამპარი ვერაფერს მოგეხმარება.

— მართალია, მაგრამ სხვა აქ გამვლელებს მაინც მოეხმარება ეს ლამპარი.

— ია სხვები რომ ჩენი მტრები იყვნენ?

— რაც ღმერთს ენებოს, ის მოჰხდეს, მიუგო ცეცილიამ, — მე კი მაინც არ შევატოვებ ეპისკოპოსისაგან დანიშნულს ალაგს.



აი, ამ გვარად დარჩა სეცილია მარტო, ანთე-
ბულის ლამპრით ხელში. მოახლოვებულმა ფეხის-
ხმამ ვერ შეაშინა იგი; ეს საბრალო ვერ დაინახე-
და, თუ ვინ მოდიოდა, ისევე ქრისტიანები, თუ სალ-
დათები და რა კი ხელში ჩაუვარდა მათ, ძლიერ დამ-
შვიდებით გაჰყვა უკან. სალდათები და ქორვინი რომ
აკალდამებიდგან ამოვიდნენ და მარტო სეცილია
ამოიყვანეს, შულევიუსი საშინლად გარისხდა. მწა-
რედ დასცინოდა ქორვინს და აყვედრიდა; მაგრამ
უეცრად, თითქოს ახლა მოვიდა გონზეო, იკითხა:
ტორკვატოსი რაღა იქმნაო? როცა უამბეს, თუ რო-
გორ უეცრად გაჰქრა იგი ყველას თვალ-წინ, ერთის
თვალის დახამხამებაზედ, შულევიუსი დარწმუნდა, რომ
ის გაქცეულაო რომელიმე საიდუმლო კარებიდგან,
რომელიც მხოლოდ მან იცოდა. ამაზედ კიდევ უფ-
რო გარისხდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ სეცი-
ლია რაიმე ნამდვილს ამბავს მაცნობებსო და ამი-
ტომ დაუწყო გამოკითხვა:

— შემომხედე და ყველაფერი მართალი მით-
ხარი, უთხრა მან მკაცრად.

— მე შენ ვერ შემოგხედავ; განა ვერა მხედავ,
რომ ბრმა ვარ?

— ბრმაო! მაიმეორეს სალდათებმა და ხალხმა,
რომელიც კიდევ შეკრებილიყო მათ გარშემო. ხალ-
ხმა რომ ყმაწვილი, ლამაზი და უპატრონო ბრმა
ქალი ნახა, ძლიერ შეებრალა. თვითონ შულევი-
უსიც დაფიქრდა. ხალხსაც, სალდათებსაც და მთავ-



რობასაც იმედი ჰქონდა, რომ ბევრ ქრისტიანებს დაატყვევებდნენ და ეს მოგზაურობა კი მართო ერთის ბრმა ქალის დაჭერით გათავდა. ამ საქმემ მართო ფუჭედ კი არ ჩაიარა, ეს საქმე ერთობ საცოდავი და სასაცილოც გამოდკა.

— თქვენ წადით თქვენს უბანში, უთხრა სალდათებს ფულვიუ მა, — შენ კი, პორფინ, ჩემს ცხენზედ შეჯექ, მამა-შენთან მადი და ეს ამბავი აცნობე; მეც იქ მოვალ და ამ ტყვესაც ჩემის ეტლით მოვიყვან

— ჩემი ღალატი არ განიზრახო, უთხრა პორფინმა, რომელსაც ამ გვარი განკარგულება არაფრად ეთენავა.

— ნუ გეშინია! მიუგო ამაყად და შეურაცხებით ფულვიუსმა.

ფულვიუსმა თავისი ეტლი მოწახა, ცეცილია შიგ ჩაისვა და ტკბილად და ალერსიანად ლაპარაკი დაუწყო, იმ განზრახვით, რომ ამ გვარის ქცევით რასაც კი ვისურვებ, ყველაფერს შევრტყობ მისგანო.

— ღიღი-ხანია, რაც დაბრმავდი, საბრალო ქალო? ჰკითხა მან.

— მე დაბადებიდგანვე ბრმა ვარ, უპასუხა ცეცილიამ.

-- სადაური ხარ? მომიყევი შენის ცხოვრების ამბავი.

— მე ბევრი სამბო არა მაქვს რა. ჩემი დედ-

მამა ღარიბები იყენენ; თურმე ოთხის წლისა ვყოფილვარ, რომის ქალაქში რომ მოუყვანივართ. ისინი აქ მოსულან აღძქმისაებრ, წმიდის მოწამის ღარიას საფლავის თაყვანის საცემლად, რომ ამ მოწამის ლოცვით ეთხოვნათ ლეთისათვის ჩემი მორჩენა. ისინი თურმე აკლდამებში წავიდნენ წმიდა მოწამის საფლავზედ და მე კი შინ, ერთს ბებერს დედაკაცთან დამტოვეს. ჩემი მშობლები იქიდგან აღარ დაბრუნებულან: ჩვენის მღვენელების ბრძანებით, იმათთვის და სხვა მრავალის ქრისტიანებისათვის აკლდამებში ცოცხლად დაეყარათ მიწა. ჩემმა დედამამამ ძრისტეს გულისათვის გასწირეს თავიანთი სიცოცხლე და დაიღუპნენ.

— შენ როგორ-ღა სცხოვრებდი მას უკან?

— როგორც ლეთის ნება იყო; ლმერთი არის ჩემი მამა და მისი ეკლესია ჩემი დედა. ლმერთი პატარა ჩიტებსაც კი ჰკვებს და ეკლესია შეიწყნარებს თავის სამწყსოთა ავად-მყოფთა და სუსტთა ცხოვართ. შაჭირვება მე არას დროს არ გამომიცდია და არც არას დროს არ მინახავს. მე მებმარებოდნენ, მარჩენდნენ და ვუყვარდით.

— შინ გპატრონობდა? ჰკითხა შულგიუსმა.

— ჩემი მამები, ჩემი ძმები და დები.

— შენ აკი სთქვი, ნათესავები არა მყავსო?

— ძრისტეს მიერ ნათესავები მყავს, უთხრა

სეცილიამ.

შულგიუსმა მისი სიტყვები ვერ გაიგო და განაკრძო:



— მე შენ წინათაც მინახავხარ; თვალ-ხილულსა ვით ყოველგან მარტო დადიხარ ხოლმე.

— ღიად, ეგ მართალია. მე ხელის ცეცებით ვიცი ყველა ქუჩების გზა და შემოქლია შევიარო ყველა ქუჩები ისე, რომ გზა არ დამებნეს. და კიდევ რომ დამბნეოდა გზა, კეთილი კაცები მომეხმარებოდნენ.

— შენ სტყულები, რომ ქრისტიანი ხარ?

— რასაკვირველია, ქრისტიანი ვარ; განა შემოქლია ამის უარი ვსთქვა?

— მაშ იმ სახლში, გახსოვს, მე რომ ავადმყოფ მოხუცთან გნახე, ქრისტიანები იკრიბებოდნენ?

— რასაკვირველია! ქრისტიანებს გარდა აბა ვინ უნდა იკრიბებოდნენ იქ?

შულგიუსსაც მხოლოდ ეს უნდოდა. მაშ აგნესა ქრისტიანი ყოფილა! ღიად-ხანია ჰფიქრობდა ამას შულგიუსი, მაგრამ აქამდის ვერ დარწმუნებულყო. ახლა კი აგნესა ამის ხელშია: ან შეირთავს ცოლად და ან მთავრობას დააბეზღებს! რაც უნდა იყოს, ნახევარი იმისი სიმდიდრე შულგიუსის ხელში გადავა!

შულგიუსი გაჩუმდა; ბრმას დააცქერდა სახეზედ და იმისმა დამშვიდებულმა სახემ მეტად გააოცა.

— იცი, სად მივდივართ ახლა? ჰკითხა მან ცეცილიას.

— შთუოდ ამ-ქვეყნიერს მსაჯულთან, რომე-



ლიც მიმცემს მე ზეციურს მსაჯულს, წარმოსტეა
 ცეცილიამ რაღაც — ნაირის ალტაცებით და ისეთის
 ღრმა გრძნობით, როგორც ისმის ხოლმე იმ კაცის
 სიტყვებში, ვინც თავის სიმართლესა და უბრალოო-
 ბაში მტკიცედ არის დარწმუნებული.

— შერე აგრე დამშვიდებით ლაპარაკობ? შთ-
 ხრა შულეიუსმა გაკვირვებით.

— აბა რისი უნდა მეშინოდეს? მე ჩემს ზეცი-
 ერს მამასთან წაველ და ჩემის შფლისათვის სიხა-
 რულით მოვკვდები.

ცეცილია რომ მოიყვანეს ტერტულიუს პრე-
 ფექტთან, რომელიც ძორჯინის მამა იყო, უკანას-
 კუნელმა სიბრაღულით შეჰხედაქალს. მგონა, საბრა-
 ლო ბრმა ქალი წინააღმდეგობას ვერ გამიწევსო და
 დაუდევნელად კითხვა დაუწყო:

— რა გქვია, ყმაწვილო?

— ცეცილია.

— შე სახელი კეთილ-შობილურია. შენმა მშო-
 ბლებმა დაგარქვეს ეგ სახელი?

— არა, ისინი დიდ-კაცები როდი იყვნენ და
 არც კეთილ-შობილთ წრეს ეკუთვნოდნენ, მაგრამ,
 რადგან ძრისტეს გულისათვის სიკვდილი ეღირსათ,
 ეკლესია იმათ ნეტარ კაცებად სთვლის. მე ბრმა
 ვარ. პატარაობისას ცეკა *) მერქვა, ამ სახელიდგან
 შემოკლებული სახელი გადააკეთეს და მოფერების
 ნიშნად ახლა ცეცილიას მეძახიან.

*) CAECA ნიშნავს პრმას.



— ზამიგონე, შენ, რასაკვირველია, ახლავე უარს ჰყოფ ყველა ამ სისულელდესაცა და ქრისტიანებსაც, რომელნიც სიღარიბეში არ გეხმარებიან. ჩვენს ღმერთებს ეცი თაყვანი, იმათის საკურთხევლის წინ მახვერბლი შესწირე და ჩვენ ფულებსაც მოგცემთ და ტანისამოსსაც; ამას გარდა, მოვიწვევთ ექიმებს, რომელნიც ეცდებიან თვალი აგიხილონ.

ტეცილია იღვა მღუმარედ.

— რას გაჩუმებულხარ, სულელო? ნუ გეშინია; სთქვი, კარგი-თქო და ყოველისფერა გათავდება. მე გეუბნები, ნუ გეშინია!

— მე ღვთის მეტის არაეისა მეშინია. ღვთის მეშინია და ღმერთი მიყვარს! რაც მისი ნება იყოს, ის დამეძარტოს! სხვა ღმერთები მე არა მრწამს და არც მინდა ვირწმუნო.

— ზაჩუმდი, ღმერთებს ნუ გმობ! მე შენ გიბრძანებ, გესმის? ახლავე, დაუყოვნებლივ ეცი თაყვანი ჩვენს ღმერთებს.

— თაყვანს ვერ ვესცემ იმათ, ვინც არ არსებობს. მე ქრისტიანი ვარ.

— წაიყვანეთ ეგ! დაიყვირა პრეფექტმა.

ჯალათები მივიდნენ ტეცილიასთან, ხელი მოჰკიდეს და წაიყვანეს სარაიაში, სადაც მრავალი ხალხი შეკრებილიყო დაჰკერილის ქრისტიანის წამების საყურებლად. ჯალათებმა ტეცილია მიიყვანეს საშინელს, ბორბლებიანს მაშინასთან, რომელიც ყველა სხეულებს უმტვრევდა ადამიანს და ხელ-ფეხს გადა-



უტრიალებდა. სეცილია ჩუმად იყო, თუმცა კი პირის-სახეზედ საშინელო სიყვითლე გადაჰკრავდა. პირველის ბორბლის გადაბრუნება თანავე მთელი მისი სხეული ლარსავით გაიჭიმა; მეტად სატიკი იყო ეს ტანჯვა! მით უფრო ტანჯებოდა ეს საბრალო, რომ თვალით ვერხასა ჰხედავდა, მხოლოდ მთელს ტანში ჰგრძნობდა საშინელსა და მოუთმენელს ტკივილს.

— უკანასკნელად გეუბნები. უარი ჰყავ და ჩვენს ღმერთებს ეცი თავიანი!

სეცილიამ პრეფექტს ხმა არ გასცა, მაგრამ ჯერ ხმა-მალლა და მე'ე თან-და-თან უფრო და უსტებულისა და ჩაწყვეტილის ხმით ლოცვა მოჰყვა და ბოლოს გაჩუმდა.

— ჰო, აბა? ძხლა თანახმა ხარ? ჰკიოხა პრეფექტმა მხიარულად.

— მე ქრისტიანი ვაი, სოქვა ქალმა ძლივს გასაგონად.

— ბანაგრძე! უხრძან: პრეფექტმა ჯალბოს.

ბორბალი კიდევ ვადაატრიალე, მაგრამ არც სიტყვაო, არც ხმაო! მოისმა მხოლოდ ძვლების მსხვრევა.

— ღმერთებს თავიანი ეცი, მსხვერპლი შესწირე! უთხრა პრეფექტმა.

სიჩუმეა.

პრეფექტმა კიდევ უფრო მალლა განიმეორა თავი'ი სიტყვები.

ისევ სიჩუმეა.



ჯალათმა სეცელიას პირზედ დაჰხედა და უწინ
ლიეთ უკან დაიწია.

— რა ამბავია? ჰკითხა პრეფექტმა; — რა მოჰხდა?

— მომკვდარა! სთქვა ჯალათმა.

— არ შეიძლება, ვგ არ შეიძლება, დაიყვირა
პრეფექტმა. — ასე მალე!...

— შენ თვითონ დახედე, მიუგო ჯალათმა და
ბორბალი მეორე მხარეზედ გადმოატრიალა. ქველა
იქ მყოფებს თავ-ზარი დასცა სეცელიას უსიცოცხლო
და უძრავმა სხეულმა, რომელსაც პირის-სახე მეტად
გაჰყვითლებოდა და დამსხვრეული ხელ-ფეხი ქამან-
დასავით დაჰკიდებოდა. ხალხიდგან ძლიერი და მრის-
ხანე ხმა გამოისმა:

— შენ უსინდისო მტარეალო! მუღრეგო! შე-
ხედე ამ ქრისტიან-ქალს, ამ ბავშვს და მიხედი, რომ
ვინც მაგ გვარად კვდება, ისინი ყოველთვის გამარჯ-
ვებას იღღესასწაულებენ! ჩვენთანა არს ღმერთი და
იმისი ძალა.

— ა! ახლა კი ველარ წამიხვალ! დაიყვირა
პორვინმა და გაცოფებული მძვინვარე მხეცსავით შე-
ვარდა ხალხში. მაგრამ ხალხში რაღაც ახირებულის
შემთხვევით ვიღაც ვეება-ტანის აფიცერს შეეტაკა
და გულზედ თავი მიახეთქა. ეს შეტაკება ისე ძლი-
ერი იყო, რომ პორვინი დაბარბაცდა; აფიცერმა შე-
აკავა იგი და მზრუნველობით ჰკითხა:

— ხომ არა დაგიშავდა რა, პორვინ!

— არა, არა, სრულიად არაფერი, გამიშვი!



ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა .

ქურონალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ თვის თავზე სივრცით 5—6 თაბახმდი. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ მთელის, ან ნახევარის წლით.

1366

უასი მთელის წლისა 6 მან.
— ნახევარის წლისა 4 —
ცალკე ნომერი. — — 70 კ.

ხელის მოწერა მიიღება «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თფილისის ქუჩ. დ. ლორთქიფანიძის სახლში.

ქალაქა თბილისე ხელის მომწერთა ესთხოვეთ წერილი და ფული გამოგზავნონ შემდეგის ადრესით:

Тифлисская улица, домъ Д. Лордкипанидзе.

მისაც ქურონალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ესთხოვეთ მალე გვაცნობონ.